პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 აპრილი **სამშაბათი** 2014
**№061 (14 282)** ფასი 80 თეთრი

80 აპრილში ლელო იუბილარია

# გრანდთა ქიდილი ოლდ ტრეფორდზე

## კამპ ნოუზე: ბარსელონა-ატლეტიკო




9

დევიდ მოიესის (მარცხნივ) მანჩესტერ იუნაიტედი დღეს პეპ გვარდიოლას ბაიერნს დაუხვდება




2

# ინტერს ცხადაძემ და იაშვილმა მოაგებინეს

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბაქოს „ინტერისა" და „რავანის" მატჩი 30 მარტს დაიწყო და... 31 მარტს დასრულდა - ბაქოში უჩვეულო ქარბუქმა შეხვედრა მე-12 წუთზე შეწყვიტა. საერთო გადაწყვეტილებით, მატჩი მეორე დღეს მე-12 წუთიდან გაგრძელდა.

**კახა ცხადაძის** გუნდმა „რავანს" დამაჯერებლად აჯობა - 3:0. აღსანიშნავია, რომ გოლები ორმა ჩვენებურმა გაიტანა: 24-ე წუთზე **ბაჩანა ცხადაძემ** გახსნა ანგარიში, ხოლო 66-ე წუთზე გოლით თავი **ალექსანდრე იაშვილმა** გამოიჩინა. ბოლო წუთზე სტუმრების განადგურება თბილისის „დინამოს" ყოფილმა ლეგიონერმა, ესპანელმა **ალვარომ** დაასრულა.

იაშვილთან და ცხადაძესთან ერთად, „ინტერის" სასტარტო შემადგენლობაში იყო **ლაშა სალუქვაძეც**, **გიორგი ლომაია** კი სათადარიგო იყო. „ინტერი" 48 ქულით მესამე ადგილზეა. ცხადაძემ ჩემპიონატში 8 გოლი გაიტანა, იაშვილმა - 4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




მერაბ ჟორდანია

# ვიტესის მხსნელიდან მოძალადემდე?

### რატომ დაემუქრა თითების დაჭრით „ვიტესის" ყოფილი მფლობელი ახლანდელ გენერალურ დირექტორს

2010 წლის აგვისტოში ქართველი ბიზნესმენი **მერაბ ჟორდანია** ოფიციალურად გახდა ფინანსურად შეჭირვებული ჰოლანდიური კლუბის, არნემის „ვიტესის" პრეზიდენტი. მიუხედავად იმისა, რომ „ვიტესის" სახელს ლონდონის „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** აკავშირებდნენ, ფაქტია, რომ კლუბი ფინანსურად წელში გაიმართა, აშენდა სუპერთანამედროვე ბაზა და გუნდმა მაღალი მიზნებისთვის დაიწყო ბრძოლა.

ბედის ირონიით, ახლა მერაბ ჟორდანიას 3 წლის განმავლობაში არა აქვს უფლება გამოჩნდეს სტადიონ „ხელრედომზე" და არც მისივე აშენებულ ბაზაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციასთან ექნება საქმე. შეგახსენებთ, რომ ახლა მერაბ ჟორდანია მალტური „ვალეტას" მფლობელი და თავჯდომარეა.

„ფუტბალ ინტერნასიონალის" ჟურნალისტ **სტეფ დე ბონტის** ინფორმაციით, „ვიტესის" ყოფილ ბოსს 3 წლით ეკრძალება სტადიონთან და „ვიტესის" საწვრთნელ ბაზასთან მიკარება. მან ეს აკრძალვა ერთხელ უკვე დაარღვია, როცა კლუბის ამჟამინდელ გენერალურ დირექტორ **იოოსტ დე ვიტს** დაემუქრა.

ჟორდანიასა და დე ვიტს შორის კონფლიქტს კარგა ხნის ისტორია ჰქონია, თუმცა დე ვიტი აცხადებს, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი: *„ბოლოს და ბოლოს, მე მყავს ოჯახი"*.

„ომროეპ ხელდერლანდის" ჟურნალისტ **რიხარდ ვან დერ მადეს** ინფორმაციით, მერაბ ჟორდანია დე ვიტს „თითების მოჭრით" დაემუქრა.

მერაბ ჟორდანია ჰოლანდიაში ცნობილია, როგორც „ვიტესის" თავგადაკლული გულშემატკივარი. ის ამტკიცებს, რომ „ვიტესის" პროექტი მის კარიერაში საუკეთესო იყო. გამოსამშვიდობებელ ინტერვიუში „დე ტელეგრააფთან", მან ისიც თქვა, რომ „ვიტესი" შვილივით უყვარს.

ყველა ინფორმაციით, თითქოს ჟორდანიას კლუბიდან წასვლა მეგობრული დაშორება იყო. „ვიტესის" ამჟამინდელ მფლობელ **ალექსანდრ ჩიგირინსკიზე** (რომელიც საქართველოშია დაბადებული) მან განაცხადა, რომ საუკეთესო მეგობარია. თან ისიც აღნიშნა, „ვიტესის" ჩიგირინსკისთვის მიყიდვით ცენტიც არ მომიგიაო.

ამის შემდეგ ჟორდანიამ ტექნიკური დირექტორი **ტედ ვან ლეეუვენი** და სარეზერვო გუნდის მწვრთნელი **ანდრე პაუსი** თან წაიყვანა მალტაში, სადაც ის ახალ პროექტს ჩაუდგა სათავეში.

როდესაც ჟორდანის ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა მას კონფლიქტი აბრამოვიჩთან, ქართველმა განაცხადა, რომ „ლონდონის" შესახებ კომენტარს არ გააკეთებდა.

ფაქტების უქონლობის გამო, ჰოლანდიელ ჟურნალისტებს უჭირთ მიზეზების დადგენა, თუ რა მოხდა ჟორდანიასა და დე ვიტს შორის, რამ მიიყვანა საქმე კონფლიქტამდე.

## შვილის თამაშს ვერ ნახავს

ამ გადაწყვეტილების გამო, მერაბ ჟორდანია ვერ დაესწრება „ვიტესის" A1 გუნდის თამაშებს და ვარჯიშებს, იქ კი მისი ვაჟი **ლევან ჟორდანია** თამაშობს. კლუბში განმარტეს, რომ არანაირ გამონაკლისს არ დაუშვებენ. ჟორდანიას შეეძლება მისი შვილის თამაშების ნახვა, როცა მისი გუნდი საგარეო მატჩებს გამართავს.

თუკი ჟორდანია კიდევ ერთხელ დაარღვევს აკრძალვას, მას დააკავებენ. ჟორდანიამ ეს აკრძალვა 4 კვირის წინ დაარღვია, რის გამოც დე ვიტმა პოლიცია გამოიძახა.

## ჟორდანიას კომენტარი

„დე ტელეგრააფი" შეეცადა აღნიშნულ ინციდენტზე მერაბ ჟორდანიასგანაც გაეგო საქმის ვითარება. ქართველმა განაცხადა, რომ სასაცილოდაც არ ჰყოფნის დე ვიტის ბრალდება. *„არნემში ყველაფერი განადგურებულია. მოგვიანებით მე მოგიყვებით ამ ისტორიის ჩემეულ ვერსიას"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შემთხვევა

# მაშველი ჯაბა


2014 წლის 30 მარტი. დნიპრო-დინამო (კიევი)


2007 წლის 21 ნოემბერი. საქართველო-ლიტვა

...ის დროა, გუსევების ოჯახი დღეის აქეთ ჯაბა კანკავაზე ლოცულობდეს... სწორედ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა იხსნა სიკვდილისგან კიევის „დინამოს“ კაპიტანი ოლეგ გუსევი, როცა ორთაბრძოლისას მას თავში „დნიპროს“ მეკარე დენის ბოიკოს ფეხი მოხვდა და მოედანზე უგონოდ დავარდა. ეს ამბავი კვირას, დნეპროპეტროვსკში, ადგილობრივი „დნიპროსა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრისას მოხდა. სტუმართა შეტევისას მეკარე საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს დაეუფლა, მუხლი კი უნებლიედ მასთან ერთად ამხტარ ოლეგ გუსევს მოარტყა თავში. მადლობა ღმერთს, იმ ეპიზოდში, შეტაკების ადგილიდან რამდენიმე მეტრში, ჯაბა კანკავა იმყოფებოდა...

„დნიპრო“-„დინამოს“ მატჩის მეორე დღეს, მან, როგორც ყოველთვის, დილით ეკლესიაში ილოცა, მერე გუნდთან ერთად ივარჯიშა, მოედანზე მომხდარი ამბავი კი საღამოს „ლელოს“ მოუყვა...

- ტანში ახლაც მზარავს, საშინელებას გადავრჩით. ჩვენი მეკარე და სტუმარი ფეხბურთელი ერთმანეთს რომ შეეჯახნენ, იქვე 3-4 მეტრში ვიყავი. დავინახე, რომ ოლეგ გუსევს თავში ბოიკოს ფეხი მოხვდა და მოწყვეტით დავარდა. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული მოხდა. აღარ შევყოვნებულვარ და პირდაპირ გავქანდი... სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაში ყოფნის გამოცდილება მაქვს. გახსოვთ საქართველო-ლიტვის მატჩი, როცა ჩვენი თავდამსხმელი დავით სირაძე გონებადაკარგული რომ დაეცა?! მაშინაც შემთხვევის ადგილას ვიყავი და კარგად ვხედავდი, როგორ ეჭირა ლევან მჭედლიძეს სირაძის ენა. ახლაც თითქმის იგივე მოხდა, ამიტომაც არ დავბნეულვარ, გუსევი დავარდა თუ არა, მყის მისკენ გავქანდი და პირის დამუწვის საშუალება არ მივეცი. ექიმი არ ვარ, მაგრამ ეს ელემენტარული კი ვიცი, ასეთი შოკის დროს ადამიანი ენას ვერ იმორჩილებს და შეიძლება გაიგუდოს. ამიტომაც, მთელი ძალით ვწვდი ჯერ ნიკაპს და შემდეგ ენას. ისიც ვიცი, რომ ასეთ დროს დაზარალებული გვერდით უნდა გადააბრუნო და ამოსუნთქვის საშუალება მისცე. ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა. დავინახე, რომ ადამიანი ჩემს გვერდით ასეთ მდგომარეობაში იყო და, აბა, რა გული მომითმენდა, გუსევისთვის გვერდიდან მეყურებინა?! ჩემმა თანაგუნდელებმაც ძალიან იყოჩაღეს. გუსევისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენაში ისინი დამეხმარნენ, თორემ იქნებ, ვერც გვერდით გადამებრუნებინა.

**- დნეპროპეტროვსკის საავადმყოფოს ექიმებმა თქვეს - რომ არა კანკავა, გუსევი ვერ გადარჩებოდაო...**

- ამდენი აღარ ვიცი. რაც ვიცოდი, ის მოედანზე გავაკეთე და როგორც ვიცი, ოლეგ გუსევი ახლა თავს კარგად გრძნობს. ხოლო რა მოხდებოდა, მისთვის ენა რომ არ დამეჭირა, ვერ გეტყვით. ექიმებმა უკეთ იციან.

**- ფოტოები გავრცელდა, რომელზეც ჩანს, რომ ხელის თითებს დასცქერი...**

- ძალიან მტკიოდა. ასეთ დროს, თურმე, თვითგადარჩენის ინსტინქტი მოქმედებს და გუსევის შემთხვევაშიც, ცხადია, ასე მოხდა. მას პირის დამუწვის საშუალებას არ ვაძლევდი, ის კი ჩემს თითებს ყბებით მთელი ძალით აწვებოდა. ასე რამდენიმე წამს გაგრძელდა, იქამდე, ვიდრე გუსევი ამოისუნთქავდა. იმ რამდენიმე წამს კი თითებს, ფაქტობრივად, ვერ ვგრძნობდი.

**- ვიდრე დაგიკავშირდებოდით, თქვენს ტელეფონზე კარგა ხანს დაკავება იყო. მხოლოდ კიევის „დინამოსთან“ თამაშის გასარჩევად, ალბათ, არ დაგირეკავდნენ...**

- კი, ძალიან ბევრმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა. კიეველებს მატჩის შემდეგაც ვესაუბრე და მათაც მადლიერება გამოხატეს.

**- თავად ოლეგ გუსევს არ დაურეკავს?**

- ჯერ არა. „დინამოდან“ კი, ფეხბურთელების გარდა, კლუბის ხელმძღვანელობაც მელაპარაკა და მათაც იგივე თქვეს, რაც სხვებმა, ყველა მადლიერებას გამოხატავს.

**P.S. ჯაბა კანკავასთან ეს ინტერვიუ საგაზეთოდ უკვე მზად იყო, როცა სოციალური ქსელით რუსული სპორტული არხის „ენ-ტე-ვეს“ წამყვანის ალექსეი ანდრონოვის ის სიტყვები გავრცელდა, რომელიც ჩვენმა მკითხველმაც აუცილებლად უნდა იცოდეს. აი, რა დაწერა რუსმა ჟურნალისტმა ჯაბა კანკავას შესახებ: *„უკრაინაში კანკავას გმირის წოდება უნდა მიანიჭონ. სერიოზულად ვამბობ ამ სიტყვებს და წრფელი გულით ვსვამ მის სადღეგრძელოს - ჯანმრთელობას გისურვებ, ჯაბა! ჯანმრთელობას გისურვებ, ოლეგ! გახსოვდეს, შენ ქართველმა ჯაბა კანკავამ გადაგარჩინა“*, - წერს ანდრონოვი.**

**კობა ინასარიძე**

სიტუაცია

# რატომ დააკავეს ნაკრების ყოფილი მცველი?

## მამუკა წერეთელი: გაფრთხილდით, თქვენც შარში არ აღმოჩნდეთ!

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **მამუკა წერეთელი** დააკავეს, თუმცა მალე გაათავისუფლეს. ეს ამბავი თავად ვეტერან ფეხბურთელთან გადავამოწმეთ და მართალი გამოდგა.

*„სამწუხაროდ, 23 მარტს მართლაც დამაკავეს. კარიერის დასრულების შემდეგ არსად მიმუშავია და ისე რომ არ დავრჩენილიყავი, საფეხბურთო მენეჯერობა დავიწყე. რომ ვთქვა, რაიმე გამორჩეული ტრანსფერი გავახერხე-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ამ პერიოდში ბევრი მენეჯერი გავიცანი. განსაკუთრებით, აფრიკელებთან ვთანამშრომლობდი. ასე გავიცანი თბილისში ნიგერიელი მენეჯერი და მეგონა, წესიერი კაცი იყო. მცირე ხნის წინათ მითხრა, რომ საქართველოში აფრიკელებს ანგარიშის გახსნის პრობლემა ჰქონდათ, პარტნიორები სასწრაფოდ ფულს ურიცხავდნენ და იქნებ, შენი ანგარიშით გვასარგებლო, ამისთვის მადლობას გარკვეული თანხით გადაგიხდითო. მუდმივი შემოსავალი არ მაქვს და თუ საბუთი წესრიგში იქნება, რა პრობლემაა-მეთქი. დამამშვიდეს, ყველაფერი წესრიგშიაო და ფული ჩამირიცხეს. თუმცა საბუთი არ მოუტანიათ - დაგვავიწყდა და ხვალ მოგაწვდითო. თურმე, რა ხდება - გავიდა თვე-ნახევარი, თურქეთში საფეხბურთო ტურნირზე მივდიოდი და სარფის საზღვარზე დამაკავეს, შენი გვარი განითლებულიაო. ჩამომიყვანეს პროკურატურაში, მერე წინასწარი დაკავების საკანში მოვხვდი, ბოლოს - გლდანის ციხეში. როგორც ამიხსნეს, ჩემს ანგარიშზე ჰაკერული თანხები დასვეს. ვერ გეტყვით, რაც ამის გაგონებაზე მომივიდა. კიდევ კარგი, პროკურატურაში ადამიანურად მომექცნენ და მიხვდნენ, რომ აფრიკელებმა გამაცურეს. ბოლოს, საპროცესოთი გამათავისუფლეს“*, - ამბობს წერეთელი.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი სხვებსაც აფრთხილებს: *„ჩემთვის თაღლითის იარლიყით სიარული ძალიან ძნელია. დაკავების დროს პროკურატურაში შევიტყვე, რომ საქართველოში, ჩვენსავე ქვეყანაში, ჩემსავით*


მამუკა წერეთელი

*მახეში კიდევ ბევრი ქართველი გააბეს. შეწუხებულები არიან, ბევრი საქმეა აღძრული და უმრავლესობას სწორედ აფრიკელთა გამო აკავებენ. როცა ხალხს უჭირს და ეუბნებიან, თანხის ჩარიცხვაზე პროცენტს მოგცემთო, ყველა ხომ ვერ მიხვდება, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან აქვს საქმე? შარში კიდევ ბევრი ადამიანი რომ არ გაეხვეს, ყველას ვთხოვ, სიფრთხილე გამოიჩინოს და ასეთ შემოთავაზებაზე უარი თქვან, თორემ ხათაბალას ვერ ასცდებიან. ისიც მეყოფა, დაუკვირვებლობით მე რომ დამაკავეს. არ მინდა, მსგავსი სიმწარე სხვებმაც გამოსცადონ“.*

თავის დროზე, წერეთელი საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების კაპიტანი იყო. ეროვნულ გუნდში დებიუტი 17 წლისას ჰქონდა, სულ „ჯვაროსნების“ რიგებში 19 შეხვედრა ჩაატარა. უთამაშია თბილისის „დინამოში“, რიგის „სკონტოში“, ვლადიკავკაზის „ალანიაში“, ბელგიურ „ლიერსსა“ და „გენკში“, კვიპროსულ „ნეა სალამინაში“. 2004 წელს თბილისის „დინამოსთან“ ერთად „თანამეგობრობის თასის“ გამარჯვებული გახდა. მუხლის ტრავმის გამო კარიერა ნაადრევად დაასრულა.

*„დღეს ჩემი თაობის ბევრმა მოთამაშემ დაასრულა კარიერა. 8 ქვეყანაში მითამაშია და ყველგან დღემდე კარგი კავშირები მაქვს. ვცდილობდი, მენეჯერობა წამომეწყო, მაგრამ ეს საქმე ფინანსებს მოითხოვს, რომ იმოძრაო, ეკონტაქტო და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ჩემი რესურსის გამოყენების შანსი არ მქონია. კარიერა რომ დავასრულე, მერე ისედაც დამივიწყეს. ჩემზე ბევრად ცნობილი მოთამაშეა ასეთივე დღეში. მალხაზ ასათიანი საქართველოშია და არსად ასაქმებენ, იმავეს ვიტყვი მიშა აშვეთიასა და ზაზა ჯანაშიაზეც. შესაძლოა, ფული არ უჭირთ, მაგრამ ყურადღება სჭირდებათ. მე კი მგონია, რომ ქართულ ფეხბურთს ახლა სწორედ ამ ბიჭების თანადგომა გააძლიერებს. დასაქმებული რომ ვყოფილიყავი, ამ შარში თავს არ გავყოფდი“*, - ამბობს წერეთელი.

**მერაბ მამულაშვილი**

ვინ რამდენი?


ჯანო ანანიძე

# ჯანო ანანიძე დაფასდა

**ჯანო ანანიძე** „როსტოვში“ ათამაშდა. ბოლო ორი მატჩია, საქართველოს ნაკრების შემტევი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს - ჯერ, რუსეთის თასზე ვოლგოგრადის „როტორს“ გაუტანა, რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში კი ყაზანში „რუბინი“ ლამაზი გოლით დაამწუხრა, ხოლო მანამდე საქართველოს ნაკრებში ლიხტენშტაინთანაც გაიტანა.

ერთი სიტყვით, ჯანო ბოლო დროს სულ თამაშობს და წარსულს ჩააბარა ის დრო, როცა სათადარიგოთა სკამიდან მოედანს სევდიანად გასცქეროდა. შედეგად - პატარა, მაგრამ მაინც სასიამოვნო დაფასების დროც დადგა. გერმანულმა სამენეჯერო სააგენტო „ტრანსფერმარკტმა“ ანანიძის ტრანსფერის შეფასება 2,5 მილიონი ევროდან 3 მილიონამდე გაზარდა და ყველაზე ძვირადღირებულ ქართველ მოთამაშეთა შორის დაამკვიდრა.

სპლიტის „ჰაიდუკში“ გადასვლის შემდეგ გაიზარდა ჯანოს თანატოლის, **გიორგი ილურიძის** ფასი - 400 ათასიდან 600 ათასამდე. თუმცა, ილურიძე საუკეთესოებისგან ჯერ შორსაა.

„ტრანსფერმარკტის“ მიხედვით, ქართველ მოთამაშეებში ლიდერი კვლავ **გურამ კაშია** გახლავთ. ყველაზე ძვირადღირებულ ქართველთა თორმეტეული ასე გამოიყურება:

**1. გურამ კაშია - 3,5 მლნ; 2. ჯაბა კანკავა - 3 მლნ; 3. ჯანო ანანიძე - 3 მლნ; 4-5. ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა - 1,8-1,8 მლნ; 6. სანდრო კობახიძე - 1,5 მლნ; 7. ლადო დვალიშვილი - 1,2 მლნ; 8. გიორგი ლორია - 1,1 მლნ; 9-12. თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი ჭანტურია, გიორგი მერებაშვილი, დავით თარგამაძე - 1-1 მლნ.**

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უარესის მოლოდინი...

„ზედიზედ ორჯერ შეგნებულად ვთქვით უარი ჩვენს ტრადიციულ რუბრიკაზე („ტურის მიმოხილვა“) და ზედიზედ ორჯერ ასევე შეგნებულად „ტურის სიმბოლური ნაკრებიც“ არ შეგვითავაზებია „ლელოს“ მკითხველისათვის. და აი, ჩვენს ჩემპიონატში მცირეოდენი „გამონათების“ დროც დადგა: XXIV ტურში (ორივე ექვსეულში) ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან, სულ მცირე, ორი-სამი მატჩი. სპორტული პრინციპების დაცვით წარიმართა! ჰო, უკვე ის ფაქტი გვიკვირს, როცა ტურის რამდენიმე მატჩი მაინც ტარდება ისე, რომ გარკვეულ ეჭვებს აღარ ბადებს.

თუმცა, ვერც იმას გავექცევით, რომ ისე როგორც წინა ტურში, ქვედა ექვსეულის შეხვედრები ამჯერადაც, ცოტა არ იყოს, უცნაური შედეგებით დამთავრდა! ოღონდ, ამ „უცნაურობების“ აღმოსაფხვრელად ვინც რა უნდა ილაპარაკოს, მაინც ვერაფერს დაამტკიცებს; თუმცა, ჯერ სადა ხართ: „მოულოდნელობები“ წინ გველოდება და რახან ვერავინ ვერაფერს დაასაბუთებს, ისღა დაგვრჩენია იმით „მოვიწონოთ თავი“, რომ საქართველოს XXV ჩემპიონატი მეტად და მეტად „არაპროგნოზირებადი“ ტურნირია!

მაგრამ, ამ სარკაზმს, ალბათ, აჯობებდა, რომ კიდევ ერთხელ გამოგვეხატა ნეგატიური დამოკიდებულება ჩემპიონატის ფორმატთან დაკავშირებით; უფრო ზუსტად, გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფაზე: ფაქტია, რომ ამ სისტემამ აშკარად არ გაამართლა და, რაც ყველაზე მთავარია, ტურიდან ტურამდე ნეგატიური მომენტები სჭარბობს პოზიტიურს. მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, რომ უარესი წინ გველოდება (ისევ და ისევ ქვედა ექვსეულში): ერთი-ორი ტურის მერე სამი გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩენას რომ გაინაღდებს, მოდი და მოთხოვე ამ გუნდებს დარჩენილ შეხვედრებში სრული მოტივაციით ასპარეზობა! თანაც, ისეთი მეტოქეების წინააღმდეგ, უმაღლესი ლიგიდან გავარდნა რომ ემუქრებათ; თუმცა, ვინ იცის, იქნებ, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „საფეხბურთო ამნისტია“ გამოცხადდეს და უმაღლესი ლიგიდან არც არავინ გააგდონ და როგორც ამ ბოლო დროს უკვე ღიად საუბრობენ, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში. 16 ან 18 გუნდი ვიხილოთ. იმედი დავიტოვოთ, რომ მსგავსი არ მოხდება და შარშანდელის მსგავსად დებულება არც წლეულს დაირღვევა.

...ქვედა ექვსეულში ისეთი „უცნაურობები“ ხდება, უკვე სერიოზულად ვფიქრობთ, საერთოდ, გავაშუქოთ თუ არა ამ „საინტრიგო ტურნირის“ მატჩები; აი, რაც შეეხება ზედა ექვსეულს, აქ, ფაქტობრივად, ერთადერთი ინტრიგაღა დარჩა: ვის შეხვდება ევროტურნირების ერთადერთი ვაკანტური საგზური; ჰო, მართლაც ასეა: ჩემპიონიც, ფაქტობრივად, გამოვლენილია, მეორე ადგილოსანიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე ისიც არის ცნობილი, თასის „კვოტით“ რომელი გუნდი იასპარეზებს ევროპალიგაზე...

## XXIV ტურის სიმბოლური ნაკრები






დინამო (თბ)-ზესტაფონი 1:0 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ძველ-ახალი ჩემპიონი?!.

რამდენიც არ უნდა „შევახსენოთ“ ჩვენს მკითხველს ფეხბურთის „მარადიული“ ტერმინები („ბურთი მრგვალია“, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და ასე შემდეგ), მაინც გვგონია, რომ „დინამოს“ ჩემპიონობაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება!

ჰო, დღევანდელი გადასახედიდან მართლაც წარმოუდგენლად მოსჩანს ის ფაქტი, თუ როგორ უნდა შეძლოს **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა უახლოეს მდევართან არსებული 11-ქულიანი უპირატესობის განიავება. მოკლედ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ უკვე ორი-სამი ტურის მერე შეიძლება „დინამოსათვის“ XV საჩემპიონო ტიტულის მილოცვა.

ეს ყველაფერი კი გასული ტურის და, საერთოდ, მეორე ეტაპის ცენტრალური მატჩის შემდეგ გაირკვა: „დინამომ“ ამ სეზონში მესამე შეხვედრა მოუგო „ზესტაფონს“ და საჩემპიონო ინტრიგამაც, ფაქტობრივად, აზრი დაკარგა. სამწუხაროა, რომ საქართველოში დღესდღეობით ორი საუკეთესო გუნდის დაპირისპირებამ კვლავაც, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაიარა.

არადა, „დინამო-არენაზე“ (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში) რამდენიმე ისეთი ეპიზოდი ვნახეთ ორივე გუნდის ფეხბურთელთა შესრულებით, კაცი იმასაც გაიფიქრებდა, რომ ჩვენი საკლუბო ფეხბურთის დონე მთლად კატასტროფულად დაბალი არ არისო...

...ბოლო წლების პრინციპული მეტოქეების მატჩის ბედი ერთმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა; თანაც, დარტყმასაც ხომ გააჩნია: 29 წლის **ოთარ მარცვალაძემ** ისეთი გოლი გაიტანა, მხოლოდ და მხოლოდ აღტაცებას რომ იმსახურებს; ეგ კი არა, ასეთი გოლის „შესრულება“ ყველას ნამდვილად არ შეუძლია და საქართველოს ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულმა მარცვალაძემაც უკვე მეორე გოლი გაიტანა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში.

არადა, მარცვალაძეს საქართველოს ჩემპიონატში 2005 წლის გვიან შემოდგომაზე ჰქონდა უკანასკნელად გოლი გატანილი, როცა „ვიტ ჯორჯიას“ ლიდერი გახლდათ. სხვათა შორის, ის სეზონი (2005-06 წლები) მარცვალაძის კარიერაში მართლაც გამორჩეული იყო: ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა (გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვით) საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს!

ყველაზე უცნაური ის ფაქტი იყო, რომ იმ სეზონში მარცვალაძემ მხოლოდ ... პირველი ეტაპი ითამაშა! ეგ კი არა, დიდი იყო იმის ალბათობაც, რომ მარცვალაძე იმ სეზონის საუკეთესო... ბომბარდირიც გამხდარიყო: პირველ ეტაპზე ჩატარებულ 14 მატჩში ხომ 14 გოლი ჰქონდა გატანილი! თუმცა, ამის შემდეგ კარიერა უცხოეთში გააგრძელა და საქართველოს ჩემპიონატსაც წლეულს, 8-წლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა...

## ერთადერთი ინტრიგა!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზედა ექვსეულში ერთადერთი ინტრიგაღა რჩება - ვინ მოიპოვებს ევროპალიგის ერთადერთ ვაკანტურ საგზურს; -ერთი შეხედვით, ამის უკეთესი შანსი „ჩიხურას“ აქვს, მაგრამ ერთი მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს აქცენტი თასზე აქვს გადატანილი (მოვლენების სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, საჩხერელებს ფინალისტობაც ჰყოფნით); ანუ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საევროპე საგზურისათვის ორი ქვემოქართლური გუნდი იბრძოლებს: „სიონი“ და „მეტალურგი“.

ბოლნისელებს ამ ტურში არ უასპარეზიათ („გურიასთან“ გამოტოვებული მატჩი 8 აპრილს გაიმართება), აი, „მეტალურგმა“ კი სრულიად დამსახურებულად მოუგო „ჩიხურას“ და მომდევნო ტურის შეხვედრას („სიონთან“) მშვენიერ ხასიათზე შეხვდება. **ვარლამ კილასონიას** გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა დიდი თავდადებით ითამაშა, თუმცა 23 წლის **გიორგი ჩირგაძის** უაღრესად მოტივირებული და სასარგებლო ასპარეზობა მაინც ცალკე აღნიშვნას იმსახურებს: „ჩიხურას“ კარში ორივე გოლი ხომ ამ უნივერსალი ფეხბურთელის აქტიურობისა და



მეტალურგი-ჩიხურა 2:0 — ნინო გელაშვილის ფოტო

ზუსტი საგოლე პასების შემდეგ გავიდა.

აი, „ჩიხურას“ კი მართლაც კოშმარული სერია აქვს: გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო! საჩხერელთა გუნდის გამოცდილი თავკაცი **სოსო ფრუიძე** ამ ყოველივეს იმით ხსნის, რომ „ჩიხურას“ ამ ზამთარს მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა. არადა შეგახსენებთ, რომ ზამთრის პაუზის მერე „დინამოს“ უახლოესი მდევარი სწორედ „ჩიხურა“ იყო და ამ გუნდებს შორის იმდროინდელი შვიდქულიანი სხვაობა ახლა... თექვსმეტამდე გაიზარდა!

## დაუნდობელი სტუმრები

ძალიან საინტერესოა, თუ რომელი გუნდი შეძლებს და ქვედა ექვსეულში საშინაო მატჩს მოიგებს! ჰო, ასეა - უკვე ორი ტური ჩატარდა ქვედა ექვსეულში და 6 მატჩიდან ხუთში სტუმრებმა გაიმარჯვეს, ერთი კი ფრედ დამთავრდა... თუმცა, არც ის დაგვავიწყდეს, რომ ქვედა ექვსეულში (ზედას მსგავსად) „საშინაო“ თუ „საგარეო“ შეხვედრები ხომ, ფაქტობრივად, პირობით ხასიათს ატარებს: „ტორპედო“ მეტოქეებს... თბილისში „მასპინძლობს“, „მერანმა“ კი „სპარტაკს“ მცხეთაში „უმასპინძლა“ და ასე შემდეგ.

ანუ, ისღა დაგვრჩენია, რომ სწორედაც ამ ფაქტორს „დავაბრალოთ“ ის ტენდენცია, როცა ქვედა ექვსეულში ზედიზედ ორი ტურია სტუმრები დომინირებენ. აი, ახლაც, „ტორპედომ“ უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა სტუმრად (განმუხურში) და ამ შეხვედრის ბედი **მამუკა ლონლაძის** ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა. 28 წლის ლონლაძეც გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს და ზამთრის პაუზის შემდეგ 4 გოლიც გაიტანა.

...სამწლიანი პაუზის მერე **გია გიგატაძე** კვლავაც გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში მთავარი მწვრთნელის რანგში, თუმცა ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით „დილამ“ მაინც ვერ შეძლო ასე ნანატრი საშინაო მატჩის მოგება; უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ძალიან მალე ოთხი თვე გახდება, რაც „დილას“ საშინაო შეხვედრაში არ გაუმარჯვია...

**გია ტუხაშვილი**

## დუბლების ჩემპიონატი

### XXIV ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი-დინამო | 0:1 |
| გურია-დილა | 0:0 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| სიონი-ზუგდიდი | 1:1 |
| ზესტაფონი-მერანი | 8:1 |
| ტორპედო-ჩიხურა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 24 | 18 | 2 | 4 | 61-28 | 56 |
| 2. დინამო | 24 | 18 | 1 | 5 | 61-27 | 55 |
| 3. ზუგდიდი | 24 | 13 | 3 | 8 | 46-44 | 42 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 6 | 6 | 45-37 | 42 |
| 5. ჩიხურა | 24 | 10 | 6 | 8 | 42-29 | 36 |
| 6. მერანი | 24 | 9 | 5 | 10 | 26-38 | 32 |
| 7. ზესტაფონი | 24 | 9 | 4 | 11 | 42-37 | 31 |
| 8. დილა | 24 | 9 | 4 | 11 | 40-45 | 31 |
| 9. ტორპედო | 24 | 6 | 5 | 13 | 38-40 | 23 |
| 10. სპარტაკი | 24 | 6 | 5 | 13 | 31-48 | 23 |
| 11. სიონი | 24 | 5 | 5 | 14 | 22-51 | 20 |
| 12. გურია | 24 | 4 | 4 | 16 | 25-55 | 16 |

## ქაბუქთა ლიგა

### XIX ტური

### 1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გურია | 4:0 |
| დინამო (თბ)-სიონი | 3:0 |
| ჩიხურა-მერანი | 1:3 |
| ტორპედო-ნ. დინამო | 1:0 |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 19 | 17 | 2 | 0 | 61-11 | 53 |
| 2. ტორპედო | 19 | 12 | 5 | 2 | 34-18 | 41 |
| 3. დინამო (თბ) | 19 | 12 | 2 | 5 | 45-21 | 38 |
| 4. დილა | 18 | 9 | 7 | 2 | 32-12 | 34 |
| 5. საბურთალო | 18 | 9 | 4 | 5 | 32-20 | 31 |
| 6. 35-ე ს.ს. | 18 | 9 | 2 | 7 | 35-25 | 29 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 5 | 5 | 35-28 | 29 |
| 8. დინამო (ბთ) | 18 | 8 | 4 | 6 | 29-26 | 28 |
| 9. მერანი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-41 | 26 |
| 10. სიონი | 19 | 6 | 3 | 10 | 29-39 | 21 |
| 11. ზუგდიდი | 19 | 4 | 9 | 6 | 20-23 | 21 |
| 12. ნ. დინამო | 19 | 5 | 4 | 10 | 27-34 | 19 |
| 13. ზესტაფონი | 19 | 5 | 4 | 10 | 24-32 | 19 |
| 14. სპარტაკი | 18 | 4 | 4 | 10 | 21-37 | 16 |
| 15. გურია | 19 | 2 | 3 | 14 | 4-52 | 9 |
| 16. ჩიხურა | 19 | 1 | 0 | 18 | 11-44 | 3 |

### 1998/99 წ.დ.

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გურია | 2:0 |
| დინამო (თბ)-სიონი | 13:0 |
| ჩიხურა-მერანი | 1:2 |
| ტორპედო-ნ. დინამო | 1:0 |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 19 | 16 | 2 | 1 | 84-8 | 50 |
| 2. საბურთალო | 18 | 13 | 5 | 0 | 51-4 | 44 |
| 3. 35-ე სს | 18 | 13 | 1 | 4 | 40-19 | 40 |
| 4. დილა | 18 | 12 | 3 | 3 | 27-17 | 39 |
| 5. ტორპედო | 19 | 11 | 2 | 6 | 33-18 | 35 |
| 6. ზუგდიდი | 19 | 8 | 5 | 6 | 29-25 | 29 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 3 | 7 | 29-24 | 27 |
| 8. მეტალურგი | 19 | 7 | 4 | 8 | 23-26 | 25 |
| 9. ნ. დინამო | 19 | 6 | 7 | 6 | 20-27 | 25 |
| 10. სპარტაკი | 18 | 7 | 1 | 10 | 24-34 | 22 |
| 11. დინამო (ბთ) | 18 | 6 | 3 | 9 | 19-23 | 21 |
| 12. ზესტაფონი | 19 | 4 | 7 | 8 | 17-22 | 19 |
| 13. მერანი | 19 | 4 | 3 | 12 | 13-49 | 15 |
| 14. სიონი | 19 | 3 | 4 | 12 | 20-50 | 13 |
| 15. გურია | 19 | 3 | 2 | 14 | 10-66 | 11 |
| 16. ჩიხურა | 19 | 1 | 2 | 16 | 8-35 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იდეის გარშემო

# ორი მოდელი განსჯისთვის

## რატომ გამოეხმაურა ფეხბურთის ფედერაცია ხურცილავასა და ინჯიას?

ამას წინათ, „ლელოში" გამოქვეყნებულ **მურთაზ ხურცილავას** ინტერვიუს, სადაც სახელოვანმა ვეტერანმა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრა, ხოლო შემდეგ მარტვილის „მერანის" პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიას** ანალოგიურ მოსაზრებას, საფეხბურთო სამყაროში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ცხადია, წყალწალებულებს უმაღლეს ლიგაში ადგილი თუ შეუნარჩუნდებათ, მათთვის ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ, აბა, შედარებით დალხენილებსაც ვკითხოთ - ულირთ კი მათ გაუერანებულ სტადიონებზე სტუმრობა და ოღრო-ჩოღრო მოედნებზე თამაში?!

ამ საკითხთან დაკავშირებით „ლელომ" საკუთარი, მკვეთრად ნეგატიური პოზიცია უკვე დააფიქსირა და იმავეს გაიმეორებს მომავალშიც, დღეს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გამოტანილ ამბავზე ვთქვათ. გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია:

*„ჩვენთვის, როგორც საქართველოში ფეხბურთის მმართველი ორგანოსათვის, დღის წესრიგში დადგა ამ იდეის შესწავლა და მისი შესაძლო განხორციელების გეგმების დასახვა. ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც საშეჯიბრო, საკლუბო ლიცენზირების, იურიდიული და ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელები, ასევე გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი შევიდა - იმსჯელა აღნიშნულ იდეასთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, საზოგადოებას განსასჯელად შესთავაზოს ეროვნული ჩემპიონატის 16 და 18-გუნდიან სისტემაზე გადასვლის ორი მოდელი, რომელთა უარყოფით და დადებით მხარეებზე მსჯელობაში კლუბებიც უნდა ჩაერთონ. ეს მოდელები წარმოადგენენ უმაღლესი ლიგის კლუბების მიერ ინიცირებული იდეის სრულყოფილ, პროფესიულ დონეზე გაანგარიშებულ დოკუმენტებს, რომელთა შემდგომი ანალიზი და მსჯელობა მთლიანად ქართული საფეხბურთო სამყაროს საქმეა".*

ფედერაციის განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ ეტაპისათვის არ იგეგმება ეროვნული ჩემპიონატის დებულებისა და რეგლამენტის ცვლილება, რამაც, შესაძლოა, მიმდინარე სეზონზე მოასპარეზე კლუბებს გარკვეული კითხვები გაუჩინოს. თუმცა, ფედერაციისგან ასეთი რეაგირებაც საკმარისად შეგვიძლია მივიჩნიოთ და ვივარაუდოთ, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. „დაწყებულია" კი ნიშნავს, რომ მავანთ ჩემპიონატის ეს ფორმატი არ აკმაყოფილებთ, პირველ ლიგაში თამაშს, ცხადია, უმაღლესი უჯობთ.

### ჯერჯერობით, ერთად მხოლოდ ლელო და ზესტაფონი არიან

კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო, ნათქვამია და ახლაც სწორედ ასეთი ვითარებაა. გუნდების რაოდენობის გაზრდაზე ჯერ ხურცილავამ თქვა, შემდეგ ეს აზრი მისი მშობლიური რაიონის კლუბის პრეზიდენტმა **ფრიდონ ინჯიამ** გაამყარა, ფედერაციამ კი უკვე 16 და 18-გუნდიანი ჩემპიონატების მოდელები გამოაქვეყნა... ანუ, „რაღაც" ხდება.

უმაღლესი ლიგის კლუბებიდან ამ იდეას ჯერ ხმამაღლა მხოლოდ „ზესტაფონი" ეწინააღმდეგება, დანარჩენებისგან კი არაფერი ისმის და კარგი იქნება, თუ იმერულ კლუბს სხვებიც დაუჭერენ მხარს.

იქამდე კი, ვიდრე უმაღლესი ლიგის კლუბები სიტყვას ამზადებენ, ფედერაციის იმ მოდელებზე ვთქვათ, რის საფუძველზეც ისინი უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე დაფიქრებულან.

### 16-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი

უმაღლესი ლიგის დაკომპლექტებისას პრიორიტეტი მიენიჭება ლიცენზირებულ კლუბებს!

ჩემპიონატი ჩატარდება ორ წრედ (შინ-გასვლა სისტემით). თითოეულ გუნდს, შესაბამისად, მოუწევს 30 თამაშის ჩატარება (ამჟამად, უმაღლეს ლიგაში თითოეული გუნდი 32 მატჩს ატარებს).

16-გუნდიანი პირველობის შემთხვევაში უმაღლესში სულ მატჩების რაოდენობა იქნება 240 (ამჟამად არის 192). უმაღლესიდან პირველ ლიგაში მე-15-მე-16 ადგილოსნები პირდაპირ გავარდებიან. შესაბამისად, პირველ ლიგაში, ასევე ორ წრედ, ითამაშებს 18 გუნდი - ზონების გარეშე. პირველ-მეორეადგილოსნები პირდაპირ გადავლენ უმაღლეს ლიგაში. უმაღლესი ლიგის გუნდები ითამაშებენ ამ სტადიონებზე: „დინამო არენა", „მიხეილ მესხი" (2 მოედანი), „გივი კილაძე"(ქუთაისი), „დავით აბაშიძე" (ზესტაფონი), „თენგიზ ბურჯანაძე" (გორი), „ფოლადი" (რუსთავი).

მატჩები, სავარაუდოდ, ჩატარდება ასევე ივანწმინდის, მცხეთის, ბოლნისის, ზუგდიდის, მარტვილის, ქობულეთის, ლანჩხუთის, სამტრედიის სტადიონებზე. ზოგიერთ ამ ქალაქში სტადიონის კეთილმოწყობა მიმდინარეობს ან უკვე დასრულებულია.

16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარებისას სეზონის განმავლობაში უმაღლესი ლიგის თითოეული კლუბი მიიღებს მილიონ 3 ათასს ლარს, ხოლო ლიგისა და თასის გათამაშების მთლიანი საპრიზო ფონდი - 5.03 მილიონი იქნება.

პირველი ლიგის თითოეულ გუნდს გადაეცემა 400 ათასი ლარი. ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსება უნდა მოხმარდეს შემდეგ აქტივობებს: შეჯიბრებებში მონაწილეობა (უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა, ახალგაზრდული ჩემპიონატები/ტურნირები); ორ შეკრებას, მგზავრობისა და კვება-ცხოვრების ხარჯებს; ეკიპირებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას; მედიცინასა და რეაბილიტაციას; ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებას.

### 18-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი

გათამაშების ამ სისტემით ჩატარების შემთხვევაში, სულ მატჩების რაოდენობა იქნება - 306 (ამჟამად არის 192); მე-17-მე-18 ადგილოსნები პირდაპირ გავარდებიან, ხოლო მე-16 ადგილოსანი გადათამაშებაში შეხვდება პირველი ლიგის მე-3 ადგილოსანს.

თავის მხრივ, პირველი ლიგა დაკომპლექტდება 18 გუნდისგან, ზონების გარეშე და პირველ-მეორე ადგილოსნები პირდაპირ გადავლენ უმაღლეს ლიგაში.

უმაღლესი ლიგის თითოეული კლუბი სეზონის განმავლობაში მილიონ 150 ათას ლარს მიიღებს, ხოლო უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების საპრიზო ფონდი 6.350 მილიონი იქნება.

უმაღლესი ლიგის საპრიზო ფონდიდან მოგებისთვის კლუბი მიიღებს 20 000 ლარს. ფრეზე თანხა არ გაიცემა. თასის გათამაშების საპრიზო ფონდი კი ასე განაწილდება: თასის მფლობელი - 100.000 ლარი; ფინალისტი - 50.000; სუპერთასის მფლობელი - 50.000; სუპერთასის ფინალისტი - 30.000.

■ ■ ■

აი, ასეთი პროგრამა გამოაქვეყნა ფეხბურთის ფედერაციამ და იქვე დასძინა, რომ შენიშვნების მოსასმენად მზად არის. ვის რა შენიშვნა ექნება, ფედერაცია, ალბათ, ამასაც გაასაჯაროებს და მერე სათქმელს ჩვენც უფრო დაწვრილებით ვიტყვით.

**კობა ინასარიძე**

● პირველი ლიგა

**XIX ტური. A ზონა**

**სქური-გაგრა 2:4**

27.03. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია

0:1 ზ. ქარდავა (2), 0:2 გ. გოგატიშვილი (9), 0:3 ზ. ღირდალაძე (45), 1:3 გ. შელია (57), 1:4 რ. წანკრიალაშვილი (76-პენ), 2:4 ი. კუტალია (90)

სქური: ტ. ხარჩილავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, გ. სალია, თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია (46. გ. კვირკვია), ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა (28. დ. შონია), გ. სართანია (72. ბ. სვანიძე), ი. კუტალია.

სათადარიგოები: დ. კეკელიძე, ი. ქარდავა, კ. სოსელია, ლ. მორგოშია

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

გაგრა: ჯ. რეჭია, ც. ხარაბაძე, გ. სიჭინავა, გ. ნიჟარაძე, გ. ჯგერენაია, გ. გადრანი, ნ. ნოზაძე (80. ი. გაბესკირია), ზ. ქარდავა, ზ. ქარდავა (83. გ. მჭედლიშვილი), გ. გოგატიშვილი (83. ა. მუსელიანი), ზ. ღირდალაძე (59. რ. ცაცკრიალაშვილი).

სათადარიგო: ს. კარტოზია

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

გაფრთხილებაა: გ. სალია - გ. სიჭინავა, ზ. ქარდავა, რ. ცაცკრიალაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**მერცხალი-იმერეთი 4:1**

27.03. ოზურგეთი. ცენტრალური

1:0 გ. ბერიშვილი (14), 2:0 მ. ქობულაძე (34-პენ), 3:0 გ. ვაშაკიძე (60), 3:1 ნ. ჩიხლაძე (69), 4:1 ნ. ხინთიბიძე (83)

მერცხალი: ა. მაქაცარია, ზ. ხურციძე, მ. ქობულაძე (39. ნ. ხინთიბიძე), გ. ზოიძე (46. გ. მექვაბიშვილი), ს. ვ. ჩიგოგიძე (46. გ. ხამაშურიძე), ლ. ქანთარია, გ. ვაშაკიძე, გ. მალაზონია (26. თ. ჩხატარაშვილი), გ. ქარჩილაძე, ი. ბაჯელიძე (53. ს. გ. ჩიგოგიძე), გ. ბერიშვილი.

სათადარიგოები: ლ. კოტრიკაძე, ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

იმერეთი: ნ. ბანძავა (26. ს. მეძველია), გ. ქირია (46. ჯ. კილაძე), ლ. გაჩეჩილაძე, გ. ცაგარეიშვილი, თ. ბაბუნაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ო. ტორაძე, გ. გენძეხაძე, ი. გოგატიშვილი, ო. გიორგობიანი (39. ნ. ჩიხლაძე), მ. აშვეთია (46. დ. კუხალაშვილი).

სათადარიგოები: დ. ხაბურძანია, გ. ხეიჩია, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: დავით ჭელიძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**კახეთი-ადელი 4:1**

27.03. თელავი. გივი ჩოხელი

1:0 გ. ტყეშელაშვილი (3), 1:1 გ. ქოქოლაძე (7), 2:1 დ. ლორთქიფანიძე (17-პენ), 3:1 გ. ტყეშელაშვილი (73), 4:1 თ. ვარდუაშვილი (78)

კახეთი: გ. აბულაშვილი, ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი, თ. ვარდუაშვილი, გ. ბააკაშვილი (70. გ. აბურჯანია), დ. ლორთქიფანიძე, გ. კვირკველია (87. ლ. მაჭარაშვილი), გ. ტყეშელაშვილი, გ. ჯინიკაშვილი (90. გ. ჩიტალაძე), კ. მადუბუიკე.

სათადარიგოები: დ. მეფარიძე, გ. ამისულაშვილი, ი. ხუციშვილი. მ. უჩხუკიშვილი

მწვრთნელი: როსტომ თორღაშვილი

ადელი: გ. თურმანიძე, ნ. წულუკიძე, ზ. მჟავანაძე (78. ზ. კონცელიძე), ი. ფუტკარაძე (46. ა. ვარშანიძე), ვ. ივანიაძე (78. გ. ჯავაშვილი), ლ. ჯინჭარაძე (78. გ. ჟორდანია), გ. ცაბუტაშვილი, თ. ხაბელაშვილი (68. ფ. მოროტიე), ე. ბერიძე, გ. ქოქოლაძე, ლ. კარაკულიანი.

სათადარიგოები: კ. ბაგალიშვილი, კ. ჩადუნელი

მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

გაფრთხილება: გ. კვირკველია, კ. მადუბუიკე - გ. თურმანიძე, ე. ბერიძე, ლ. კარაკულიანი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**კოლხეთი (ფ)-დინამო 2 (თბ) 0:2**

27.03. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 ბ. ზივზივაძე (35), 0:2 ბ. ზივზივაძე (69)

კოლხეთი: ი. მაღრაძე, გ. კილასონია, დ. ხოჭოლავა, გ. კრასოვსკი, ლ. კაკულია, ლ. კუკავა (30. შ. კვანტალიანი), ვ. ნემსაძე (46. ბ. ხოშტარია/70. კ. ბარამიძე), ო. გოგონაია, ლ. გულუა (53. ა. ქორჩილავა), თ. შარაშენიძე, ლ. ყიფიანი.

სათადარიგოები: ლ. ძაგანია, თ. ბეჩეხია, ა. წაბრია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

დინამო 2: ნ. დაუშვილი, ვ. ბაჩიაშვილი, გ. სამხარაძე, ს. გურეშიძე, ლ. შერგელაშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ბ. მახარობლიძე, ნ. კვეკვესკირი, გ. ერისთავი (75. ს. ლობჟანიძე), მ. ჯიშკარიანი (65. გ. დიასამიძე), ბ. ზივზივაძე (89. მ. ქაჯაია).

სათადარიგოები: ი. ციცხვაია, ლ. თათხაშვილი, ზ. ჯაფიაშვილი, ლ. ტყეშელაშვილი

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

გაფრთხილებაა: დ. ხოჭოლავა, ლ. კაკულია, ო. გოგონაია-გ. ფალავანდიშვილი, გ. დიასამიძე

არბიტრი: დ. სანოძე

**ალგეთი-შუქურა 1:4**

28.03. თბილისი. გენდელა

0:1 გ. ჩელებაძე (16), 0:2 მ. კაკალაძე (65), 0:3 გ. ჩელებაძე (73), 1:3 ა. ონუაკლისი (78-პენ), 1:4 მ. კაკალაძე (80)

ალგეთი: მ. ძიძიგური, ი. ალასანია (64. მ. კობერიძე), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ე. ანიგბო, ი. ჯოჯიშვილი (64. ი. სვანიძე), გ. ჩიქოვანი (75. გ. ყურულაშვილი), გ. ლაბუჩიძე, ზ. ტიელიძე, გ. ტვილდიანი, ა. ონუაკლისი.

სათადარიგოები: დ. როხვაძე, ჯ. სულაქველიძე, ლ. ეზიეშვილი, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

შუქურა: თ. კაკალაძე (71. ა. კოტრიკაძე), ლ. კალანდაძე, ი. ხუჭუა, ა. ბაჯელიძე (46. ვ. შეროზია), ი. ტაკიძე, რ. ლობე (77. ზ. ტულუში), ნ. ჭკუასელი (71. მ. კოპალიანი), ლ. ჩალაძე, მ. გოლიხინი, გ. ჩელებაძე, მ. კაკალაძე.

სათადარიგოები: მ. ფუტკარაძე, მ. მამულაძე, ვ. ცენტერაძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილებაა: ე. ანიგბო, გ. ჩიქოვანი, ა. ონუაკლისი - გ. ჩელებაძე, მ. გოლიხინი, მ. კაკალაძე

არბიტრი: ბ. ნინუა

**საპოვნელა-ჩხერიმელა 0:1**

28.03. თერჯოლა. ცენტრალური

0:1 გ. ხარაბაძე (7)

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, ა. ბუცხრიკიძე, ს. შულაძე, ვ. მურადაშვილი (71. თ. დარსაველიძე), ვ. ჭრელაშვილი, ბ. ბარბაქაძე (51. ს. ცქიფურიშვილი), ბ. ფოცხვერაშვილი, ლ. გაბრიჭიძე, ზ. აბულაძე (71. დ. არეშიძე).

სათადარიგოები: კ. ხუჯაძე, ნ. სირაძე ვ. კახეთელიძე, ვ. ცხადაძე

მწვრთნელი: მირიან გეწაძე

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, მ. კოპალიანი, თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. თურმანიძე, შ. ბაბუნაშვილი, გ. კიკნაძე (89. თ. კიკნაძე), გ. ხარაბაძე, ლ. ჩაჩიბაია (79. გ. ჯიმშელეიშვილი), დ. წულაია 90. გ. ზაქარაშვილი), ს. ჭიკაიძე (69. დ. ქარსელაძე).

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, ი. მურადაშვილი

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილებაა: მ. კოპალიანი, ლ. ჩაჩიბაია, დ. წულაია, გ. ჯიმშელეიშვილ, მ. ლომსაძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 17 | 14 | 2 | 1 | 58-14 | 44 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 17 | 14 | 1 | 2 | 40-9 | 43 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 18 | 10 | 3 | 5 | 48-23 | 33 |
| 4. გაგრა | 18 | 8 | 6 | 4 | 34-20 | 30 |
| 5. საპოვნელა | 17 | 9 | 3 | 5 | 30-16 | 30 |
| 6. ალგეთი | 17 | 8 | 1 | 8 | 27-27 | 25 |
| 7. მეშახტე | 16 | 6 | 5 | 5 | 28-23 | 23 |
| 8. ჩხერიმელა | 17 | 6 | 3 | 8 | 22-35 | 21 |
| 9. სქური | 18 | 5 | 2 | 11 | 20-41 | 17 |
| 10. იმერეთი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-39 | 15 |
| 11. მერცხალი | 18 | 4 | 2 | 12 | 16-37 | 14 |
| 12. კახეთი | 18 | 4 | 2 | 12 | 20-43 | 14 |
| 13. ადელი | 18 | 3 | 3 | 12 | 19-53 | 12 |

**მომდევნო ტური**

**2 აპრილი**

გაგრა-საპოვნელა
ჩხერიმელა-ალგეთი
შუქურა-კოლხეთი (ფ)
დინამო 2 (თბ)-მეშახტე
ადელი-მერცხალი
იმერეთი-სქური

● U 17

# ქულა მაინც...

## ქართველი ჭაბუკები ევროპას ჩამორჩნენ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სერბეთში დასრულებულ ელიტ-რაუნდში მთლად სამარცხვინოდ გამოსვლას გადაურჩა და იმდენი მაინც მოახერხა, რომ ქულა მოიპოვა. არადა, **ნოდარ აკობიას** გუნდი სწორედაც რომ უქულოდ რჩებოდა, გუშინ, მის შეგირდებს ირლანდიელებთან მატჩის ბოლო სამ წუთში რომ არ ეყოჩაღათ.

გერმანიასთან წაგებულ 0:4-სა და მასპინძლებთან დათმობილ 0:2-ს ქართველი ჭაბუკები ირლანდიელებთანაც 0:2-ს აყოლებდნენ, მაგრამ 77-ე წუთზე **კიკნაძემ**, ხოლო მე-80-ზე **კამლაძემ** ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

პირველი გოლი კი ჩვენებმა 23-ე წუთზე, ავტოგოლით **თვარაძისგან** მიიღეს, ამას კი 75-ზე **ჰოლანდმა** მეორეც მიაყოლა. ეტყობა, ირლანდიელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ქართველების პასუხმაც არ დააყოვნა. ვაგლახ, სატურნირო თვალსაზრისით ირლანდიელთა კარში გატანილი ქართული გოლები უსარგებლო გამოდგა - ქართველმა ჭაბუკებმა ელიტრაუნდი ბოლო ადგილზე დაამთავრეს.

ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება კი ჩვენი ჯგუფის გამარჯვებულმა გერმანიამ მოიპოვა, რომელმაც დასკვნით შეხვედრაში მასპინძლებთან 1:1 ითამაშა და ლიდერობა გატანილ-გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით დაიბევა.

ჩვენებმა ირლანდიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ქურდაძე, ქობულაძე, კაკიაშვილი, ნადარაია, თვარაძე,** გოშთელიანი, კამლაძე, ბერიძე (64. გაფრინდაშვილი), ჯობავა, არაბიძე (41. კიკნაძე), მიქელთაძე (76. მურჯიკნელი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

**ლუკა თალაკვაძე**


**განცხადება**

ეროვნული მოძრაობის დროს დაღუპული გოჩა („გურულო") გურულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი XIX ტრადიციული ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის ჩატარდება თელეთში, 6-11 აპრილს, „გურულოს" სახელობის საფეხბურთო მოედანზე, სამ ასაკობრივ ჯგუფში. იასპარეზებენ 1998 წ; 1999-2000 წლებში და 2001-2002 წლებში დაბადებულები.

საკონტაქტო ტელეფონები: 557 227 816; 593 402 757.

R


● დინამო

# ოთარ მარცვალაძე: ნაკრებში თამაში მომენატრა


ოთარ მარცვალაძე

**ოთარ მარცვალაძე** კიევის „დინამოში" 8 წლის წინ წავიდა და მას შემდეგ უკრაინასა და რუსეთში უამრავი კლუბი შეიცვალა. ამ პერიოდში მან მოახერხა და 2012 წლის ბოლოს tvgolo.com-ის ყოველკვირეულ მსოფლიო გოლების ჰიტ-ალბომში გაიმარჯვა.

ბოლოს ის ვლადიკავკაზის „ალანიაში" გამოდიოდა, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო დატოვა. თავიდან, 28 წლის თავდამსხმელი ფორმაში არ იყო, რადგან ლოდინში ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი ჩაუვარდა, მაგრამ „დინამოში" გადმოსული ნელ-ნელა ათამაშდა. „ზესტაფონთან" საკვირაო შეხვედრაში მარცვალაძემ გადამწყვეტი და თან ეფექტური გოლი გაიტანა.

*„დიდი მოტივაცია გვქონდა, რადგან ამ შეხვედრის მოგებით ჩემპიონობისკენ დიდ ნაბიჯს ვდგამდით. მთელი გუნდი მობილიზებული იყო და ძალიან მძიმე თამაშის მოგება მოვახერხეთ. ცხადია, ეს მხოლოდ ჩემი გოლის დამსახურება არ ყოფილა"*, - ამბობს მარცვალაძე.

29 წლის თავდამხმელმა ეროვნულ ნაკრებში 20 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. დიდი ხანია, მას ქვეყნის მთავარი გუნდის ფორმა აღარ მოურგია:

*„თავიდან, ფორმაში არ ვიყავი, შესაძლებლობების 10 პროცენტს თუ ვავლენდი. მაგრამ „დინამო" დამეხმარა, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავდა და თავადაც დიდი სურვილი მქონდა, ამ ნდობისთვის მადლობა გადამეხადა. მჯერა, მოვუმატებ, ფორმაში შევალ და მერე, იქნებ, ნაკრებშიც მომეცეს შანსი. წელიწადნახევარი იქნება, რაც ეროვნულ გუნდში არ მითამაშია. არადა, ეს ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა და ნაკრებში თამაში მეც მენატრება".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრემიერლიგის წარმოგიდგენთ

europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური. შეჯამება

# ტიტულამდე ჯერ ვესტ ჰემია

„ლივერპული" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პრემიერლიგის ცხრილს სათავეში მოექცა. რაც ყველაზე მთავარია, ამიერიდან **ბრენდან როჯერსის** გუნდის ბედი მისივე ხელშია. თუკი „წითლები" დარჩენილ 6 ტურში 18 ქულას აიღებენ, ჩემპიონობას მათ უკვე ველარავინ შეეცილება. იმ ფონზე, როცა მერსისაიდელებს ზედიზედ 8 თამაში აქვთ მოგებული, ჩნდება შეკითხვა, მაქსიმუმ რამდენს ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს სერია. პრემიერლიგაში მიჯრით 14 თამაშის მოგება კი შეიძლება, ოღონდ ამოცანა ჯოჯოხეთურად რთულია. ჩრდილოირლანდიელი „ტოტენჰემთან" მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ირწმუნებოდა, რომ ის არ ფიქრობს შესაძლო ტრიუმფზე და მხოლოდ ლოკალური ამოცანების გადაწყვეტაზეა მომართული. ერთადერთი, რითიც მისი გონებაა დაკავებული, ეს „ვესტ ჰემთან" მომდევნო ტურის მატჩია.

- „ენფილდზე" ტრადიციულად გასაოცარი ატმოსფერო იყო. როცა ზურგს ასეთი ერთგული გულშემატკივარი გიმაგრებს, ეს ძალასა და მონდომებას ერთიორად გმატებს. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რადგან მათ მოახერხეს და ძლიერ მეტოქესთან თამაშის სადავეები პირველივე წუთებზე იგდეს ხელთ. წინა ტურში „სანდერლენდთან" ბოლო წუთამდე დაძაბული თამაში მიდიოდა, რაც მთლიანად ჩვენი დამსახურება იყო. დღეს კი ყველაფერი თავის რიგზე იდგა. ერთი სიამოვნება გახლდათ იმის ყურება, როგორ ვაკონტროლებდით თამაშს, რამდენად იოლად გამოგვდიოდა ბურთის გათამაშება. ეს იყო გუნდური თამაშის დიდებული მაგალითი. სეზონის განმავლობაში განსხვავებულ ტაქტიკურ სქემებს ვამუშავებდით. ბოლო ხანს კლასიკურ 4-4-2-ს დავუბრუნდით, რომბით ნახევარდაცვის ცენტრში. მიუხედავად ხშირი ცვლილებებისა, ჩემმა თითოეულმა ფეხბურთელმა ზუსტად იცის, კონკრეტულ სიტუაციაში რა უნდა აკეთოს. მართალია, ჩვენი უშუალო კონკურენტებიდან ამ ტურში ვერავინ მოიგო, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებს. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, ეს ჩემი გუნდის თამაშია. დამღუპველი იქნება, თუკი სხვების ფეხის დაცდენის იმედად ვიქნებით. „ლივერპულის" მომდევნო ამოცანა „ვესტ ჰემია".

ვილელი **ემლი ვესტვუდის** გოლი 33-ე აღმოჩნდა, რომელიც მიმდინარე სეზონში პირდაპირ ჯარიმიდან გავიდა. 2012/13 წლებში კი სულ 32 ასეთი გოლი დაფიქსირდა.

**ხუან მატამ** სეზონში 23 თამაში ჩაატარა (13 „ჩელსის", 10 „იუნაიტედის" შემადგენლობაში) და პირველი გოლი გაიტანა.

**დევიდ მოიესმა** „იუნაიტედს" 47-ე შეხვედრაში უხელმძღვანელა. შოტლანდიელი ზედიზედ ორჯერ ერთსა და იმავე შემადგენლობას ჯერ არ დაყრდნობია.

■ ■ ■

„კრისტალ პალასმა" პირველად დაამარცხა გუნდი, რომელიც კონკრეტულ მომენტში ლიდერობდა პრემიერლიგას.

„ჩელსის" „პალასთან" დერბი ბოლოს 1990 წლის აგვისტოში ჰქონდა წაგებული.

2006 წლის მაისის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** პირველად წააგო მიჯრით ორი გასვლითი შეხვედრა. როგორც 8 წლის წინ „ჩელსიმ" ორივე თამაში ამჯერადაც მინიმალური სხვაობით დათმო.

■ ■ ■

„ნიუკასლთან" **ჯეი როდრიგესმა** ზედიზედ მე-4 შეხვედრაში გაიტანა, რაც ფეხბურთელის კარიერაში პირველად მოხდა.

49-ე წუთზე **რიკი ლამბერტის** გოლი პრემიერლიგის ისტორიაში 22 500-ე აღმოჩნდა.

„წმინდანებმა" „სენტ მერიზე" „ნიუკასლთან" უკანასკნელი 21 დაპირისპირებიდან მე-14 მოიგეს (6ფ, 1წ).

■ ■ ■

„სტოკს" „ბრიტანიაზე" გამართული ბოლო 13 შეხვედრიდან მხოლოდ 1 მარცხი აქვს (7მ, 5ფ).

სტოკელმა **პიტერ ოდემვინგიმ** ზედიზედ მე-3 შეხვედრაში გაიტანა. ნიგერიელს უკეთესი სერია (ზედიზედ 5 თამაშში) მხოლოდ ერთხელ, 2011 წლის მაისში ჰქონდა.

„ჰალმა" კარის მიმართულებით მხოლოდ 5-ჯერ დაარტყა, რაც „ვეფხვებისთვის" სეზონში ყველაზე ცუდი შედეგი აღმოჩნდა.

■ ■ ■

**ჯონათან დე გუზმანმა** უკანასკნელი 6 გოლიდან ყველა „ლიბერთი სტადიუმზე" გაიტანა. ანალოგიური სერია აქვს **უეინ რუტლეჯსაც**, ოღონდ ინგლისელის ანგარიშზე 7 გოლია.

„ნორვიჩს" სტუმრად ჩატარებულ ბოლო 8 თამაშში 6 წაგება (ზედიზედ) და 2 ფრე აქვს.

■ ■ ■

30-ე წუთზე **ჯორდონ მატჩის** გოლი მხოლოდ მე-9 აღმოჩნდა სეზონში, რომელიც „კარდიფმა" პირველ ტაიმში გაიტანა. 9-დან 4 გოლი სწორედ მატჩის ანგარიშზეა.

**სტივენ კოლკერმა** სეზონში მე-5 გოლი გაიტანა და აქედან 4 თავით.

„ბრომვიჩი"-„კარდიფი" მხოლოდ მეორე თამაში აღმოჩნდა სეზონში, რომელშიც მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ორივე გუნდმა გაიტანა (პირველად ეს „სიტი"-„არსენალის" (6:3) შეხვედრაში მოხდა).

■ ■ ■

**ლუკას პოდოლსკიმ** ზედიზედ მეორე თამაშში გაატანინა თანაგუნდელს. გერმანელს იქამდე ეს 24 თამაშში არ ჰქონდა გაკეთებული.

**მატიო ფლამინის** გოლმა „სიტის" კარში მიმდინარე სეზონის სარეკორდო 561-წუთიან მშრალ სერიას დაუსვა წერტილი.

„არსენალმა" „სიტის" კარის მიმართულებით 10-ჯერ დაარტყა და აქედან 9-ჯერ მეორე ტაიმში.

ეს იყო პირველი შემთხვევა **დავიდ სილვასთავის**, როცა მან „სიტის" შემადგენლობაში გაიტანა და გუნდმა ვერ მოიგო.

■ ■ ■

„ფულჰემისთვის" „ევერტონთან" მარცხი ბოლო 20 ტურში მე-15 იყო (4მ. 1ფ).

„ევერტონისთვის" „ქრევენ კოტეჯზე" მოგება იყო ზედიზედ მე-5 და მიჯრით მე-3, რომელშიც მან 3 გოლი გაიტანა.

დასკვნით 15 წუთში „ფულჰემმა" 22 გოლი გაუშვა, რაც ყველაზე ცუდი შედეგია ჩემპიონატში.

■ ■ ■

„ტოტენჰემთან" გამარჯვება „ლივერპულისთვის" ზედიზედ მე-8 აღმოჩნდა. უკანასკნელად მსგავსი სერია მერსისაიდელებს 2006 წლის გაზაფხულზე ჰქონდათ და მაშინ ის 9 თამაში გაგრძელდა.

„ტოტენჰემი" დიდხანს ინარჩუნებდა ყველაზე მრისხანე სტუმრის სტატუსს, თუმცა „დეზებმა" ზედიზედ მე-3 გასვლითი შეხვედრა დათმეს, პირველად 2009 წლის იანვრის შემდეგ.

**იუნეს კაბულის** ავტოგოლი იყო მეცხრე მეტოქეთა დაპირისპირებების ისტორიაში.

„ლივერპულმა" ზედიზედ 22 თამაშში მოახერხა პირველ ტაიმებში გატანა, რაც საუკეთესო შედეგია პრემიერლიგის ისტორიაში.

**ლუის სუარესმა** 29-ე გოლი გაიტანა, რაც მერსისაიდელთათვის პრემიერლიგის ერთ სეზონში გოლების ახალი რეკორდია.

„ლივერპულს" 48 გოლი დაუგროვდა „ენფილდზე", რაც გუნდს აქამდე ერთ სეზონში არასოდეს მოუხერხებია.



პრემიერლიგის ლიდერის მთავარი მწვრთნელი ჯერჯერობით ჩემპიონობაზე ფიქრს გაურბის

### ტურის ფაქტები

**უეინ რუნიმ** „ასტონ ვილას" თავისი მე-11-12 გოლები გაუტანა. თავდამსხმელს ასეთი შედეგი არც ერთი სხვა გუნდის წინააღმდეგ არა აქვს.

რუნის დუბლის შემდეგ პრემიერლიგაში 171 გოლი დაუგროვდა და **ფრენკ ლემპარდს** 1 ბურთით გადაუსწრო. მასზე წინ ყველა დროის ბომბარდირთა დავაში არიან: **ალან შირერი** - 260, **ენდი კოული** - 187 და **ტიერი ანრი** - 175.

### სიმბოლური ნაკრები




### სტატისტიკა XXXII ტურის შემდეგ

#### საუკეთესო ბომბარდირები

29 - ლუის სუარესი (ლივერპული)
20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)
15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ჯეი როდრიგესი (საუთჰემპტონი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

#### საუკეთესო მეპასეები

11 - ლუის სუარესი (ლივერპული)
10 - რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)
9 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი),
8 - მესუთ იოზილი (არსენალი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი),

#### გოლი+პასი

40 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 29+11
27 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 20+7
24 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 15+9
22 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი) - 17+5
21 - ედენ აზარი (ჩელსი) - 14+7

#### ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები

11 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი), ჯონათან უოლტერსი (სტოკი), რამირესი (ჩელსი)

10 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ვეს ბრაუნი (სანდერლენდი), იონას ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი), მატიო ფლამინი (არსენალი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი)

წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

#### სანდერლენდი–ვესტ ჰემი 1:2

**გოლები:** 0:1 კეროლი (9), 0:2 დიამე (50), 1:2 ა. ჯონსონი (65)

**სანდერლენდი** (4-1-3-2): მანონე - ბერდსლი, ვერხინი, ბრაუნი, ალონსო - ოში (60. გარდნერი) - კი (79. სკოკო), კატერმოული (53. ა. ჯონსონი), ბრიდკატი - ბორინი, უიკჰემი

**ვესტ ჰემი** (4-2-3-1): ადრიანი - დემელი, რიდი, ტომკინსი, მაკარტნი (46. არმერო) - ნოუბლი, ტეილორი - დიამე (79. რ. ჯონსონი), ნოლანი (84. ნოჩერინო), დაუნინგი - კეროლი

**გაფრთხილება:** ალონსო, უიკჰემი - ნოუბლი, ნოლანი, რიდი, ადრიანი

**კარში დარტყმა:** 23-18 (2-6) **კუთხური:** 12-6 **თამაშგარე:** 0-4 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 37 396

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 32 | 22 | 5 | 5 | 88-39 | 68 |
| 2. ჩელსი | 32 | 21 | 6 | 5 | 62-24 | 69 |
| 3. სიტი | 30 | 21 | 4 | 5 | 80-28 | 67 |
| 4. არსენალი | 32 | 19 | 7 | 6 | 56-37 | 64 |
| 5. ევერტონი | 31 | 17 | 9 | 5 | 49-31 | 60 |
| 6. ტოტენჰემი | 32 | 17 | 5 | 10 | 40-44 | 56 |
| 7. იუნაიტედი | 32 | 16 | 6 | 10 | 52-38 | 54 |
| 8. საუთჰემპტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 49-40 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 14 | 4 | 14 | 38-47 | 46 |
| 10. სტოკი | 32 | 10 | 10 | 12 | 37-45 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 32 | 10 | 7 | 15 | 36-42 | 37 |
| 12. ასტონ ვილა | 31 | 9 | 7 | 15 | 34-46 | 34 |
| 13. სუონსი | 32 | 8 | 9 | 15 | 45-48 | 33 |
| 14. ჰალი | 32 | 9 | 6 | 17 | 33-40 | 33 |
| 15. ნორვიჩი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-51 | 32 |
| 16. პალასი | 31 | 9 | 4 | 18 | 20-39 | 31 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 14 | 12 | 36-48 | 29 |
| 18. კარდიფი | 32 | 6 | 8 | 18 | 29-61 | 26 |
| 19. სანდერლენდი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-48 | 25 |
| 20. ფულჰემი | 32 | 7 | 3 | 22 | 31-73 | 24 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

ლევან ბიბილაშვილი

## იტალია

### სერია A. XXXI ტური

#### უდინეზე–კატანია 1:0

**გოლი:** 1:0 დი ნატალე (68).

**უდინეზე (3-5-2):** სკუფეტი – დომიცი, დანილო, ერტო – ბასტა (62. ბადუ), პერეირა (81. ვიდმერი), პინცი, ალანი, გაბრიელ სილვა – ლოპესი (46. ფერნანდესი), დი ნატალე.

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ისკო (87. პერუცი), ბელუში, გომბერი, მონძონი – პლაშილი (81. ფედატო), ლოდი, რინაუდო – ბერგესიო, კეკო (65. ლეტო), ბარიენტოსი.

**გაფრთხილება:** დანილო, გაბრიელ სილვა – ბელუში, ისკო, რინაუდო, ბერგესიო, ლეტო.

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-11(7-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 14 000

#### ლივორნო–ინტერი 2:2

**გოლები:** 0:1 ერნანესი (37), 0:2 პალასიო (45), 1:2 პაულინიო (54), 2:2 ემეგარა (85).

**ლივორნო (3-5-2):** ბარდი – ვალენტინი, ემერსონი (55. დუნკანი), კასტელინი - მბაიე, ბენასი, ბიაჯანტი, გრეკო (73. სილიგარდი), მესბა – ბელფოდილი (55. ემეგარა), პაულინიო.

**ინტერი (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – როლანდო, სამუელი, ჟუან ჟესუსი – ჯონათანი (79. ძანეტი), კუზმანოვიჩი, ერნანესი (69. გუარინი), ალვარესი (87. ბოტა), დამბროზიო – პალასიო, იკარდი.

**გაფრთხილება:** კასტელინი – სამუელი, ერნანესი, ბოტა.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 23-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 5-13(3-6); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 67-22 | 81 |
| 2. რომა | 30 | 21 | 7 | 2 | 58-15 | 70 |
| 3. ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 59-32 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-32 | 52 |
| 5. ინტერი | 31 | 12 | 13 | 6 | 49-23 | 49 |
| 6. პარმა | 30 | 12 | 11 | 7 | 49-37 | 47 |
| 7. ატალანტა | 31 | 14 | 4 | 13 | 37-39 | 46 |
| 8. ლაციო | 31 | 12 | 9 | 10 | 40-40 | 45 |
| 9. ვერონა | 31 | 13 | 4 | 14 | 46-52 | 43 |
| 10. ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 45-40 | 42 |
| 11. მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-43 | 42 |
| 12. სამპდორია | 31 | 11 | 8 | 12 | 40-43 | 41 |
| 13. ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 34-39 | 39 |
| 14. უდინეზე | 31 | 11 | 5 | 15 | 34-42 | 38 |
| 15. კალიარი | 31 | 7 | 11 | 13 | 29-41 | 32 |
| 16. კიევო | 31 | 7 | 6 | 18 | 26-46 | 27 |
| 17. ბოლონია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-48 | 26 |
| 18. ლივორნო | 31 | 6 | 7 | 18 | 34-58 | 25 |
| 19. სასუოლო | 31 | 5 | 6 | 20 | 29-61 | 21 |
| 20. კატანია | 31 | 4 | 8 | 19 | 23-55 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 – ჩირო იმობილე (ჯენოა); 14 – ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი); 13 – ლუკა ტონი (ვერონა), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მარიო ბალოტელი (მილანი).

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXXI ტური

#### გრანადა–ლევანტე 0:2

**გოლები:** 0:1 დ. ნავარო (49), 0:2 პედრო ლოპესი (88)

**გრანადა** (4-3-2-1): რობერტო – ნიომი (70. პიტი), კოეფი, მურილიო, ანგულო – იტურა, ფრან რიკო, რესიო (61. ბუონანოტე) – რიკი, ბრაჰიმი – ელ-არაბი (83. იგალო)

**ლევანტე** (4-2-3-1): კ. ნავასი – ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი, ელ ადუა – პ. დიოპი, სიმაო ჟუნიორი – რუბენ გარსია (67. პედრო ლოპესი), ვიქტორი, ივანშიტცი (77. ექტორ როდასი) – ბარალი (87. ბ. დიავარა)

**გაფრთხილება:** ელ-არაბი, მურილიო – რუბენ გარსია, ბარალი, დ. ნავარო, ხუანფრანი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-15 (1-5); **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 15 338

#### ბეტისი–მალაგა 1:2

**გოლები:** 1:0 ლ. რეიესი (30), 1:1 ხუანმი (83), 1:2 სერხი დარდერი (87)

**ბეტისი** (4-4-2): ადანი – ხუანფრანი, პაულაო, ხ. ფიგერასი, ჩიკა (85. ბ. როდრიგესი) – ლეო ბაპტიშტაო (81. ვადილიო), ა. ნდიაიე, ლ. რეიესი, ხუან კარლოსი – ხორხე მოლინა (78. ნონო), რუბენ კასტრო

**მალაგა** (4-2-3-1): ვ. კაბალიერო – ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ფლავიო, ანტუნეში (80. ელიზეუ) – სერხი დარდერი, ი. კამაჩო – სამუ (72. ხუანმი), პორტილიო (61. რესკალდანი), ამრაბატი – სანტა კრუს

**გაფრთხილება:** ა. ნდიაიე, ხუანფრანი – ანტუნეში, ფლავიო, ამრაბატი, სანტა კრუსი, სერხიო სანჩესი, ხუანმი, ი. კამაჩო

**გამოუყენებელი პენალტი:** რუბენ კასტრო (90. ბეტისი)

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 6-11; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 11-8 (2-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 31 | 24 | 4 | 3 | 69-22 | 76 |
| 2. ბარსელონა | 31 | 24 | 3 | 4 | 89-25 | 75 |
| 3. რეალი | 31 | 23 | 4 | 4 | 86-32 | 73 |
| 4. ბილბაო | 31 | 16 | 8 | 7 | 53-34 | 56 |
| 5. სევილია | 31 | 14 | 8 | 9 | 55-46 | 50 |
| 6. სოსიედადი | 31 | 14 | 8 | 9 | 54-44 | 50 |
| 7. ვილიარეალი | 31 | 14 | 7 | 10 | 51-37 | 49 |
| 8. ესპანიოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 34-36 | 40 |
| 9. ვალენსია | 31 | 11 | 7 | 13 | 44-45 | 40 |
| 10. ლევანტე | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 11. სელტა | 31 | 10 | 6 | 15 | 34-44 | 36 |
| 12. მალაგა | 31 | 9 | 8 | 14 | 31-39 | 35 |
| 13. გრანადა | 31 | 10 | 4 | 17 | 28-42 | 34 |
| 14. ვალეკანო | 31 | 10 | 3 | 18 | 34-68 | 33 |
| 15. ელჩე | 31 | 7 | 11 | 13 | 25-42 | 32 |
| 16. ხეტაფე | 31 | 8 | 7 | 16 | 29-48 | 31 |
| 17. ვალიადოლიდი | 31 | 6 | 12 | 13 | 32-50 | 30 |
| 18. ალმერია | 31 | 8 | 6 | 17 | 33-58 | 30 |
| 19. ოსასუნა | 31 | 8 | 6 | 17 | 26-52 | 30 |
| 20. ბეტისი | 31 | 5 | 7 | 19 | 27-61 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 – კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 – დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 23 – ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 – ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 – ანტუან გრიზმანი (სოსიედადი).

**არგენტინა. ტორნეო ფინალი. X ტური**



სუპერკლასიკო სტუმრების გამარჯვებით დასრულდა

# სუპერკლასიკო რივერმა მოიგო

**ოლ ბოისი-გოდოი კრუსი** 0:0

**ესტუდიანტესი-ოლიმპო** 0:0

**ბელგრანო-არ. ხუნიორსი** 0:0

გაძევება: ს. პერეირა (63. ბელგრანო), ს. როდრიგესი (83. ბელგრანო)

**ველესი-ხიმნასია** 5:1

გოლები: 0:1 რ. კონტრერასი (22), 1:1 პრატო (50), 2:1 კანტეროსი (68), 3:1 მ. სარატე (75-პენ), 4:1 ალიონე (86), 5:1 ალიონე (89)

გაძევება: გ. დიასი (70. ხიმნასია)

**ნიუელსი-კილმესი** 1:1

გოლები: 1:0 ტრეზეგე (78), 1:1 გ. რიოსი (89)

**ატლ. რაფაელა-რასინგი** 2:2

გოლები: 0:1 დე პაული (51), 1:1 ალბერტენგო (53), 2:1 ბასტია (59), 2:2 ვიეტო (82)

**ლანუსი-როსარიო** 2:1

გოლები: 1:0 ვ. აიალა (65), 1:1 კარისო (67), 2:1 ისკიერდოსი (83)

**არსენალი-კოლონი** 1:0

გოლი: 1:0 კარალიო (67)

**ბოკა-რივერი** 1:2

გოლები: 0:1 ლანსინი (58), 1:1 რიკელმე (68), 1:2 რამირო ფუნეს მორი (86)

**ტიგრე-სან ლორენსო** 2:2

გოლები: 0:1 ა. კორეა (5), 1:1 პერეს გუედესი (64), 2:1 ნაუელპანი (87), 2:2 მასი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლონი | 10 | 5 | 3 | 2 | 9-6 | 18 |
| 2. ველესი | 10 | 5 | 2 | 3 | 20-14 | 17 |
| 3. ესტუდიანტესი | 10 | 4 | 5 | 1 | 7-4 | 17 |
| 4. რივერი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-10 | 17 |
| 5. გოდოი კრუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-8 | 16 |
| 6. ლანუსი | 10 | 5 | 1 | 4 | 12-14 | 16 |
| 7. სან ლორენსო | 10 | 4 | 3 | 3 | 10-9 | 15 |
| 8. ოლიმპო | 10 | 4 | 3 | 3 | 8-7 | 15 |
| 9. ნიუელსი | 10 | 3 | 5 | 2 | 12-8 | 14 |
| 10. ატლ. რაფაელა | 10 | 3 | 4 | 3 | 14-13 | 13 |
| 11. ოლ ბოისი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-11 | 13 |
| 12. ბოკა | 10 | 3 | 3 | 4 | 9-9 | 12 |
| 13. როსარიო | 10 | 3 | 3 | 4 | 11-12 | 12 |
| 14. ბელგრანო | 10 | 2 | 6 | 2 | 13-15 | 12 |
| 15. ხიმნასია | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 16. არ. ხუნიორსი | 10 | 2 | 5 | 3 | 5-7 | 11 |
| 17. ტიგრე | 10 | 1 | 7 | 2 | 4-5 | 10 |
| 18. არსენალი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-13 | 10 |
| 19. რასინგი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-13 | 8 |
| 20. კილმესი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-10 | 8 |

**ბომბარდირები:** 7 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 4 - ბლანდი (სან ლორენსო), გრასიანი (კოლონი), კარილიო (ესტუდიანტესი), კასტელანი (გოდოი კრუსი), კავენაგი (რივერ პლეიტი), პისკულიჩი (არგენტინოს ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

**გასავარდნი ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ტიგრე | 105 | 132 | 1.257 |
| 16. ოლ ბოისი | 105 | 130 | 1.238 |
| 17. კოლონი | 105 | 130 | 1.238 |
| --- | | | |
| 18. გოდოი კრუსი | 105 | 127 | 1.210 |
| 19. კილმესი | 67 | 79 | 1.179 |
| 20. არ. ხუნიორსი | 105 | 122 | 1.162 |

## სუპერკლასიკო

ტურის მთავარი მატჩი, რა თქმა უნდა, „ბომბონერაზე" გამართული „სუპერკლასიკო" იყო, რომელიც „რივერ პლეიტის" გამარჯვებით დასრულდა, არადა, მთლიანობაში „ბოკამ" სტუმრებს აჯობა, მაგრამ საგოლე მომენტების გამოყენება ვერ შეძლო.

პირველ ტაიმში მასპინძლები საკმაოდ დიდ უპირატესობას ფლობდნენ და რომ არა უიღბლობა, „რივერის" კარში მინიმუმ ერთი გოლი მაინც უნდა გასულიყო. რამდენიმე კარგი მომენტი „ბოკელებმა" თავად გაანიავეს, რიგ ეპიზოდებში კი კარგად ითამაშა სტუმართა მეკარე **მარსელო ბაროვერომ**. მეორე ნახევარი პირველის მსგავსად დაიწყო - „ბოკას" შეტევებით, მაგრამ გოლი **აგუსტინ ორიონის** კარში გავიდა. სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, რომელშიც **ედერ ალვარეს ბალანტაც** ჩაერთო. კოლუმბიელმა მცველმა მასპინძელთა მცველების ყურადღება მიიპყრო, რამაც საშუალება მისცა **ტეო გუტიერესს** მარტოდ დარჩენილი **მანუელ ლანსინი** მოეძებნა. ამ უკანასკნელმა ბურთი საჯარიმოში მიიღო და ანგარიშიც გახსნა.

საპასუხო ბურთი ზუსტად 10 წუთში გავიდა. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული **ხუან მანუელ მარტინესის** წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **ხუან რომან რიკელმემ** იდეალურად შეასრულა და ულამაზესი გოლი გაიტანა. დიდი ალბათობით, ვეტერანი ამ ჩემპიონატის მერე კარიერას დაასრულებს, რაც ნიშნავს იმას, რომ რიკელმე „სუპერკლასიკოში" უკანასკნელად მონაწილეობდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მასპინძლებს უკან არ დაუხევიათ, „რივერი" კი თითქოს ფრეზეც თანახმა იყო, მაგრამ საბოლოოდ, სამი ქულა სწორედ **რამონ დიასის** გუნდს დარჩა. ლანსინიმ კუთხური მოაწოდა, ორიონი გამოსვლაზე შეცდა, მეკარეს კი **რამირო ფუნეს მორიმ** დაასწრო და პრიმერა დივიზიონში თავისი პირველი გოლი გაიტანა - 1:2. „ლოს მილიონარიოსმა" „ბომბონერაზე" 10-წლიანი პაუზის შემდეგ იმარჯვა. სხვათა შორის, 10 წლის წინ, გამარჯვების გოლი იმ **ფერნანდო კავენაგიმ** გაიტანა, რომელიც ამჟამად „რივერის" კაპიტანია.

## სხვა მატჩები

ტურის სხვა მოვლენებიდან აღსანიშნავია „ველეს სარსფილდის" შთამბეჭდავი გამარჯვება. **ხოსე ფლორესის** გუნდმა „ხიმნასიას" 5:1 მოუგო. დუბლი შეასრულა **აგუსტინ ალიონემ**, თუმცა მის გოლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. მორიგი, უკვე მე-7 ბურთი გაიტანა **მაურო სარატემ**, ვინც თავი ერთი საგოლე პასითაც გამოიჩინა.

მთავარი სენსაცია **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე დაფიქსირდა, სადაც „ნიუელსმა" ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ „კილმესს" ვერ მოუგო. შესანიშნავად ითამაშა ცვლილებაზე შემოსულმა **დავიდ ტრეზეგემ**, ვინც გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, რამდენიმე ჭკვიანური გადაცემის ავტორიც გახდა, თუმცა პარტნიორებმა ვეტერანს გარჯა ვერ დაუფასეს.

ბოლო ადგილზე მყოფმა სარანდის „არსენალმა" ლიდერ „კოლონს" მოუგო, მაგრამ ეს შედეგი დიდად მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, „კოლონი" ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. მიუხედავად ამისა, აგერ უკვე 10 ტურია გასული და **დიეგო ოსელიას** გუნდი, მიუხედავად მარცხისა, მაინც პირველ პოზიციაზეა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - სანტა ფეს წარმომადგენელი ჩემპიონობისთვის იბრძვის, მაგრამ ამავე დროს, მას ლიგიდან გავარდნაც ემუქრება.

**ტატო ბაციკაძე**

**ამბები**

## ნაპოლის სატრანსფერო ფიქრები

**რაფაელ ბენიტესი** ისევ დაცვისა და ნახევარდაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და ფეხბურთელებს პირველ რიგში კვლავ ესპანეთში ეძებს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „ნაპოლისა" და „ბარსელონას" შორის უკვე დაიწყო მოლაპარაკება **ხავიერ მასკერანოს** შესახებ. არგენტინელს ერთი დიდი პლუსი აქვს - კატალონიელები მას ხშირად დაცვის ცენტრში იყენებენ, მოგეხსენებათ, ის საყრდენი ნახევარმცველია. ბენიტესს 29 წლის ფეხბურთელის ხელში ჩაგდება ძალიან უნდა. გეტყვით იმასაც, რომ მასკერანოს „ბარსასთან" მოქმედ კონტრაქტს ვადა 2016 წლის 30 ივნისს გასდის.

## რას გეგმავს როჯერსი?

ინგლისურ „ლივერპულს" ფაქტობრივად განაღდებული აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზური, ის კი არა მერსისაიდელები ჩემპიონობისთვის იბრძვიან. მოკლედ, **ბრენდან როჯერსის** გუნდს შემდეგი სეზონისთვის გაძლიერება სჭირდება და ზაფხულში რამდენიმე ტრანსფერს გეგმავს. „ენფილდის" ბინადართა ახალი სამიზნე **მარსელოა**, რომელშიდაც ლივერპულელები 25 მილიონ ფუნტს გაიმეტებენ, თუ მადრიდის „რეალს" ბრაზილიელის გაშვება უნდა და ეს თანხა დააკმაყოფილებს. შეგახსენებთ, რომ მარცხენა მცველი „რეალში" 2007 წელს გადავიდა, როდესაც მხოლოდ 18 წლის იყო. პარალელურად, „ლივერპული" **მატეა კოვაჩიჩის** დამატებაზე ფიქრობს. 19 წლის სერბი ზაგრების „დინამოდან" დიდი ამბით მიიყვანეს, მაგრამ იგი „ინტერში" ვერ გაიხსნა. იმასაც ამბობენ, რომ მას **ვალტერ მაცარისთან** კონფლიქტი აქვს. მოკლედ, თუ ინგლისური კლუბი მოინდომებს, კოვაჩიჩს 8-10 მილიონი ფუნტის ფარგლებში ხელში ჩაიგდებს.

## მოიესმა ფული გაანაწილა

ინგლისურ წყაროებს თუ ვენდობით, „ასტონ ვილასთან" დამაჯერებელმა გამარჯვებამ **დევიდ მოიესისადმი** ხელმძღვანელობის ნდობა კიდევ უფრო გაზარდა და ფანებმაც ტყუილად დაიქირავეს შვეულმფრენი, რომელსაც 840 ფუნტი გადაუხადეს, რადგან „ოლდ ტრაფორდის" თავზე ასეთი წარწერით გადაეფრინა - „Wrong One - Moyes Out". მოკლედ, მოიესი რჩება და იმ 200 მილიონი ფუნტიდან რომელიც უნდა გამოუყონ, შოტლანდიელს რალაც ნაწილი უკვე გადაუხარისხებია და რამდენიმე ტრანსფერის გაჩარხვა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

მოიესის მთავარი სამიზნე **ტონი კროოსია**, რომელიც მიუნხენის „ბაიერნს" ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება და გერმანული ჟურნალ-გაზეთების ცნობით, წასვლა აქვს გადაწყვეტილი. გარდა ამისა, „წითელი ეშმაკების" თავკაცი არ დაიშურებს 37 მილიონ ფუნტს „სპორტინგის" ახალგაზრდა ტალანტში **უილიამ კარვალიოში**. 21 წლის ნახევარმცველის გამოსასყიდი თანხა სწორედ ამდენს შეადგენს, მაგრამ მას „რეალი" და „ბარსელონაც" უტრიალებენ. კიდევ ერთი ვარიანტი **ილქაი გიუნდოგანი** ყოფილა, რომელიც „დორტმუნდიდან" წასვლას არ გამორიცხავს. „მანჩესტერს" დაცვის გვარიანად გაძლიერება რომ სჭირდება, ისედაც ცნობილია და უახლოეს მომავალში ალბათ იმ უკანახაზელების სიაც გაცხადდება, რომლებიც მოიესს აინტერესებს.

**გიორგი კაკაბაძე**

**ინტერვიუ. ჰოვარდ ვები**

# ასეთია მსაჯის ბედი

## ჰოვარდ ვები, ანონიმურად კომპეტენტური

**ჰოვარდ ვები ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არბიტრია, რომელმაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იმსაჯა და ახლა 2014 წლის მუნდიალისთვის ემზადება. ინგლისელი თავის რთულ პროფესიაზე და განვლილ გზაზე გვესაუბრება...**

**- როგორ გადაწყვიტეთ მსაჯობა? ბავშვების უმეტესობა ფეხბურთელობაზე ოცნებობს...**

- მეც ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი. მსაჯების უმეტესობას რომ ჰკითხოთ, იგივეს გეტყვიან - ფეხბურთი გვიყვარს, ამიტომაც გავხდით არბიტრები, ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ბევრს ვმუშაობდი და ვცდილობდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი, მაგრამ შესაბამისი ტალანტი არ მქონდა.

**- რომელ პოზიციაზე თამაშობდით?**

- დიდი ცენტრალური მცველი ვიყავი, თამაშს კარგად ვკითხულობდი, მაგრამ მეორე სართულზე ვერ ვთამაშობდი. თავიდან ვფიქრობდი, რომ არბიტრები მელოტი, მოხუცი კაცები იყვნენ, როგორადაც ჩემი თავი ვერ წარმომედგინა და ამიტომაც, როდესაც მამაჩემმა (ნახევრად-პროფესიონალმა მსაჯმა) ეს შემომთავაზა, გავიფიქრე - არა, ეს ჩემთვის არ არის. ახლა, როდესაც ამას ვიხსენებ, ვინ იცის, ეგებ ბავშვები იმავეს ფიქრობენ ჩემზე (იცინის). როდესაც 17 წლის ვიყავი, გადავწყვიტე, სკოლის მეგობართან ერთად მსაჯობა მეცადა. ეს ყველაფერი დამთავრდა ზე ცუდი ის შეცდომებია, რომელსაც ვუშვებთ. არ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ როდესაც შეცდომას ვუშვებთ, სახლში მივდივართ და ვამბობთ - მოხდა, რაც მოხდა და ვივიწყებთ ყველაფერს. არა, არ გვავიწყდება და ეს ძალიან მტკივნეულია, თან გვესმის, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები მოქმედებს მატჩის, ფეხბურთელის, მწვრთნელის ბედსა და რეპუტაციაზე.

**- მსაჯებს არ ჰყავთ ფანები და ისინი სათაურებში მხოლოდ მაშინ ხვდებიან, თუ შეცდომებს დაუშვებენ... არბიტრობას განსაკუთრებული ხასიათი სჭირდება?**

- დიახ. ერთ დღეს ჩემ მიერ კარგად განსჯილ მატჩზე სტატია წავიკითხე, რომელშიც ჩემზე მხოლოდ ორი სიტყვა იყო - ანონიმურად კომპეტენტური - და ვიფიქრე, რომ ეს სრულყოფილი შეფასება გახლდათ. მსაჯებს ზუსტად ეს გვინდა, რომ ანონიმურად კომპეტენტურები ვიყოთ. ხანდახან გიწევს საკუთარი თავის წინ წამოწევა, როდესაც მძიმე მატჩი გამოდის, მაგრამ თუ მინდორს კმაყოფილი ტოვებ და სირთულეები არ ყოფილა, ძალიან ნასიამოვნები ხარ და თავი მსოფლიოს სათავეში გგონია. თუ შენზე არავინ ლაპარაკობს, ესე იგი კარგად იმუშავე.

**- რა გახსენდებათ იოჰანესბურგში ესპანეთსა და ჰოლანდიას შორის გამართულ ფინალზე?**

- მახსოვს, როგორ გავედი მინდორზე, ავილე „ოქროს ჯაბულანი", ჩავუარე მსოფ-



ჰოვარდ ვები (შუაში)

იმით, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ვიმსაჯე. შესაძლოა, იქ მოხვედრას სხვა ამპლუაში ვოცნებობდი, მაგრამ მთავარია - მოვხვდი. კარიერისას ვიმოგზაურე 44 ქვეყანაში, ეს ბრწყინვალეა და ნამდვილად ღირდა.

**- ანუ ამ პროფესიას რეკომენდაციას უწევთ?**

- რასაკვირველია. ყველას, ვისაც ფეხბურთი უყვარს, მსაჯობაც ვარიანტად უნდა განიხილოს. ყველას არ აქვს ისეთი ნიჭი, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშოს. სამაგიეროდ, სწორი მუშაობის და მონდომების შემთხვევაში, შეუძლია კარგი მსაჯი გამოვიდეს.

**- ფეხბურთელობისას მსაჯებს თუ ედავებოდით ხოლმე?**

- მე მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული. ისიც მიკვირდა, რომ სხვა ფეხბურთელებს დრო ჰქონდათ ჩემი თამაშის კომენტირების, როდესაც საკუთარ თამაშზე უნდა ეფიქრათ. არბიტრებს ყოველთვის პატივს ვცემდი. საერთოდაც, მიმაჩნია რომ მსაჯებსა და ფეხბურთელებს შორის ახლაც ძალიან კარგი ურთიერთობაა. ის, რომ ისინი გამოცდილ და შედარებით ცნობილ მსაჯებს უფრო ენდობიან, ბუნებრივია და ისიც ესმით, რომ ხანდახან მსაჯიც შეიძლება შეცდეს.

**- რა არის მსაჯობაში ყველაზე ცუდი და ყველაზე კარგი?**

- საუკეთესო ისაა, რომ შენს საყვარელ თამაშს საუკეთესო პოზიციიდან, უშუალოდ მინდვრიდან ადევნებ თვალყურს. გარდა ამისა, ამას ხმამაღლა ხშირად არ ამბობენ, მაგრამ სიმართლეა - ხალხი ბილეთში ფულს იხდის, მე კი - არა, უბრალოდ, თამაშზე მივდივარ. რა თქმა უნდა, ბევრი შრომა მიწევს, მაგრამ თან საუკეთესო პოზიციაში ვარ. ყველალიოს თასს... ეს ადრე არაერთხელ მქონდა ნანახი ტელევიზიით, მაგრამ რეალურად რაც განვიცადე, საოცარი იყო. ეს მეტალის ყველაზე ბრწყინვალე ნაწილი გახლდათ, რომელიც ცხოვრებაში დამინახავს.

**- თასის ხელში აღება ხომ არ მოგინდათ?**

- დიახ! (იცინის) ეს ჩემი ოცნება იყო და იქ ყოფნა დიდი პატივი გახლდათ. ახლაც კი, როდესაც ვიხსენებ და ამაზე ვლაპარაკობ, ჟრუანტელი მივლის. იმ ფინალმა ჩემი ცხოვრება შეცვალა.

**- რამდენჯერ უყურეთ იმის მერე მატჩის ჩანაწერს?**

- მხოლოდ ერთხელ. ოთხი კვირა დავიცადე და მერე მეგობართან ერთად ვუყურე. თუმცა ვნახე იმიტომ, რომ მინდოდა მაქსიმალურად კარგად შემენახა მოგონება იმის შესახებ, რაც რეალურად განვიცადე. რთული მატჩი იყო, რომელსაც იმაზე უკეთ გავუმკლავდი, ვიდრე თავიდან მეგონა. ახლა ის მატჩი სამუდამოდ ჩემს თავსა და გულშია.

**- ფინალთან დაკავშირებით ალბათ ბევრი ისტორია გაქვთ, გაგვიზიარებთ?**

- დიახ, რამდენიმე ისტორია ნამდვილად არის. როდესაც მინდორს ვტოვებდი, მამაჩემს გავხედე, იგი ტრიბუნაზე იყო, ინგლისის დროშით, რომელსაც ეწერა „ვერ თამაშობს, მაგრამ მსაჯობს" - ეს დიდებული შეგრძნება გახლდათ.

**- მას მერე, რაც ფინალის ჩანაწერი ნახეთ, რომელიმე გადაწყვეტილებას შეცვლიდით?**

- ერთს ან ორს. თუმცა მინდორზე გადაწყვეტილებას იღებ იმის მიხედვით, რა პოზიციაშიც ხარ იმ წუთას და რასაც ხედავ. მთავარია, სცადო საუკეთესო პოზიციაში იყო და სიტუაციაში მაქსიმალურად კარგად გაერკვე.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის შეჯამება

# ჰამბურგში დენთის სუნი ტრიალებს

## ფრაიბურგის და ნიურნბერგის მწვრთნელები ერთმანეთს ვეღარ იტანენ

**„ჰამბურგის“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ნამდვილად აღარაა წარმოუდგენელი. მეტიც: ეს უკვე რეალურია! დიდი გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის დაარსების დღიდან ყოველთვის ელიტაში თამაშობდა, მეორე ლიგისკენ ისევ ელვის სისწრაფით მიექანება. მიონხენგლადბახში წაგების (1:3) შემდეგ ჰამბურგელები მე-17 ადგილზე ჩამოქვეითდნენ - გულშემატკივრები გადარჩენის იმედს კარგავენ.**



ჰამბურგის კაპიტანი რაფაელ ვან დერ ვაარტი საგონებელშია

„მართლაც ძალიან სახიფათო სიტუაციაა, თუმცა ჯერ არ გავარდნილვართ. ექვსი ტური დაგვრჩა, ექვსი ფინალი!“ - ეს „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** სიტყვებია, რომელიც სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ მისი გუნდის თამაში დამაიმედებელი არ არის. მიზეზები გაინტერესებთ?

ჩრდილოელებს ამ უქმეებზე ისევ დაუშავდათ **პიერ-მიშელ ლასოგა** - თავდამსხმელი, რომელსაც ამ სეზონში 12 გოლი აქვს გატანილი. არადა, ლასოგას ტრავმის გამო ისედაც სამი კვირა გაუცდა. სლომკა: *„მისი მორიგი ტრავმა ჩვენთვის შოკია. მომდევნო ტურში, „ლევერკუზენთან“ ალბათ ვერ ითამაშებს, რაც უდიდესი დანაკლისი იქნება.“* ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, ლასოგას „გლადბახთან“ არ ეთამაშა. **რაფაელ ვან დერ ვაარტი:** *„პიერს დიდი ხანია პრობლემები აქვს და როგორც ჩანს, მისი დაბრუნება ნაადრევი იყო.“*

ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგების პესიმიზმის მეორე მიზეზი ისაა, რომ „ჰამბურგმა“ სტუმრად ზედიზედ მეექვსე მატჩი დათმო - სლომკას გუნდი გასვლით თამაშებში ქულების დაგროვებას ვერაფრით ახერხებს.

მესამე და ყველაზე მთავარი: „ჰამბურგს“ საკმაოდ რთული კალენდარი აქვს -მაგალითად, დარჩენილ მატჩებში „ლევერკუზენს“ და „ბაიერნს“ უნდა შეხვდეს...

### გადარჩენისთვის ბრძოლა ომში გადაიზარდა

*„ჩემი კოლეგის გვერდით ჯდომა არ მინდა. ის ჩემთვის კოლეგა არ არის!“* - თქვა „ფრაიბურგისა“ და „ნიურნბერგის“ მატჩის (3:2) შემდეგ სტუმართა თავკაცმა **გერტიან ვერბეეკმა** და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას ბოიკოტი გამოუცხადა. 51 წლის სპეციალისტმა კიდევ ბევრი რამ თქვა, მაგრამ მის განცხადებებს აღარ გავიმეორებთ, რადგან გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. მხოლოდ იმას გაგახსენებთ, რომ ვერბეეკმა „ფრაიბურგის“ დამრიგებელ **კრისტიან შტრაიხს** უნამუსო, არაკაცი და გიჟი უწოდა.

*„როცა წნეხის ქვეშ ხარ და აგებ, რა გასაკვირია, რომ ნერვებიც გიმტყუნებს. მას ნერვებმა უმტყუნა,“* - ეს 48 წლის შტრაიხის სიტყვებია.

მატჩის დაწყებამდე ვერბეეკი და შტრაიხი ერთმანეთს თბილად მიესალმენ და ხელიც ჩამოართვეს, მერე კი მონასტერი აირია, თამაშის დროს ორივე გაცხარდა, საფინალო სასტვენის შემდეგ კი ერთმანეთზეც კი გაიწიეს.

ვერბეეკი განსაკუთრებით იმის გამო გაცხარდა, რომ შტრაიხი რამდენჯერმე აქტიურად ითხოვდა „ნიურნბერგის“ ფეხბურთელებისთვის ყვითელი ბარათების ჩამორიგებას. ვერბეეკმა ერთ მომენტში ანიშნა, გიჟი ხარო და მატჩის შემდეგ ხელი აღარ ჩამოართვა. „ფრაიბურგის“ დამრიგებელი ამბობს, ვერბეეკისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებიაო, ეს უკანასკნელი კი ირწმუნება, რომ სწორედ ასე იყო.

„ფრაიბურგის“ მწვრთნელმა გუშინ კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა: *„90 წუთის განმავლობაში ვერბეეკისთვის ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს. არ ვიცი, რა დაემართა და რატომ დაუტრიალდა თავში ასეთი აზრები, ის კი ფაქტია, რომ საჯარო დისკრედიტაცია მწვრთნელის მხრიდან ძალიან დაბალი დონეა,“* - აღნიშნა შტრაიხმა.

მტყუან-მართლის გარკვევა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კოლეგები შტრაიხს უჩივიან. „ფრაიბურგის“ ემოციური დამრიგებელი „მაინცის“ მენეჯერმა **კრისტიან ჰაიდელმაც** გააკრიტიკა: *„შტრაიხი შესანიშნავი მწვრთნელია, მაგრამ ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: ის მიჩვეულია იმას, რომ ნებისმიერ საკამათო სიტუაციაში მეტოქე გუნდის სათადარიგოთა სკამისკენ მიტრიალდეს და ლანძღვას მოჰყვეს.“*

ასეა: გადარჩენისთვის ბრძოლა ომში გადაიზარდა...

### როისი ფორმაში შევიდა

გერმანიის ჩემპიონატის 28-ე ტურის მშვენება უდავოდ **მარკო როისი** გახლდათ: „დორტმუნდის“ 24 წლის ლიდერმა შტუტგარტში თამაში 0:2-დან ფაქტობრივად მარტომ შემოატრიალა - სამივე გოლი როისის ანგარიშზეა. ხვალ „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ რაუნდში მადრიდის „რეალს“ სტუმრობს და რაკი **რობერტ ლევანდოვსკი** დისკვალიფიცირებულია, ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში „ბორუსიას“ ფანებს სწორედ როისის იმედი აქვთ, რომელიც მართლაც შესანიშნავ ფორმაშია.

ბოლო დროს როისს მცირე ტრავმები აწუხებდა, საუკეთესო ფორმაში არ იყო და ვერ თამაშობდა ისე, როგორც მისგან ითხოვენ. „შტუტგარტთან“ შესრულებულმა ჰეთთრიკმა კი როისი ხასიათზე მოიყვანა: *„სამი გოლი თავდაჯერებისთვის ძალიან კარგია. ამაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ტრავმა აღარ მივიღო. „რეალთან“ მატჩისთვის კი მზად ვარ!“* - უთხრა როისმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**საუკეთესო ფეხბურთელები „კიკერის“ შეფასებების მიხედვით**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 2.25 |
| 2. არიენ რობენი | ბაიერნი | 23 | 2.27 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 16 | 2.50 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 24 | 2.59 |
| 5. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 28 | 2.63 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 28 | 2.71 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 24 | 2.72 |
| 8. ტონი კროოსი | ბაიერნი | 25 | 2.73 |
| 9. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 26 | 2.77 |
| 10. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 17 | 2.78 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | ბაიერნი | 27 | 16 | 11 | 27 |
| 2. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 27 | 14 | 10 | 24 |
| 3. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 26 | 17 | 6 | 23 |
| 4. ადრიან რამოსი | ჰერტა | 28 | 16 | 7 | 23 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 25 | 12 | 9 | 21 |
| 6. მარკო როისი | დორტმუნდი | 24 | 12 | 9 | 21 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 9 | 12 | 21 |
| 8. რაფაელი | გლადბახი | 28 | 14 | 6 | 20 |
| 9. იოზიპ დრმიჩი | ნიურნბერგი | 27 | 16 | 3 | 19 |
| 10. მაქს კრუზე | გლადბახი | 28 | 10 | 9 | 19 |

**ტურის გმირი**

**მარკო როისი (დორტმუნდი)**

მას მერე, რაც გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ჩილესთან ამხანაგურ მატჩში არ გამოიძახა, მარკო როისმა პასუხისმგებლობა იგრძნო და მნიშვნელოვნად მოუმატა. „შტუტგარტთან“ შესრულებული ჰეთთრიკით კი იოგის დაუმტკიცა, რომ არა მარტო მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის, არამედ ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია. როისის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 17 გოლი და 15 საგოლე პასია, რითაც მან თითქმის უკვე მიაღწია შარშანდელ შედეგს (19/14).



**სიმბოლური ნაკრები**




გერმანიის ნაკრები



სამი ხედირა მსოფლიოს ჩემპიონატს არ დააკლდება

# ხედირა მოასწრებს!

## სამიმ ვარჯიში დაიწყო

როცა **სამი ხედირას** 15 ნოემბერს, იტალიასთან ამხანაგურ მატჩში (1:1) მყესები გაუწყდა, მთელი საფეხბურთო გერმანია შოკში ჩავარდა, რადგან მაშინდელი მდგომარეობით ბუნდესგუნდის საყრდენი ნახევარმცველის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა თითქმის გამორიცხული იყო. ახლა კი გერმანიის ნაკრების ქომაგებისთვის კარგი ამბავი გვაქვს: „რეალის“ ფეხბურთელის გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე კარგად მიდის. ხედირამ მსუბუქად ვარჯიში დაიწყო და დიდი შანსია, რომ ბრაზილიაში გაემგზავროს.

*„ყველაფერი გაცილებით უკეთესადაა, ვიდრე ველოდით. წინასწარ ბევრი ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ უკვე მჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტს იდეალურ ფორმაში შევხვდები,“* - აცხადებს ხედირა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** გაახარებს, რადგან ბოლო დროს იოგი სწორედ იმაზე წუწუნებდა, რომ მის შეგირდებს ტრავმიანობა დასჩემდათ. მაგალითად, **ბასტიან შვაინშტაიგერიც** ახლახან გამოჯანმრთელდა და ლიოვი შიშობდა, რომ ეს უკანასკნელი მუნდიალის დაწყებამდე ფორმის აღდგენას ვერ შეძლებდა.

მუნდიალი 2014

# ზონდერ-მრჩეველი ბერტი

## კლინსმანს ბრაზილიაში ფოგტსი მიჰყავს!

აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ბერტი ფოგტსს** წაიყვანს. ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა გაავრცელეს. მათი ცნობით, ფოგტსი მუნდიალზე ზონდერ-მრჩევლის სტატუსით გაემგზავრება და კლინსის მარჯვენა ხელი იქნება.

გაგახსენებთ, რომ კლინსმანი გერმანიის ნაკრების კაპიტანი სწორედ მაშინ იყო, როცა ბუნდესგუნდს ფოგტსი თავკაცობდა. ბერტის ხელში იურგენმა და კომპანიამ 1996 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგეს. აღსანიშნავია, რომ მას მერე გერმანიის ნაკრებს ტიტული აღარ მოუგია. ცნობისათვის, გერმანიისა და აშშ-ის ნაკრები გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ ქვეჯგუფში არიან და ერთმანეთს 26 ივნისს ხვდებიან.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ფოგტსი ახლა აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, თუმცა ეს სტატუსი ხელს არ შეუშლის იმაში, რომ მუნდიალზე კლინსმანს დაეხმაროს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იურგენ კლინსმანი და ბერტი ფოგტსი 90-იანებში

ნაპოლი-იუვენტუსის გამოხმაურება



რაფაელ ბენიტესი (მარცხნივ) და ანტონიო კონტე

# ვინ უფრო მეტ ფულს ხარჯავს?

## ბენიტესი კონტეს წაეკიდა

სერია A-ს 31-ე ტურის მთავარი მატჩი ნეაპოლში გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ“ „იუვენტუსს“ უმასპინძლა და ორი ბურთის სხვაობით მოუგო - 2:0. მატჩის პერიპეტიებზე აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თამაში მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ნეაპოლელებს პირველ ნახევარ საათში შეეძლოთ საქმის მომთავრება, მაგრამ **ჯანლუიჯი ბუფონმა** „იუვე“ არაერთხელ იხსნა გოლისგან. მოკლედ, **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ დიდი მატჩების მოგება ეხერხება და თუ რამის გამო ჩამორჩება ტურინულ გრანდს, ეს არასტაბილურობაა. ნეაპოლელებმა ნაკლებად ამბიციურ გუნდებთან ბევრი ქულა დაკარგეს და ამად არის, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას დიდი ხნის წინ ჩამოშორდნენ...

ტრადიციულად, „ნაპოლი“-“იუვენტუსის“ დაპირისპირებას დიდი ვნებათაღელვა ახლავს თან და ასე იყო ამ შემთხვევაშიც. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რაფა ბენიტესმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა, რასაც დიდი ამბავი მოჰყვა - მოვუსმინოთ ესპანელს:

*„ურთულესი მატჩი იყო, რომელშიც ევროპის ერთ-ერთი ტოპ გუნდი დავამარცხეთ. პირველ ტაიმში, ბურთის ფლობის მაჩვენებელი 65% იყო ჩვენს სასარგებლოდ და ასეთ ძლიერ მეტოქესთან, ეს უდავოდ გამოსარჩევი ამბავია. ამ მატჩმა ნათლად დაგვანახვა, რომ „იუვენტუსს“ ბევრით არ ჩამოვრჩებით და ჩვენს შორის ასეთი დიდი სხვაობა არ უნდა იყოს. რატომ ვერ ვიგებთ სკუდეტოს? - „იუვენტუსს“ „ნაპოლიზე“ გაცილებით დიდი ბიუჯეტი და შესაბამისად, მეტი შესაძლებლობები აქვს. ჩვენი მიზანი ჯერ კიდევ გუნდის ფორმირებაა და ეს მაშინ, როდესაც „იუვე“ ყველგან და ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვის. მოგვეცით იმდენი ფული, რამდენიც ტურინელებს აქვთ, ყველაფერი შეიცვლება“.*

რაფაელ ბენიტესს „ნაპოლის“ პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** აუბა მხარი, რომელმაც „ტვიტერზე“ ასეთი განცხადება გააკეთა: *„აღფრთოვანებული ვარ „ნაპოლის“ თამაშით. აი, ეს არის ნამდვილი გუნდი, რომელიც დიდ სიმაღლეებს შეწვდება. თამაშამდეც ვიცოდი, რომ „იუვეს“ ბევრით არ ჩამოვრჩებოდით და მატჩის შემდეგ, ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი. სკუდეტო? - დავეთანხმები ბენიტესს, მომეცით კიდევ 150 მილიონი ევრო მხოლოდ ტრანსფერებისთვის და სკუდეტო აუცილებლად ჩვენი იქნება“.*

ნეაპოლელთა განცხადებებს ტურინში გამოეხმაურნენ და სხვებზე ადრე კომენტარი **ანტონიო კონტემ** გააკეთა: *„ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ის განცხადებები, რაც ნეაპოლელებმა გააკეთეს. ჯობია გაჩუმდნენ და გამარჯვებით დატკბნენ. საინტერესოა, რომელ ბიუჯეტზე ლაპარაკობენ, როდესაც „ნაპოლი“ ერთ ზაფხულში საშუალოდ 100 მილიონ ევროს ხარჯავს. მაგალითად, ბოლო სატრანსფერო ფანჯრისას, ჩვენ 25 მილიონი ევრო დავხარჯეთ და ისიც დავაბალანსეთ ისეთი ფეხბურთელების·გასხვისებით, როგორიც ემანუელე ჯაკერინია. და ეს მაშინ, როდესაც ნეაპოლელებმა ნახევარი „რეალი“ გადაიბირეს. მერწმუნეთ, მე რომ 100 მილიონი ევრო დამეხარჯა გასულ ზაფხულს, ჩემპიონობას მიუნხენის „ბაიერნზე“ ადრე ვიზეიმებდით. „ნაპოლიმ“ ერთ ზაფხულში დახარჯა იმდენი, რამდენსაც ჩვენ სამი წელია, ვხარჯავთ. ასე რომ, ჯობია, ყველამ თავის საქმეს მიხედოს“.*

**ლაშა ნიკლაური**

# კაკას დილემა: ორლანდო თუ ისევ მილანი



რიკარდო კაკას ამერიკაში ეპატიჟებიან

„მილანმა“ მიმდინარე სეზონი ჩააგდო და აქტიურად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ზაფხულში კლუბს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებს, მათ შორის **რიკარდო კაკა**. 31 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა არაერთხელ განაცხადა, რომ კარიერის მიწურულს ამერიკაში სურს გადაბარგება და იქ თამაში. ბოლო დღეებში, სულ უფრო აქტიურად ვრცელდება ცნობები, რომ რიკის გადაბირება „ორლანდო სიტის“ მესვეურებს სურთ და მიზანთან ახლოსაც არიან. მართალია, კაკას „მილანთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ იტალიელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ კონტრაქტში ჩადებული ერთი პუნქტის თანახმად, ჩემპიონთა ლიგაზე ვერმოხვედრის შემთხვევაში, ბრაზილიელს კლუბის დატოვება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია - ეს ინფორმაცია „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა:

*„რიკის კონტრაქტში მართლაც არის ერთი პუნქტი, რომელიც მას ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის უფლებას აძლევს. ფაქტია, რომ „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს და შესაბამისად, ყველაფერი თავად ფეხბურთელის ხელშია. ჩვენი სურვილია, რომ რიკარდო კიდევ დიდ ხანს დარჩეს „მილანში“ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“.*

კაკას ამერიკაში შესაძლო გადასვლაზე კომენტარი „ორლანდო სიტის“ მფლობელმა **ფილიპ როულინსმა** გააკეთა: *„ჩვენ ველაპარაკეთ კაკას და მან იცის, რომ ამერიკაში ფეხბურთის სათამაშოდ იდეალური პირობები ექნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რიკის ზღაპრულ წინადადებას ვთავაზობთ, საბოლოო სიტყვა კი მასზეა. ჩვენ დაველოდებით კაკას პასუხს“.*

რა პოზიცია აქვს თავად ფეხბურთელს? - აქვე, მის კომენტარს გაგაცნობთ: *„ვადასტურებ, რომ კარიერის მიწურულს სწორედ ამერიკაში მსურს ძალების მოსინჯვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შტატებში ამ ზაფხულს გადავბარგდები. ორლანდოდან მართლაც მივიღე შეთავაზება, რომელზეც პასუხი ჯერ არ მითქვამს. ამერიკაში წასვლა ცოტა ადრე მგონია, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც სეზონის ბოლოს მივიღებ“.*

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იმობილე ბრემენში?

## ჩიროს დორტმუნდიც უმიზნებს

როგორც ჩანს, „ვერდერი“ მეორე ბუნდესლიგაში ნამდვილად აღარ გავარდება. ბრემენელებმა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორეს. 28 ტურის შემდეგ „ვერდერი“ 32 ქულით მე-12 ადგილზეა და მე-16, ანუ სარელეგაციო პოზიციაზე მყოფ „შტუტგარტს“ (24) 8 ქულით უსწრებს. სეზონის დასრულებამდე კი 6 ტურია დარჩენილი, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ვერდერი“ გადარჩენილია.

შესაბამისად, ბრემენელებმა უკვე მომავალი სეზონისთვის ზრუნვა დაიწყეს და კონკრეტული სატრანსფერო გეგმები აქვთ. „მუსიკოსების“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე ახლა იტალიური „ტორინოს“ გოლეადორი **ჩირო იმობილეა**. ამ უკანასკნელით დაინტერესებას დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელებიც არ მალავენ, მაგრამ როგორც ირკვევა, „ვერდერს“ უკეთესი შანსები აქვს.

გერმანული გაზეთის, „კრაისცაითუნგის“ ცნობით, იმობილე „ვერდერში“ გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. ჩიროს იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 17 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა. შესაბამისად, დიდია იმის შანსი, რომ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** 24 წლის იმობილე მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანოს. „დორტმუნდთან“ შედარებით „ვერდერის“ უპირატესობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ბრემენულ კლუბს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ტურინის „იუვენტუსთან“ - იმობილეს სატრანსფერო უფლებების ნახევარი კი სწორედ „იუვეს“ ეკუთვნის.

**გოტფრიდ ლენცი**



ჩირო იმობილემ იტალიის ჩემპიონატში 17 გოლი გაიტანა

ამბები

### ტოჰირის სამიზნე ტორესია

„ინტერთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, ზაფხულში კლუბის მთავარი სატრანსფერო მიზანი **ფერნანდო ტორესი** იქნება. 30 წლის ესპანელი ფორვარდი „ჩელსიში“ ვერაფრით გაიხსნა და წესით, ახალი გამოწვევის მისაღებად მზად უნდა იყოს. პარასკევს, „ინტერის“ პრეზიდენტი **ერიკ ტოჰირი ვალტერ მაცარის** შეხვდა და განხილვის მთავარი თემა სწორედ ზაფხულის სატრანსფერო სეზონი იყო.

### კივუ ინტერს დაემშვიდობა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერის“ მესვეურებმა **კრისტიან კივუსთან** კონტრაქტი გაწყვიტეს და 33 წლის რუმინელი მცველი თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვეს. ბოლო სამ წელიწადში რუმინელმა მხოლოდ 40 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ბოლოს კი მოედანზე 2013 წლის მაისში გამოჩნდა. კრისტიანი მილანურ გრანდში 2007 წელს გადავიდა და მას შემდეგ, 168 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. კივუმ „ნერაძურისთან“ ერთად სამი სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო.

**ლაშა ნიკლაური**



კრისტიან კივუმ „ინტერში“ 7 წელი დაჰყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩების წინ

# იუნაიტედი VS ბაიერნი: პეპი ფავორიტობას არ უარყოფს

01.04. მანჩესტერი
ოლდ ტრეფორდი
22:45

**იუნაიტედი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +4=1-1 | +4=1-1 |

არბიტრი
ველასკო კარბალიო ესპ)

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები

იუნაიტედი: დე ხეა; ფერდინანდი, ჯონსი, რაფაელი, ბიუტნერი; კერიკი, გიგზი; კაგავა, ფელაინი, უელბეკი; რუნი

ბაიერნი: მიულერი; რიბერი, რობენი; კროოსი, შვაინშტაიგერი; ლამი; ალაბა, რაფინია; მარტინესი, ბოატენგი; ნოიერი

დისკვალიფიკაცია: ევრა - დანტე
ტრავმა: რაფაელი (?), ვალენსია (?), სმოლინგი, ვან დერ ვაარტი - ტ. ალკანტარა, ბადშტუბერი

**უარესი** საუკეთესოს წინააღმდეგ, ასე უწოდეს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბაიერნის“ დაპირისპირებას კენჭისყრისთანავე. დღეს „ოლდ ტრეფორდზე“ გამოჩნდება, რამდენად გადაჭარბებულია საფეხბურთო ექსპერტთა შეფასებები...

### მატჩის წინ

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„შარშან „ბაიერნი“ დიდებულად გამოიყურებოდა, გუნდმა მოიგო ჩემპიონთა ლიგა. წლეულს კი გერმანელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ.*

*მეტოქეს ახალი თავკაცი ჰყავს და მე მინდა, მას ბუნდესლიგის მოგება მივულოცო. ჩემი აზრით, დღევანდელი „ბაიერნი“ ყველასთვის მისაბაძი მაგალითია.*

*ვფიქრობ, ზენოლა ორივე გუნდზე თანაბარია, ხვალ ორივეს მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს. კარგი განწყობით გავდივართ და ვიცით, რომ ახლა უკეთეს ფორმაში ვართ. რა თქმა უნდა, ჩვენ ხშირად უნდა ვაჩვენოთ კარგი თამაში, მაგრამ მჯერა ჩემი ფეხბურთელების, ვიცი, რა შეუძლიათ მათ. ეს ვთქვი „იუნაიტედში“ მოსვლის პირველივე დღეს და ახლაც არ შემიცვლია ჩემი მოსაზრება.*

*სამწუხაროდ, დაცვის ხაზში პრობლემები გვაქვს და ერთი-ორი ცვლილება წინა თამაშთან აუცილებელი იქნება. აუცილებლად კარგად უნდა ვითამაშოთ, მოვუმატოთ. ამის სასიკეთო ნიშნები არის და მუშაობა ამ კუთხით უნდა გავაგრძელოთ. ძალიან მაგარ გუნდს ვეთამაშებით, მაგრამ უახლესი ისტორია გვეუბნება, რომ ასეთ მომენტებში „იუნაიტედი“ არ დაცემულა“.*

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბაიერნი): *„მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ვთამაშობთ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლუბის წინააღმდეგ. ეს იმისდა მიუხედავად, ახლა რა სიტუაციაა მეტოქის ბანაკში. ბოლო 10-15 წლის ისტორიას გადავხედოთ - „იუნაიტედი“ დიდი გუნდია და მას ახლაც კარგი ფეხბურთელები ჰყავს. ჩემთვის დიდი პატივია „ოლდ ტრეფორდზე“ გუნდის გამოყვანა, ბოლოს აქ 20 წლის წინ ვითამაშე.*

*მეოთხედფინალში 8 კლუბია და რვავე კლუბის რვავე მწვრთნელს და თითოეულ ფეხბურთელს სურს ტიტულის მოგება. ჩემთვის ლიგის მოგება არ არის პირველი მნიშვნელობის ამოცანა, თუმცა ის უდავოდ, ყველაზე პრესტიჟულია. მაგრამ ჩვენ ამის გამეორება გაგვიჭირდება, თუმცა კი აუცილებლად შევეცდებით. ბოლოს „ბაიერნმა“ ევროპული თასი 1976 წელს დაიცვა, ეს იყო ბეკენბაუერის გუნდი.*

*როგორც მწვრთნელს გუნდის მუდმივი პროგრესი მსურს, ჩვენი მოვალეობაც არის შარშან მოპოვებული პრესტიჟის დაცვა. ამიტომაც „იუნაიტედის“ წინააღმდეგ ბრძოლა დიდი პატივია.*

*არც ერთ მწვრთნელს არ უყვარს, როცა მის გუნდს ფავორიტად ასახელებენ, თუმცა მე არ ვეწინააღმდეგები. რა თქმა უნდა, ფავორიტები ვართ, რადგან შარშან ლიგა მოვიგეთ, ახლა კი ბუნდესლიგის დასრულებამდე 7 ტურით ადრე მოვიპოვეთ ქვეყნის ჩემპიონობა.*

*მაგრამ თავადაც ხომ კარგად ვიცი, რა გუნდს ვხვდებით, შესაძლოა, მას არ აქვს საუკეთესო სეზონი, მაგრამ ლიგაზე გაანადგურეს „ლევერკუზენი“ და მოიგეს მნიშვნელოვანი თამაშები. როცა ხედავ რუნის, რიოს, ჩიჩარიტოს, უელბეკს, ბოლოს და ბოლოს, გიგზს, ხვდები, რომ დიდი გუნდის წინააღმდეგ გიწევს თამაში“.*


„იუნაიტედის“ ბოლო ვარჯიში მატჩის წინ

### ბოლო მატჩი

**იუნაიტედი:** „ასტონ ვილა“ 4:1 გაანადგურა. გოლები **უეინ რუნიმ** (2), **ხუან მატამ** და **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანეს. მეშვიდეადგილოსანი „იუნაიტედი“ თავიდან აგებდა, თუმცა მატჩის ბედ-იღბალი შემოატრიალა. ეს გუნდის მხოლოდ მე-7 გამარჯვება იყო ჩემპიონატში „ოლდ ტრეფორდზე“.

**ბაიერნი:** „ბაიერნი“ უკვე ჩემპიონის რანგში დაუზავდა „ჰოფენჰაიმს“, გოლები **კლაუდიო პისარომ** (2) და **ჯერდან შაჩირიმ** გაიტანეს. გვარდიოლამ გუნდი გადაახალისა და მან 19-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

### ყველაზე დიდი დანაკლისი

იუნაიტედი: რობინ ვან პერსი (ტრავმა)
ბაიერნი: ტიაგო ალკანტარა (ტრავმა)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბარსელონა VS ატლეტიკო: საიდან დაგარტყამს მეტოქე და სად უპასუხებ შენ

01.04. ბარსელონა
კამპ ნოუ
22:45

**ბარსელონა**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +4=1-1 | +5=1-0 |

არბიტრი
ფელიქს ბრიხი (გერ)

**ატლეტიკო**

სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა: პინტო; პიკე, მასკერანო, დ. ალვესი, ალბა; ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა; სანჩესი, მესი, ნეიმარი

ატლეტიკო: დ. კოშტა, ვილია; ა. თურანი, კოკე; სუარესი, გაბი; ფ. ლუიში, ხუანფრანი; გოდინი, მირანდა; კურტუა

დისკვალიფიკაცია: - რ. გარსია
ტრავმა: ვალდესი, დოს სანტოსი, კუენკა - მანკილო,

**ერთი** ქვეყნის ორი სრულიად განსხვავებული გუნდი ორ ასპარეზზე იბრძვის ერთმანეთის წინააღმდეგ: ლა ლიგის და ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის. „კამპ ნოუზე“ დღეს, შესაძლოა, დიეგო სიმეონეს ფენომენი ან დაიქუხებს, ან...

### მატჩის წინ

**ხერარდო მარტინო** (ბარსელონა): *„გასულ და ამჟამინდელ სეზონებში „ატლეტიკო“ სასწაულებს სჩადის. ეს გუნდი ორი ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს და ორივეგან სერიოზული შანსი აქვს. ბოლო სამ მატჩში მათ წინააღმდეგ კარგად გამოჩნდა მადრიდელთა ძალა.*

*რადგან მეორე მატჩი სტუმრად გველის, უნდა მოვიგოთ და გოლი არ უნდა გავუშვათ. მოგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში, საპასუხო მატჩის წინ გარკვეული უპირატესობა გვექნება. ასეთ თამაშებში დიდი ბრძოლისუნარიანობა უნდა გამოიჩინოთ და ხვალ ასეც მოვიქცევით.*

*როდესაც მწვრთნელს აქვს იდეა, მას სჭირდება ზუსტი ფეხბურთელები ზუსტად განალაგოს ამ იდეის განსახორციელებლად. ტაქტიკური მოსაზრებებით, ნეიმარს ადგილებს ვუცვლით ხოლმე, მაგრამ ის ისეთი ფეხბურთელია, სხვადასხვა პოზიციიდან შეუძლია იყოს გუნდისთვის სასარგებლო.*

*აუცილებლად ყოველთვის უნდა იცოდე მეტოქეს პოტენციური საფრთხეების შესახებ. ვიცოდით, რომ „სიტი“ და „რეალი“ ფლანგებზე დიდებულები არიან, უნდა იცოდე, მეტოქე საიდან დაგარტყამს და სად გასცემ შენ პასუხს“.*

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„ბარსელონასთან“ ყველა ბოლო შეხვედრებიდან ეს მატჩი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. „ბარსა“ საუკეთესო კონდიციებს დაუბრუნდა და ხვალ ყველა ჩვენგანი ამას თავისი თვალით ნახავს. მეტოქე შეეცდება, პირველივე თამაშში გადაწყვიტოს მატჩის ბედი. შანსები, რაც შეგვექმნება, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.*

*სულელები არ ვართ, არ ვიტყვით, რომ ფავორიტები ვართ, მაგრამ გპირდებით ბრძოლას. ეს დიდებული დაპირისპირება იქნება.*

*ჩვენ ზურგს დიდი კლუბის სახელი გვიმაგრებს, „ატლეტიკოს“ ისტორიას პატივი უნდა ვცეთ და ისე ვიბრძოლოთ, მომავალში სიამაყით გაიხსენონ. „ბარსელონა“ იმდენად ძლიერია, რომ ამ სეზონში ტიტულების ჰეთთრიკი შესრულება შეუძლია.*

*ლიგის ფინალში ორი არგენტინელი მწვრთნელი შევერკინებით. დაე, მოედანზე გაირკვეს, რომელი გაიმარჯვებს“.*


ხერარდო მარტინო ყურადღების ცენტრში

### ბოლო მატჩი

**ბარსელონა:** „ბარსელონას“ დერბი მძიმე ბრძოლაში მოიგეს, გამარჯვების ერთადერთი გოლი პენალტის ნიშნულიდან **ლიონელ მესიმ** გაიტანა. ეს იყო მესის მერვე გოლი ბოლო 4 მატჩში

**ატლეტიკო:** სიმეონეს გოლმა ბილბაოში მძიმე მატჩი გადაიტანა და გამარჯვებული გამოვიდა - 2:1 მოიგო. გოლები **დიეგო კოშტამ** და **კოკემ** გაიტანეს.

### ყველაზე დიდი დანაკლისი

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი (ტრავმა)
**ატლეტიკო:** რაულ გარსია (დისკვალიფიკაცია)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები



ადნან იანუზაი

## ბაიერნმა თვალი იანუზაის დაადგა

**მიუნხენის** „ბაიერნი“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა შემტევის **ადნან იანუზაის** შეძენითაა დაინტერესებული. გერმანული კლუბი მომავალში იყურება და თავისი ვეტერანი ლიდერების **არიენ რობენისა** და **ფრანკ რიბერის** შემცვლელებზე ფიქრობს. ერთ-ერთ ასეთად რეკორდმაისტერს სწორედ იანუზაი ესახება. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ნორჩ ტალანტთან განშორების სურვილით არ კვდება, მაგრამ „ბაიერნი“ სოლიდური თანხის გადახდას აპირებს. კარგად იცით ისიც, რომ თავად მანჩესტერელებს მიუნხენელთა რიგებიდან **ტონი კროოსის** წაყვანა უნდათ, მაგრამ თუ **ფრანც ბეკენბაუერს** ვენდობით, კროოსი გუნდში დარჩება.

## მენეზი და იუვე გადაწყდა?

**ფრანგულ-იტალიურ** პრესას თუ ვენდობით, **ჟერემი მენეზი** „იუვენტუსს“ უკვე შეუთანხმდა პირადი კონტრაქტის დეტალებზე და მისი ტურინელებში გადასვლა გადაწყვეტილია.

*„ჩემი მიზანი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაა და ამისთვის რეგულარული სათამაშო დრო მჭირდება. ამიტომაც, „პარი სენ ჟერმენის“ დატოვება მომიწევს“* - თქვა მენეზმა, რომელიც 7 მაისს 27 წლის გახდება.

## ვან ბასტენს ლოდევეგესი შეცვლის

**ცნობილი** გახდა, თუ ვინ შეცვლის „ჰერენვენის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მარკო ვან ბასტენს**. ეს 56 წლის **დუაიტ ლოდევეგესი** იქნება, რომელიც გუნდს მომავალი სეზონიდან ჩაიბარებს. იგი წლების მანძილზე „იგლსის“ ფეხბურთელი იყო და სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს. მაგალითად 2008/2009 წლების სეზონში პსვ-ს სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა, ასისტენტის რანგში ყოფილა „ჰერენვენშიც“, ამჟამად კი „კამბურის“ თავკაცია.

## ჰილსბოროს ტრაგედიის ხელახალი გამოძიება

**დიდი** ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს მიერ 2012 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, „ჰილსბოროს ტრაგედიის“ ხელახალი გამოძიება დაიწყო. საქმეს ახლა უორინგტონის სასამართლო განიხილავს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის წინ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას „ლივერპულის“ 96 ფანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულების ხსოვნას წელსაც პატივს მიაგებენ და სპეციალური ცერემონია 15 აპრილს „ენფილდზე“ გაიმართება.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ასეულს მიუახლოვდა

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) გასული კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ხუთი საფეხურით წაიწია წინ **ანა ტატიშვილმა**, რომელიც 609 ქულით ამჟამად 104-ეა (109). 217 (225), **სოფიო შაფათავა** (268), 313 (315). **ოქსანა კალაშნიკოვა** (143), 378 (382). **ეკატერინე გორგოძე** (108), 453 (451). **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 640 (646). **სოფიო ქვაცაბაია** (41), 1194 (1197), **მარიამ ბოლქვაძე** (5), 1243 (1247). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

**წყვილებში:** 50 (50). კალაშნიკოვა (1737), 71 69). ტატიშვილი (1175), 161 (160). შაფათავა (415), 429 (448). გორგოძე (115)7 462 (500). ქვაცაბაია (102), 766 (768). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 1266 (1256). ჭალაგანიძე (5), 1311 (1303). ბოლქვაძე (3).

ამ კვირას ჩვენი ჩოგბურთელები რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. კოლუმბიის ქალაქ მედელინში იმყოფება შაფათავა, რომელმაც გუშინ 50.000-იანი ტურნირის ძირითადი ბადის სტარტზე კანადელი ფრანსუა აბანდა სამ სეტში დაამარცხა - 2:6, 7:6, 7:5. ჩვენებური წყვილებში რუს მარინა მელნიკოვასთან არის შეამხანაგებული და განთესვის მე-2 ნომერი აქვს. პირველ წრეში აბანდას და დანიელა მორენო-კასტეს (აშშ) დუეტს დაუპირისპირდება.


ანა ტატიშვილი

ფრანგული დიჟონის 15.000-იანი ტურნირის სტარტზე მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი კვალიფიკაციიდან აღზევებულ კინი ლაინესთან (საფრანგეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

ანტალიის 10.000-იანი ტურნირის მესამე ნომერია ეკატერინე გორგოძე, რომელიც პირველ წრეში გერმანელ ლინდა პრენკოვიჩს გამოცდის, ხოლო სოფიო ქვაცაბაია რეიტინგფავორიტ იულია კალაბინას (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში ქართველთა ტანდემი მეორე ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში ნოზომი ფუჯიოკას (იაპონია) და ლინდა პრენკოვიჩს (გერმანია) შეხვდება.

ოქსანა კალაშნიკოვა მექსიკში მონტერეის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 500.000 დოლარი) ერთეულთა ასპარეზობას გამოეთიშა, წყვილებში კი კანადელ გაბრიელა დაბროვსკასთან ერთად მერვედფინალში მასპინძლებს — ალეხანდრა სისნეროსსა და კამილა ფუენტესს გამოცდის.

ყაზახური ჩიმკენტის ვაჟთა 10.000-იან ტურნირში სამი ქართველი ჩაება. **გიორგი ჯავახიშვილმა** საკვალიფიკაციოში ზედიზედ სძლია უზბეკებს — სანდორ პულატოვსა (6:1, 6:2) და ოდილ აკრამოვს (6:4, 6:1), რაც ძირითად ბადეში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა. იქ კი რუს ფიოდორ ჩერვიაკოვს დაუპირისპირდება.

საკვალიფიკაციოში იბრძოდა **გიორგი ცივაძეც**. პირველი შეხვედრა მან ადილ ელტაევს (ყაზახეთი) იოლად მოუგო — 6:2, 6:0, მაგრამ მეორე წრეში ალექსანდრ ჩეპელევთან (რუსეთი) დათმო მატჩი — 6:7, 2:6.

ძირითად ბადეშია **ალექსანდრე მეტრეველი**, რომელმაც გუშინ პირველ პაექრობაში პაველ ფილინს (ბელარუსი) აჯობა — 6:1, 7:6. მეტრეველი წყვილებშიც მოსინჯავს ძალებს დენის ევსეევთან (ყაზახეთი) ერთად და სტარტზე კაისერ ბეკიმოვსა (ყაზახეთი) და სანდორ პულატოვს (უზბეკეთი) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი


ნანა ძაგნიძე

# რეიტინგები სააპრილოდ

ფიდემ გუშინ თავის საიტზე მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა საუკეთესო ათეულში ადგილი შეინარჩუნა **ნანა ძაგნიძემ**, რომელიც 2550 პუნქტით მეექვსეა. სათავეში კი უწინდებურად უნგრელი იუდით პოლგარია (2685). ათეულში შემდეგ მოდიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2618), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2560), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2552), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2550), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2527), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2524). ასეულში ქართველთაგან, ძაგნიძის გარდა: 11. **ბელა ხოტენაშვილი** (2513), 27. **ლელა ჯავახიშვილი** (2475), 32. **ნინო ხურციძე** (2460), 33. **სალომე მელია** (2459), 62. **ნინო ბაციაშვილი** (2408), 64. **მერი არაბიძე** (2406), 69. **სოფიკო გურამიშვილი** (2394), 89. **თამარ წერეთელი** (2375), 90. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 94. **მაია ლომინეიშვილი** (2366), 98. **სოფიო გვეტაძე** (2356).

ვაჟთა ასეულს ისევ მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2881) მეწინავეობს. ათეულში არიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2812), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2783), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2772), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2772), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2772), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2760). პირველ ასეულში ერთადერთი ქართველია — **ბაადურ ჯობავა**, რომელსაც 2706 პუნქტით 41-ე საფეხური უკავია.

20-წლიანთა ასეულში სამი ქართველი გოგონაა: 6. **მერი არაბიძე** (2406), 33. **მარიამ დანელია** (2237) და 100. **ნატო იმნაძე** (2113). ამ ასაკის ვაჟთა ასეულში არავინ გვყავს.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# საგაზაფხულო ეტაპი პეგასმა მოიგო

სასპორტო კომპლექს „არენაში" დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის საგაზაფხულო ეტაპი, რომელმაც ფინალური ექვსეულის წევრები დაასახელა. ასპარეზობის ბოლო დღეს ორი საგზურის მფლობელი გაირკვა. „ფოთმა" 29:24 მოუგო „თელავს" და მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მეექვსე საგზური „გორისა" და „ზუგდიდის" მატჩში გათამაშდა. გორელები 2 ქულით წინ იყვნენ და ფრეც ჰყოფნიდათ. ტაიმი „ზუგდიდმა" მოიგო 17:13, მაგრამ შესვენების შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო 27:28 დამარცხდა. ფინალურ ექვსეულში „გორი" მოხვდა. ზუგდიდის მე-2 სკოლის გუნდმა, რომელსაც სპორტის მასწავლებელი **ნელი ფარცვანია** ავარჯიშებს, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ თავდადებული თამაშით სპეციალისტთა და ქომაგთა მოწონება დაიმსახურა.

საგაზაფხულო ეტაპის შემდეგ პირველ ადგილზე გავიდა „პეგასი", რომელმაც სეზონში პირველი მარცხი აგემა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონსა და თბილისის ლიგის ამ სეზონის გამარჯვებულ „ქარიშხალას" - 35:27. „ყვარელი" „სამტრედიასთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა და ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა.



**თელავი - ფოთი 24:29**

**თელავი:** ლილუაშვილი, ერგემლიძე, დანელიშვილი-11, კაიშაური-7, ბაჩიაშვილი-3, ყორიაული-2, გიგაური-1, საღირაშვილი, ალვინოვი, ხელაშვილი, მესხიშვილი, გაგნიძე.

**ფოთი:** ზარგინავა, ბიბილეიშვილი-13, მიქაძე-8, ბერაია-4, ბაჯალაძე-3, ჯიქია-1, გვასალია, გურეშიძე, ლორთქიფანიძე, მიქაია, წულაია, გვასალია.

**ზუგდიდი - გორი 27:28**

**ზუგდიდი:** ხასია, გრიგოლია-8, ესართია-6, ძაძამია-4, ბულია-4, კუკავა-3, ხურციძე-2, კვარაცხელია.

**გორი:** ვათიაშვილი, დალაქიშვილი-9, მჭედლიშვილი-6, ტიელიძე-4, მურადაშვილი-4, ნიაზაშვილი-3, ტარუაშვილი-1, ქესანაშვილი-1.

**მამული - იმედი 32:31**

**მამული:** დავითაშვილი, წულიაშვილი, შევჩენკო-12, კორაშვილი-9, ისმაილოვი-6, ტალახაძე-3, სხვიტარიძე-2, თოდუა.

**იმედი:** ხარაიშვილი, ბაინაზაშვილი-9, რუსტამოვი-6, ჰუსეინოვი-6, იობაშვილი-5, საძაგლიშვილი-2, მელაშვილი-2, მიქავა-1, თურქაძე, მღებრიშვილი, დვალიძე.

**პეგასი - ქარიშხალა 35:27**

**პეგასი:** ზურაბიშვილი, ზარნაძე-12, ნაზღაიძე-6, გაწერელია-6, გოგავა-5, ცხოვრებაძე-3, მაისურაძე-3.

**ქარიშხალა:** ხანდოლიშვილი, ხიდაშელი, კბილაშვილი-8, ფერაძე-7, ბულბულაშვილი-4, არსენაშვილი-4, გოგუა-2, მამულაშვილი-2, ჯინჭარაძე, ნიკლაური.

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე, გია წივწივაძე, გიორგი სამყურაშვილი.

| | მ | ფ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| პეგასი | 9 | 0 | 0 | +103 | 18 |
| ქარიშხალა | 8 | 0 | 1 | +87 | 16 |
| მამული | 6 | 0 | 3 | +2 | 12 |
| იმედი | 6 | 0 | 3 | +37 | 12 |
| გორი | 5 | 0 | 4 | +5 | 10 |
| ფოთი | 5 | 0 | 4 | -20 | 10 |
| ზუგდიდი | 3 | 0 | 6 | -34 | 6 |
| სამტრედია | 2 | 0 | 7 | -45 | 4 |
| თელავი | 1 | 0 | 8 | -48 | 2 |
| ყვარელი | 0 | 0 | 9 | -87 | 2 |

საუკეთესო ექვსეული 25-29 აპრილს ერთ წრედ იბრძოლებს მედლებისთვის. ყველაფერი თავიდან, ანუ 0 ქულიდან დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

### სამძიმარი

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ვეტერანი მოკრივე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**ლევან ანდღულაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

■ ■ ■

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ნაკრების წევრს მათე კოლუაშვილის მამის გარდაცვალების გამო**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნაკრები.

# ფერსელიძე ქაჯაიას ნაცვლად

**იაკობ ქაჯაიას** (130) ჭიდაობა ევროპის ჩემპიონატზე საბოლოოდ გამოირიცხა და მას ევროპის პრიზიორი **გურამ ფერსელიძე** შეცვლის.

მოგეხსენებათ, ჩვენი ახალგაზრდა ტალანტი ბორჯომში, ბოლო შეკრებაზე აპენდიციტმა შეაწუხა. ექიმებმა თავდაპირველ ანალიზში საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინეს, თუმცა ორი დღით მაინც დაიტოვეს დასაკვირვებლად. მათ ამის შემდეგაც დართეს ჭიდაობის ნება, მაგრამ კვირას საგანგებოდ მისთვის გასამართი საკონტროლო შეხვედრების წინ ქაჯაია ისევ ტკივილმა შეაწუხა. ამის შემდეგ გადაწყდა საკადრო ცვლილება ნაკრებში. ფერსელიძის საბუთები უკვე შეიტანეს საელჩოში, თუმცა მას ბოლო პერიოდში ტრავმა აწუხებდა.

ჩვენი ნაკრები 3 აპრილს გაფრინდება ფინურ ვანტააში, სადაც დღეს უკვე დაიწყო მოჭიდავეთა ევროპის პირველობა. ფერსელიძის გარდა, ჩვენს გუნდში **ლაშა გოგიტაძე** (59), **რევაზ ლაშხი** (66), **მანუჩარ ცხადაია** (71), **ზურაბ დათუნაშვილი** (75), **გიორგი ცირეკიძე** (80), **რობერტ კობლიაშვილი** (85) და **ვასილ იმერლიშვილი** (98) იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

თვის მოვლენები

## მარტი

**1. წყალბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო პლეი ოფში საქართველოს ნაკრები სტუმრად 9:12 დამარცხდა თურქეთის ნაკრებთან, მაგრამ ორი მატჩის ჯამში ევროპის ჩემპიონატის საგზური გაინაღდა.

**8. რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 24:17 მოუგო ესპანეთის ნაკრებს.

**15. რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა რუმინეთი 22:9 დაამარცხა და ერთა თასი და ანთიმოზ ივერიელის თასი მოიგო.

**21-23. ძიუდო.** თბილისის გრან პრიზე ქართველმა ძიუდოისტებმა 9 მედალი მოიპოვეს: 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **ნუგზარ ტატალაშვილი** (73 კგ), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ზვიად გოგოჭური** (90), **ადამ ოქრუაშვილი** (100+). ვერცხლის მედალი მოიპოვა **ლაშა შავდათუაშვილმა** (66). ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **უშანგი მარგიანი** (81), **ლევან მატიაშვილი** (120).

**26. ფეხბურთი.** 17-წლამდელთა ევროპის პირველობის ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი ნოდარ აკობია) გერმანიის ნაკრებთან 0:4 დამარცხდა.

**28. ფეხბურთი.** 17-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა სერბეთთან 0:2 წააგო.

**28-30. ძიუდო.** სამსუნის გრან პრიზე ქართველებმა 3 მედალი მოიპოვეს: ჩემპიონი გახდა **ბექა ღვინიაშვილი** (90 კგ), ვერცხლის მედალი წილად **ადამ ოქრუაშვილს** ხვდა (100+), ბრინჯაო - **ლევან მატიაშვილს** (100+).

**29. კალათბურთი.** საქართველოს თასის ფინალში „ქუთაისმა" 81:66 მოუგო „სოხუმს" და ისტორიაში პირველად დაეუფლა თასს.

**31. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბოლო მატჩი გამართა ელიტრაუნდში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი 2:2 დასრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღი

## აპრილი

01. 1925. დაიბადა **თენგიზ გიორგაძე** — მოჭადრაკე, ჟურნალისტი. გარდაიცვალა 2012 წელს

01. 1933. დაიბადა **რობერტ შავლაყაძე** — მძლეოსნობა

01. 1938. დაიბადა **ლერი გოგოლაძე** — წყალბურთი

01. 1965. დაიბადა **ზაზა თურმანიძე** — თ\ჭიდაობა

01. 1986. დაიბადა **ვიქტორ სანიკიძე** — კალათბურთი

02. 1911. დაიბადა **გრიგოლ მეუნარგია** — კალათბურთი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1967 წელს

02. 1913— დაიბადა **მიხეილ ზარგარიანი** — „ლელოს" ფოტორეპორტიორი. გარდაიცვალა 1979 წელს

02. 1938. დაიბადა **ირინა ერმოლოვა** — ჩოგბურთი

02 1970. დაიბადა **კახა ვახტანგიშვილი** – ციგაობა

02. 1989. დაიბადა **გიორგი შერმადინი** — კალათბურთი

03. 1940. დაიბადა **ცისანა აბუაშვილი** — ფრენბურთი

04. 1938. დაიბადა **ჯანსულ ბაგრატიონი** — ხელბურთი, სპორტის მოღვაწე

04. 1941. დაიბადა **ლუდმილა ივლევა** — მძლეოსანი

04. 1949. დაიბადა **რომან მარსაგიშვილი** — თ\ჭიდაობა

05. 1964. დაიბადა **ვახტანგ იაგორაშვილი** — თ\ხუთჭიდი

06. 1932. დაიბადა **ვაჟა გვანცელაძე** — კალათბურთი

06. 1936. დაიბადა **ვალერიან (სულიკო) როგავა** — თანამედროვე ხუთჭიდი

06. 1946. **იროდი ბეჟაშვილი** — ფეხბურთი

06. 1951. **დაიბადა მიხეილ ხარშილაძე** — რაგბი

06. 1964. დაიბადა **მაია აზარაშვილი** — მძლეოსნობა

## მილოცვა

ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, ვაჟა ნუცუბიძე, ბადრი ქარქაშაძე, ამირან აფრიამაშვილი, ირაკლი პეტრიაშვილი, გაბრიელ ბარჯაძე, თენგიზ რუხაძე, ვალერი ჩოლარია, ვანო მეკრავიშვილი, თემურ ლორთქიფანიძე, ბადრი მაჭავარიანი, ელგუჯა ბითარიშვილი დაბადების დღეს ულოცავენ ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტყვიის სროლა

# ნინო სალუქვაძემ სუპერფინალი გაინაღდა



ნინო სალუქვაძე

ამერიკულ ფორტ ბენინგში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასზე **ნინო სალუქვაძემ** სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, რითაც მსოფლიოს თასის სუპერფინალში გამოსვლის უფლებაც გაინაღდა.

ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპი შემართებით დაიწყო – პირველივე სერიაში მხოლოდ სამჯერ დააცილა 10-იანს და 97 ქულა დააგროვა. მას ერთადერთი სერიოზული ჩავარდნა მეორე ნახევარში, პირველივე სერიაში მოუვიდა, რომელიც 94 ქულით დაასრულა. სამაგიეროდ, ამავე ნახევარში, მეორეში ჰქონდა საუკეთესო მაჩვენებელი – 99, ჯამში კი მისთვის არც ისე კარგი შედეგი – 581 ქულა დაუგროვდა. თუმცა ნახევარფინალში გასასვლელად ესეც ეყო, ოღონდ იქ ბოლო, მერვე ადგილით შევიდა. ასეთივე შედეგი ჰქონდა რუს **გალინა ორლოვსკაიასაც**, შესარჩევი ეტაპი კი ჩინელმა **ჯინჯინ ჭანმა** მოიგო 585 ქულით. 584 დააგროვეს შვეიცარიელმა **ჰაიდე დიჩელმი გერბერმა** და ბულგარელმა **ანტოანეტა ბონევამ**. ამ დუეტს ერთი ქულით ჩამორჩა სერბი მსოფლიოს ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი**, მეხუთე-მეექვსე ადგილები კი 582-ქულიანმა ჩინელებმა – **ქინგუან ჭოუმ** და **იულინ სუმ** გაინაწილეს.

მოგეხსენებათ, ნახევარფინალში საკვალიფიკაციოს შედეგები უქმდება და ყველაფერი ნულიდან იწყება. იქ პირველი ორი საუკეთესო ფინალში ოქროს მედლისთვის იასპარეზებს, მესამე-მეოთხე შედეგის მქონენი – ბრინჯაოსთვის. ნახევარფინალში სალუქვაძე უკვე კარგად გაისარჯა - მეორეზე გავიდა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა 18-ქულიან დიჩელმი გერბერს. თუმცა 17 დააგროვა ბონევამაც, მაგრამ ჩვენებურს უკეთესი დამატებითი მაჩვენებელი აღმოაჩნდა, რისი დამსახურებითაც მოიპოვა მთავარ ფინალში შვეიცარიელთან ოქროსთვის ბრძოლის უფლება. ბონევას ნუგეშად ბრინჯაო დარჩა, სადაც ჭანს უნდა გაჯიბრებოდა.

საჩემპიონო შეხვედრა შვეიცარიელმა უკეთ დაიწყო და მოიგო პირველი ორი სერია – 0:2. სამაგიეროდ, სალუქვაძემ იმარჯვა მომდევნო ორში და ანგარიში გაათანაბრა – 4:4. სამწუხაროდ, ეს მისი ბოლო მიღწევა აღმოჩნდა, რადგან მომდევნო ორი ისევ დათმო და 4:8 დამარცხდა. ბრინჯაოს მედალი ჭანმა მოიპოვა, რომელმაც ბონევას 7:1 მოუგო.

სალუქვაძე ფორტ ბენინგში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაშიც გამოვიდა და ფინალის საგზური იქაც მოიპოვა – 384 ქულა დააგროვა, რაც მეშვიდე შედეგი აღმოჩნდა. თუმცა, სამწუხაროდ, იქ მედლის მოპოვება ვერ შეძლო და მეხუთე ადგილზე დაასრულა გამოსვლა.

ფორტ ბენინგში ჩვენგან **ლევან ქადაგიძეც** ასპარეზობს. თავდაპირველად მან პნევმატური იარაღით იასპარეზა და 562 ქულით 42-ე ადგილზე გავიდა. ქადაგიძე დღეს სპორტულშიც იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა

# კოსტა და რუსები

დღეს ფინურ ვანტააში იწყება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, რომელშიც თავდაპირველად თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვაჟები და ქალები ჩაებმებიან - ორივესგან 2-2 წონის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ვინაიდან ქალთა შორის მონაწილე არ გვეყოლება, მხოლოდ ვაჟებზე შევჩერდებით.

მათგან დღეს 65 და 97 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ ანუ ჩვენგან სტარტზე **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (65) და **დავით ქერაშვილი** (97) დადგებიან. სამწუხაროდ, წილისყრამ მათ ოდნავადაც არ გაუმართლა - ისინი ცხრილის ქვედა ნაწილში მოხვდნენ ანუ ერთი წრით მეტის ჭიდაობა მოუწევთ, და თან ორივე მალე შეხვდება რუსს (ცხადია, იქამდეც თუ მივიდნენ).

ხაბალაშვილს პირველ წრეში მეტოქედ იტალიელი **ანჯელო კოსტა** ერგო. აპენინელი არაა ძლიერი ფალავანი და ჩვენებურს მისი დამარცხება ძალუძს, მერე კი, შეიძლება, რუსთა მსოფლიოს მესამე პრიზიორ **მაგომედ ყურბანალიევს** გადაეყაროს. ყოველ შემთხვევაში, რუსთა ავარელი ფალავანი თავდაპირველად პოლონელ **არკადიუს სჟეიას** ხვდება და ამ წყვილში ფავორიტიცაა. თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს და ყურბანალიევი ისეთ ბადეშია, ფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, ეს კი ავარელთან წაგების შემთხვევაში ჩვენებურს სანუგეშო წრისკენ გაუხსნის გზას. ბადის ამ ნახევარში ყველაზე ძლიერი უკრაინელი **ანდრეი კვიატკოვსკი** ჩანს, მაგრამ არა გვგონია, ის დაღესტნელის სადარი მეტოქე იყოს. ცხრილის მეორე მხარესაა აზერბაიჯანელთა ოლიმპიური ჩემპიონი **ტოგრულ ასკეროვი**, ვინც ლონდონური ტრიუმფის შემდეგ პირველად ჭიდაობს ეგზომ მაღალი რანგის ტურნირზე.

ქერაშვილიც პირველივე წრიდან იჭიდავებს, სადაც გერმანელ **ვილიამ ჰარტს** შეხვდება. სავარაუდოდ, ამ ბარიერს გადალახავს და მეორე წრეშივე დაეჭიდება რუსთა კიდევ ერთ დაღესტნელ ავარელს, ევროპის ჩემპიონ **აბდუსალამ გადისოვს**. დაღესტნელი ბოლო ორი სეზონია, არსად დამარცხებულა, სადაც კი იჭიდავა (მათ შორის - ორჯერ ივან იარიგინის სახელობის ტურნირზე, ალი ალიევის მემორიალზე, მსოფლიოს უნივერსიადაზე...). პირველ წრეში ის ფინელ **იერე ჰეინოს** კი ხვდება, მაგრამ არა მგონია, მასპინძელს შინაური კედლები იმდენად დაეხმაროს, სენსაცია შემოგვთავაზოს.

ხვალ ჩემპიონატში ვაჟთაგან ისევ ორი წონის - 74 და 125-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ქალებშიც ორ წონაში - 55-სა და 69-ში გაიმართა შეჯიბრება.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო

# ტატამი ტატაში

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები უნგრეთში გაემგზავრა, სადაც ქალაქ ტატაში ევროპის ძიუდოს კავშირის მიერ ორგანიზებულ საწვრთნელ კემპში მიიღებს მონაწილეობას. ესაა ერთკვირიანი შეკრება, რომლის დასრულებისთანავე ჩვენები სამშობლოში დაბრუნდებიან და აქ გააგრძელებენ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას.

ტატაში ჩვენები ორ ნაკადად გაფრინდნენ – ნაწილი სამსუნიდან წავიდა, ნაწილი კი იქ ამ უქმეებზე „დიდ პრიზზე" ნაჭიდავებ შემადგენლობას თბილისიდან დაემატა. სამსუნში მოასპარეზეთაგან ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** უნგრეთისკენ ევროპის პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი** და ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (ორივე – 73), **გურამ თუშიშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (ორივე - +100) გაიყოლა, თბილისიდან კი ევროპის ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), ევროპის ჩემპიონები, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსნები – **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და თბილისის „დიდი პრიზის" გამარჯვებული **ზვიად გოგოჭური** (90) გაემგზავრნენ.

თუ იმას გავითვალისწინებთ, უზნაძემ სამსუნიდან ვინ წაიყვანა უნგრეთში და ვინ – სახლში გამოუშვა, იოლი გამოსაცნობია, ვინ კვლავაც განიხილება 24-27 აპრილს ფრანგულ მონპელიეში, ევროპის ჩემპიონატზე წასვლის კანდიდატად და ვინ დაკარგა ეს შანსი. თუმცა გამორიცხული არაფერია და თან ეს 11-კაციანი სია 9-მდეა შესამცირებელი.

**ირაკლი თავაძე**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-60

## ეპიზოდები ლელოს და ქართული სპორტის თანაცხოვრებიდან

### „ნუ კაკ „ლელო!"

1976-1977 წლებში ლვოვში ვმსახურობდი ჯარში. ქართველები ერთ ნაწილში 24 ვიყავით. მე მშობლებმა „ლელო" გამომიწერეს ჩემი თხოვნით, რადგან სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი ვიყავი და სამხედრო სამსახურში რომ გამიწვიეს, ერთადერთი სადარდებელი ის მქონდა, „ლელოს" ვეღარ წავიკითხავდი. ამაზე ყველგან ვამბობდი და ბევრი მეუბნებოდა, რა პრობლემაა, გამოაგზავნე მისამართი ,სად იქნები, აქ გამოგიწერენ და გამოგიგზავნიანო. დავმშვიდდი. მერე ასეც მოვიქეცი. უნდა გენახათ, ნაწილში რა ამბავი იყო. ყველა ქართველს სურდა „ლელოს" წაკითხვა. ბოლოს გაცრეცილი მიბრუნდებოდა.

ერთ დღეს პოლიტნაწილის უფროსმა დამიბარა და განმარტება მომთხოვა, რა გაზეთს ვიღებდი, ყველა ქართველი ასე რომ მოელოდა მის მიღებას და წაკითხვას. ავუხსენი ყველაფერი.

გასაგებია, რომ დისიდენტურ გაზეთს არავინ გამოაგზავნიდა. მივუტანე იმ ვიცე-პოლკოვნიკს ერთი ახალი ნომერი და წავაკითხე ტიტულის ქვემოთ რუსული წარწერა, სადაც ამოიკითხა, რომ ეს იყო „საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტისა და საქართველოს პროფკავშირის ორგანო". ის კაციც დაწყნარდა და ჩვენც. პირიქით, ქართველებს შეგვაქებდა ხოლმე სიტყვებით: „ნუ კაკ „ლელო" — კარგად დაიმახსოვრა გაზეთის სახელი.

**ბადრი შერგელაშვილი**
**ქუთაისი**

### პირველი რეფერენდუმი

„ლელოს' ჟურნალისტთა თაოსნობით 1964 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ჩაატარა პირველი რეფერენდუმი წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ არჩევანი საკმაოდ სოლიდური იყო — იმ წელიწადს ოლიმპიური თამაშები ჩატარდა — ორი ჩემპიონი და ცხრა პრიზიორი გვყავდა, საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა საუკეთესოდ აღიარეს **სლავა მეტრეველი**, რაც იმაზე მიანიშნებს, რა უსაზღვრო იყო ფეხბურთისადმი სიყვარული და როგორ პატივს მიაგებდნენ ჩვენი ფეხბურთის ლიდერებს.




### კაკაბაძის სტუდია

90-იანი წლების დასაწყისში „ლელოში" ამ გაზეთის ამაგდარი რედაქტორის **მიხეილ კაკაბაძის** სახელობის სპორტულ ჟურნალისტთა მომზადების სტუდია შევქმენით, რამაც საოცარი დაინტერესება გამოიწვია. მერე მსმენელთაგან ბევრმა დაიწყო მუშაობა მედიაში, ბევრიც სპორტის ცნობილი ფუნქციონერი ან მწვრთნელი გახდა. სხვათა შორის, მსმენელთა შორის იყვნენ სპორტის ცნობილი სპეციალისტებიც, რომლებსაც თავიანთ ვალდებულებად მიაჩნდათ, გარკვეულიყვნენ ჟურნალისტიკის პრინციპებში, რაც მათ სასიკეთოდ წაადგებოდათ ურთიერთობაში საზოგადოებასთან.

### ფიფა და ლელო

1985 წელს თბილისმა ფეხბურთში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩებს უმასპინძლა. ტურნირს „დინამოს" სტადიონზე ფიფას პრეზიდენტი **ჟოაო აველანჟიც** დაესწრო, რომელიც უაღრესად კმაყოფილი დარჩა ასპარეზობის მასპინძლობით და ორგანიზაციით. მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პრესცენტრის მუშაობამ, რომლის მთელმა სიმძიმემ „ლელოს" ჟურნალისტების მხრებზე გადაიარა. იმ წლიდან მოყოლებული ფიფა მუდმივად გვილოცავდა ყოველი ახალი წლის დადგომას საუკეთესო სურვილებით. მერე, 2007 წელს გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა რედაქციებს რომ დაგვატოვებინეს, ფოსტა ჩვენი სამყოფელის მოძიებით და გზავნილის მოწოდებით თავს აღარ იწუხებდა და კონტაქტი ფიფასთანაც გაწყდა.

### ლელო" სახელმძღვანელო

2013 წლის გაზაფხულზე რედაქციაში ქალბატონი გვეწვია, რომელიც გაგვეცნო როგორც აშშ-ში სხვა ხალხების ენების შესწავლის მსურველი სტუდენტების კოორდინატორი კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში. მისგან საინტერესო ამბავი შევიტყვეთ. გვითხრა, რომ ამერიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია ქართული ენის შესწავლის მსურველთა სტუდენტური ჯგუფები და სპეციალურ ჟიურის, რომელიც განიხილავდა საკითხს, ქართული პერიოდული გამოცემიდან რომელი შეერჩიათ სახელმძღვანელოდ, უპირატესობა მიუნიჭებია „ლელოსთვის". ცხადია, დავინტერესდით, როგორი იყო ჟიურის მოთხოვნები და რამ განაპირობა „ლელოს" უპირატესობა. „უპირველესი პირობა იყო, რომ გაზეთი არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური გამოცემა, დანარჩენი ყველა მოთხოვნა მისალები აღმოჩნდა",- გვითხრა სტუმარმა. დანარჩენში იგულისხმებოდა გაზეთის ასაკი, ტრადიციულობა, ყოველდღიურობა, ფერადი გვერდები და გვერდების რაოდენობა, შინაარსობრივად მრავალფეროვნება, ქართული ენის ნორმების დაცვისადმი ერთგულება და ა.შ. მოკლედ, მოთხოვნის ყველა გრაფაში „ლელოს" დადებითი შეფასება დაუმსახურებია. თანამშრომლობის მემორანდუმი უმალვე შევიმუშავეთ და აშშ-ში ქართული ენის შემსწავლელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ „ლელოს" აღიარება ოფიციალურად გაფორმდა. ეს ფაქტიც ოქროს ასოებით შევიდა ჩვენი გაზეთის ისტორიაში.

### „კუნას თასი"

ახალბედა ჟურნალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც სპორტის ჟურნალისტიკაში გზის გაკვალვა სერიოზულად გადაეწყვიტათ, პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს დგამდნენ „ლელოს" შესწავლით (ამ სიტყვის ფართო გაგებით). საჯარო ბიბლიოთეკაში თუ ჩვენთან, რედაქციაში, ისინი უფროსი თაობის კოლეგების პუბლიკაციებს გულმოდგინედ ეცნობოდნენ და მათი ნაწერებიდან ბევრსაც სწავლობდნენ. აქ მხოლოდ ერთ მათგანზე — **სალომე ხარატიშვილზე** შევჩერდები. თუ რატომ, ქვემოთ გაიგებთ. სალომე განსაკუთრებით დააინტერესა „ლელოში" ფეხბურთზე გამოქვეყნებულმა წერილებმა. მერე გაბედა და თავადაც აიღო კალამი ხელში. კარგად გამოსდიოდა წერა ახალი თაობის ფეხბურთელებზე, საფეხბურთო კლუბებზე, აშუქებდა ცალკეულ მოვლენებს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ენერგიულმა ქალიშვილმა გაზეთ „ლელოს" საქმიანობის შესწავლით გამოიკვლია ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორია 1934-1939 წლებში და ერთ-ერთ სოლიდურ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2010 წლის ოქტომბერში სალომე ხარატიშვილმა ჩანაფიქრი გამიმხილა — ფეხბურთში ქალთა შორის „ლელოს" პირველი რედაქტორის **მიხეილ კაკაბაძის** — „კუნას" თასი გავათამაშოთო. ამ თიკუნით მიმართავდნენ ხოლმე სიყვარულით „ლელოს" ლეგენდარულ რედაქტორს. შევთანხმდით, „ლელოს" გარდა, სალომემ აიყოლია გაზეთები „მსოფლიო სპორტი", 11X11", ტელევიზიები — „I არხი", „რუსთავი-2", „იმედი", რადიო „ჯაკო" და რადიო ფმ-93,9, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერაც მოიპოვა და ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. ასე, მისდაუნებურად გააგრძელა ამ დამწყებმა ჟურნალისტმა „ლელოს" ტრადიცია. ანუ, გაზეთი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო-შემეცნებითი და პროპაგანდისტის ფუნქციით, არამედ მუდამ იყო სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორიც. აი, ამიტომ გამოვარჩიე ახლა ეს გოგონა სხვებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ლიბანში

# სნაიპერი ბუ

თუ გიორგი ცინცაძე ლიბანში ჩვეულად ათამაშდა, მისი გუნდი ჯერ ვერ ახერხებს ისეთი თამაშის ჩვენებას, შედეგს რომ მოიტანს. „ჩამპვილმა" მეხუთეადგილოსან „ბიბლოსთან" სტუმრად 69:86 დათმო. პირველი მეოთხედი ცინცაძის თანაგუნდელთა უპირატესობით წარიმართა და 9 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა შეხვედრის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც „ბიბლოსმა" 33:9 მოიგო.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ ლიბანში გადასვლის შემდეგ სარეკორდო, 23 ქულა ჩააგდო. სროლის სიზუსტე შესაშური ჰქონდა: 7-7 ორქულიანი და სამიანი სტყორცნა, საიდანაც 5 ორქულიანი და 4 სამიანი ჩააგდო, რასაც ერთი საჯარიმო მიამატა. 23 ქულის გარდა ცინცაძის ანგარიშზე 3 შედეგიანი გადაცემა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა დაფიქსირდა. იგი მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო იყო - 25.

„ჩამპვილს" 5 მოგება, 10 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა. მომდევნო მატჩს 4 აპრილს მეორეადგილოსან „მუტაჰედთან" ჩაატარებს.



ქართველი იტალიაში

# ცამეტი ტრევილიოსთან



იტალიის რიგით მესამე, „ვერცხლის ლიგაში" „როსეტოს" სასტარტო ხუთეულში შედეგიანად ირჯება **ნიკა მეტრეველი.** მან ბოლო ტურის შეხვედრაში 26 წუთი ითამაშა, 13 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. ნიკამ 6 მცდელობიდან მხოლოდ 1 ორქულიანი ააცილა.

მისი „როსეტო" სტუმრად „ტრევილიოს" „დაეჭიდა" და 15 ქულის სხვაობით დამარცხდა - 75:90.

ამ წაგების გამო როსეტოელებმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაირთულეს. თუ მანამდე საპლეიოფო რვაეულში იყვნენ, ახლა მათ ორმა გუნდმა გაასწრო - „რავენამ" და „პროგერმა".

ქართველი ფინეთში

# ლაპტის წრეში



ფინეთის ჩემპიონატში **გივი ბაქრაძის** „კორიკობრატმა" „ლაჰტისთან" სტუმრად ითამაშა და 72:80 დათმო. საწყისი 30 წუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარმატებასთან უფრო ახლოს ბაქრაძის თანაგუნდელები იყვნენ, თუმცა მეოთხე პერიოდში „ლაჰტიმ" თამაში შემოატრიალა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

გივი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 7 წუთი ითამაშა. ამ დროში მან ერთი სამქულიანის ჩაგდება და ერთი შედეგიანი გადაცემის შესრულება მოასწრო. ბაქრაძის თანაგუნდელი **არჩილ პულუზაშვილი** განაცხადში არ ყოფილა.

39 ტურის შემდეგ „კორიკობრატი" ფინეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზეა, 13 მატჩი აქვს მოგებული.

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ახალგაზრდები ნახევარფინალისთვის შეიმართნენ



**29 მარტი**

**ოლიმპი-რუსთავი 84:59**

12:15, 25:10, 26:13, 21:21

ოლიმპი: ბლუაშვილი, გ. ნადირაძე (10ქ, 7მ), ბაქრაძე (13ქ), მიქელაძე (13ქ, 9პ), სამნიაშვილი (5ქ), გოგოძე (17ქ), იაკობიძე (2ქ, 4პ), ხუციშვილი (3ქ), ოსკოპელი (2ქ), ნ. ბაქრაძე (8ქ, 7მ), ფხაკაძე (11ქ, 12მ), ნონიკაშვილი.

რუსთავი: წიქარიშვილი (3პ), ჩიჩუა (16ქ), გაფრინდაშვილი (4ქ), ტაბალუა (8ქ), რეხვიაშვილი (2ქ), ოქროჭელიძე (6ქ, 7მ, 3პ), ნარჩომაშვილი (5ქ, 3პ), დვალი (8ქ, 3პ), ურიდია (4ქ), ზარამიძე (6ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ვართანოვი, დ. ბერიშვილი.

**25 მარტი**

**ოლიმპი-სოხუმი 79:48**

26:13, 19:14, 16:15, 18:6

ოლიმპი: ბლუაშვილი, გ. ნადირაძე (13ქ, 11მ), ბაქრაძე (8ქ, 8მ), სამნიაშვილი (7მ), გოგოძე (21ქ, 4პ), იაკობიძე (9ქ, 3პ), ხუციშვილი (7ქ, 6მ, 6პ), ოსკოპელი (3ქ), ნ. ბაქრაძე (5ქ), ფხაკაძე (13ქ, 9მ, 4პ, 3დ), ნონიკაშვილი.

სოხუმი: მეტრეველი (12ქ, 20მ), ქვარაია, კენჭიაშვილი (15ქ, 12მ), მარგალიტაძე (6ქ), პატარაია (3ქ, 3პ), გოლეთიანი (9ქ), ბულიგინი (3ქ), ჭაჭია.

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი.

**25 მარტი**

**შსს აკადემია-აკადემია 54:60**

16:19, 11:11, 15:7, 12:23

შსს აკადემია: ბობილევი (2ქ), ქიტოშვილი (3ქ, 3ჩ), გოგალაძე (1ქ), გუგეშაშვილი (13ქ), კვანტალიანი (8ქ, 3პ), მირზიაშვილი (2ქ, 6მ), ლოლიშვილი (6ქ), გელაზონია (12ქ, 16მ, 3პ, 4დ), გორდულაძე (7ქ, 3ჩ), ლორთქიფანიძე.

აკადემია: ხალათიანი, შაორშაძე (2ქ), ჯაყელი (4ქ, 4პ), თევდორაშვილი (11ქ, 3პ), ამირხანაშვილი (3ქ, 3პ), დარახველიძე (13ქ, 8მ), ლურწკაია (17ქ, 3პ), გიორგაძე (10ქ, 6მ, 3ჩ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 24 | 22 | 2 | 1810/1413 | 46 |
| 2. ჰიუნდაი | 24 | 16 | 8 | 1703/1566 | 40 |
| 3. ქუთაისი | 24 | 15 | 9 | 1786/1651 | 39 |
| 4. ოლიმპი | 24 | 11 | 13 | 1570/1591 | 35 |
| 5. აკადემია | 24 | 9 | 15 | 1622/1767 | 33 |
| 6. რუსთავი | 24 | 9 | 15 | 1523/1667 | 33 |
| 7. სოხუმი | 24 | 2 | 22 | 1422/1781 | 26 |

**რეკორდები**
**(ერთი მატჩის მიხედვით)**

**ქულა**

49 - ბექა დარახველიძე (აკადემია)

**მოხსნა**

24 - კოტე ბიწაძე (სოხუმი)

**პასი**

12 - ლევან გრძელიძე (ქუთაისი)

**ჩაჭრა**

10 - ნოდარ გოგოძე (ოლიმპი)

**დაფარება**

9 - ბექა ქარცივაძე (ჰიუნდაი)

**1/2 ფინალი**

**2 აპრილი**

შსს აკადემია-ოლიმპი
ჰიუნდაი-ქუთაისი

**3 აპრილი**

ოლიმპი-შსს აკადემია

**6 აპრილი**

ქუთაისი-ჰიუნდაი

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში დასრულდა რეგულარული ეტაპი და გუნდები საპლეიოფოდ დაწყვილდნენ. ნახევარფინალის საგზური შედარებით ადრე გაინაღდეს „შსს აკადემიამ", „ჰიუნდაიმ" და „ქუთაისმა", ბოლოს კი კვარტეტში „ოლიმპი" შევიდა, რომელმაც დარჩენილი ორი შეხვედრა ალმაფრენით ჩაატარა და ჯერ „სოხუმი" დაამარცხა, შემდეგ - „რუსთავი".

ფინანსური გაჭირვების გამო ქუთაისში ვერ ჩავიდნენ სოხუმელები, რომლებსაც წაგება, 0:20 ჩაეთვალათ. ცხრილში ეს შედეგიც გათვალისწინებულია. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „შსს აკადემია"-"ოლიმპი", „ჰიუნდაი"-"ქუთაისი".

ამავე გვერდზე გთავაზობთ 20-წლამდელთა ჩემპიონატის რეგულარულ ეტაპზე სტატისტიკურ ლიდერთა ჩამონათვალს და რეკორდული მაჩვენებლების ნუსხას.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ლიდერები

ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა დარახველიძე | აკადემია | 13 | 290 | 22.31 |
| 2 | გურამ კენჭიაშვილი | სოხუმი | 23 | 485 | 21.09 |
| 3 | ლევან გრძელიძე | ქუთაისი | 23 | 468 | 20.35 |
| 4 | უჩა გამრეკლიძე | ქუთაისი | 22 | 418 | 19 |
| 5 | სანდრო ბოლქვაძე | ჰიუნდაი | 20 | 376 | 18.8 |
| 6 | შოთა გელაზონია | შსს აკადემია | 24 | 389 | 16.21 |
| 7 | გიორგი ცირეკიძე | ქუთაისი | 23 | 366 | 15.91 |
| 8 | ნიკა ამირხანაშვილი | აკადემია | 23 | 362 | 15.74 |
| 9 | კახა ტომარაძე | ჰიუნდაი | 17 | 224 | 13.18 |
| 10 | ბექა ნადირაძე | ოლიმპი | 24 | 300 | 12.5 |
| 11 | შოთა გოლეთიანი | სოხუმი | 19 | 234 | 12.32 |
| 12 | სანდრო სანაძე | ჰიუნდაი | 21 | 257 | 12.24 |
| 13 | ნიკა ლურწკაია | აკადემია | 22 | 267 | 12.14 |
| 14 | გიორგი დვალი | რუსთავი | 23 | 278 | 12.09 |
| 15 | თემურ ფხაკაძე | ოლიმპი | 23 | 276 | 12 |

მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | უჩა გამრეკლიძე | ქუთაისი | 22 | 291 | 13.23 |
| 2 | შოთა გელაზონია | შსს აკადემია | 24 | 299 | 12.46 |
| 3 | კონსტანტინე ბიწაძე | სოხუმი | 21 | 201 | 9.57 |
| 4 | ლევან ურიდია | რუსთავი | 24 | 217 | 9.04 |
| 5 | ბექა ქარცივაძე | ჰიუნდაი | 24 | 204 | 8.5 |
| 6 | გიორგი ცირეკიძე | ქუთაისი | 23 | 194 | 8.43 |
| 7 | თემურ ფხაკაძე | ოლიმპი | 23 | 189 | 8.22 |
| 8 | ვოვა ბულიგინი | შსს აკადემია | 16 | 130 | 8.13 |
| 9 | ლერი კვანტალიანი | შსს აკადემია | 23 | 183 | 7.96 |
| 10 | კახა ტომარაძე | ჰიუნდაი | 17 | 135 | 7.94 |

პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან გრძელიძე | ქუთაისი | 23 | 141 | 6.13 |
| 2 | თორნიკე ქიტოშვილი | შსს აკადემია | 24 | 90 | 3.75 |
| 3 | სანდრო სანაძე | ჰიუნდაი | 21 | 77 | 3.67 |
| 4 | ირაკლი მაცაბერიძე | ქუთაისი | 23 | 77 | 3.35 |
| 5 | სანდრო ბოლქვაძე | ჰიუნდაი | 20 | 64 | 3.2 |
| 6 | ლევან გორდულაძე | შსს აკადემია | 24 | 76 | 3.17 |
| 7 | გიორგი იაკობიძე | ოლიმპი | 16 | 49 | 3.06 |
| 8 | ბექა დარახველიძე | აკადემია | 13 | 39 | 3 |

ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დვალი | რუსთავი | 23 | 77 | 3.35 |
| 2 | საბა ჯაყელი | აკადემია | 23 | 68 | 2.96 |
| 3 | ლევან გრძელიძე | ქუთაისი | 23 | 66 | 2.87 |
| 4 | ნიკა ლურწკაია | აკადემია | 22 | 52 | 2.36 |
| 5 | გურამ კენჭიაშვილი | სოხუმი | 23 | 51 | 2.22 |
| 6 | სანდრო ბოლქვაძე | ჰიუნდაი | 20 | 43 | 2.15 |
| 7 | კონსტანტინე ბიწაძე | სოხუმი | 21 | 45 | 2.14 |

დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ქარცივაძე | ჰიუნდაი | 24 | 72 | 3 |
| 2 | გიორგი ტურძელაძე | რუსთავი | 17 | 33 | 1.94 |
| 3 | მერაბ მირზიაშვილი | შსს აკადემია | 23 | 43 | 1.87 |
| 4 | შოთა გელაზონია | შსს აკადემია | 24 | 36 | 1.5 |
| 5 | კონსტანტინე ბიწაძე | სოხუმი | 21 | 30 | 1.43 |
| 6 | ვოვა ბულიგინი | შსს აკადემია | 16 | 21 | 1.31 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ლეგიონერები

# გორგოძე და მონპელიე გალიდერდნენ

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე სატურნირო ცხრილს სათავეში მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიე" ჩაუდგა. პირველი ცხრა საფეხური კი ქართველ მორაგბეთა გუნდებს უჭირავთ და ყველას აქვს შანსი, პლეი ოფში მოხვდეს.



ლელოს ავტორი მამუკა გორგოძე

მონპელიელები შინ დაუპირისპირდნენ ერთ-ერთ აუტსაიდერს, ბასკურ „ბაიონს" და 43:27 მოუგეს. მასპინძლებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს. აქედან სამი ფიჯელი გარემარბის **ტიმოსი ნაგუსას** ანგარიშზეა. 44-ე წუთზე კი წლევანდელ სეზონში მესამე ლელო მიითვალა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ**. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს. ნარიაშვილმა მასზე თხუთმეტი წუთით მეტი ითამაშა.

„მონპელიე" ახლა, როგორც უკვე ვთქვით, პირველ ადგილზეა. გუნდმა **ფაბიენ გალტიეს** ხელში მაქსიმალურად დალაგებული, საკმაოდ აგრესიული თამაში დაიწყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ გალტიე მალე „ლე ბლოს" სათავეშიც მოექცევა. მით უფრო, რომ ამაზე ლაპარაკი კულუარებში დიდი ხანია მიმდინარეობს.

„მონპელიეს" ერთი ქულით ჩამორჩება **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი", რომელმაც შინ დაამარცხა ფრანგული რაგბის გრანდი, **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი" - 32:28. მატჩის დასაწყისი სტუმრების იყო. თუმცა, ტულონელებმა მდგომარეობა ნელ-ნელა გაათანაბრეს და მატჩის დასკვნით 15 წუთში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს.

მიქაუტაძე თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა კი მოედანზე მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე გამოჩნდა, ბრეგვაძე განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

„ტულონის" მსგავსად 65 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად წააგო **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივთან" - 24:26. მასპინძლები სათამაშო უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და პირველი ტაიმი 20:3 მოიგეს. „ვულკანები" შესვენების შემდეგ მატჩის გადარჩენას შეეცადნენ, მაგრამ მხოლოდ ანგარიშის ორ ქულამდე შემცირება შეძლეს.

ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შველიძემ შეცვალა, რომელიც არბიტრმა ექვს წუთში სინბინში გაუშვა.

შესანიშნავი სანახაობა გაიმართა ბასკეთში, სადაც ქვეყნის ჩემპიონს, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" აუტსაიდერი „ბიარიცი" დაუპირისპირდა. მატჩი, რომელშიც გუნდებმა სამ-სამი ლელო გაიტანეს, ფრედ 34:34 დასრულდა. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 33-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა" სტუმრად თანაქალაქელი, **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" დაამარცხა - 32:22. ეს გუნდები სატურნირო თვალსაზრისითაც უშუალო კონკურენტები არიან და პლეი ოფში გასვლის შანსს ისევ ინარჩუნებენ.

ტრავმა მოიშუშა და მატჩში 68-ე წუთიდან ჩაერთო ქუბრიაშვილი, ჟვანია და ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდომ", რომელიც ასევე პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, შინ დაამარცხა **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი" - 23:5. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო, დაშავდა და მე-18 წუთზე შეცვალეს.

**I დივიზიონი**

**XXIII ტური**

**ბრივი-კლერმონი 26:24, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი 22:32, მონპელიე-ბაიონი 43:27, ბიარიცი-კასტრი 34:34, ოიონაქსი-გრენობლი 40:6, ბორდო-პერპინიანი 23:5, ტულონი-ტულუზი 32:28.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მონპელიე - 66 ქულა, 2. ტულონი - 65, 3. კლერმონი - 65, 4. კასტრი - 62, 5. მეტრო რასინგი - 60, 6. ტულუზი - 58, 7. ბორდო - 58, 8. სტად ფრანსე - 58, 9. ბრივი - 55, 10. გრენობლი - 50, 11. პერპინიანი - 46, 12. ოიონაქსი - 44, 13. ბაიონი - 44, 14. ბიარიცი - 26.**

**XXIV ტური**

**კლერმონი-კასტრი, ბორდო-ტულონი, მეტრო რასინგი-ბიარიცი, პერპინიანი-ოიონაქსი, გრენობლი-მონპელიე, ბაიონი-სტად ფრანსე, ტულუზი-ბრივი.**

მეორე დივიზიონში, მიუხედავად იმისა, რომ **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონმა" სტუმრად მინიმალური სხვაობით წააგო „ბურგუენთან" - 33:34, ჩვენებურის გუნდი მაინც დამაჯერებლად ლიდერობს. კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს, როცა „ლიონი" 33:17 იგებდა. მასპინძლებმა თამაშის შემობრუნება დასკვნით 20 წუთში შეძლეს.

„ლიონი" უახლოეს მდევარს, **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელს" 10 ქულით უსწრებს, რომელმაც სტუმრად შეძლო „კოლომიეს" დამარცხება - 20:14. ყაულაშვილს არ უთამაშია.

მესამე ადგილზე კი **ტარიელ რატიანიძის** „აჟენია", რომელმაც შინ დაამარცხა პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „პო" - 19:6. შერკინების ქართველი ბურჯი განაცხადში არ იყო.

**გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" სტუმრად დამარცხდა **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკთან" - 18:27. მიუხედავად ამისა, „ტარბი" ჯერ კიდევ ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის შანსს.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჩხაიძე 30-ე წუთზე შეცვალეს, ნემსაძე მოედანზე 46-ე წუთიდან გამოჩნდა, მირცხულავას არ უთამაშია.

**გურამ კავთიძის, გიორგი სულუაშვილის, მერაბ შარიქაძისა** და **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესმა", რომელიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ოში" - 36:25. შარიქაძემ და მჭედლიძემ სრულად ითამაშეს, კავთიძე და სულუაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ" შინ მოუგო „მონ დე მარსანს" - 25:20. შერკინების ქართველი ბურჯი თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო.

**II დივიზიონი**

**XXV ტური**

**ბურგუენი-ლიონი 34:33, ნარბონი-ალბი 40:19, დაქსი-კარკასონი 20:26, კოლომიე-ლა როშელი 14:20, ბეზიე-მონ დე მარსანი 25:20, ორიაკი-ტარბი 27:18, ბურგ ან ბრესი-ოში 36:25, აჟენი-პო 19:6.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიონი - 94 ქულა, 2. ლა როშელი - 84, 3. აჟენი - 79, 4. ნარბონი - 77, 5. პო - 73, 6. ტარბი - 66, 7. ბურგუენი - 59, 8. ორიაკი - 57, 9. კოლომიე - 56, 10. მონ დე მარსანი - 53, 11. ბეზიე - 52, 12. დაქსი - 49, 13. ალბი - 45, 14. ბურგ ან ბრესი - 36, 15. კარკასონი - 33, 16. ოში - 29.**

**XXVI ტური**

**პო-ალბი, მონ დემარსანი-ორიაკი, კარკასონი-ბეზიე, ლიონი-ბურგ ან ბრესი, ოში-ბურგუენი, ტარბი-დაქსი, ლა როშელი-ნარბონი, კოლომიე-აჟენი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით მიხეილ ნარიაშვილი

მსოფლიოს ალაფა



# ალაფისთვის ჰონგ კონგში

დღეს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ჰონგ კონგში გაემგზავრა, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფას გათამაშებაში იასპარეზებს.. ტურნირი 7-19 აპრილს ჰონგ კონგის საფეხბურთო კლუბის სტადიონზე გაიმართება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ამ ტურნირზე მონაწილეობის უფლება შარშან, პორტუგალიაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებით მოიპოვეს, სადაც ტურნირის ფინალში ბელგიელ თანატოლთა ნაკრები დაამარცხეს.

ჩვენმა გუნდმა საწვრთნელი შეკრება „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" გაიარა. მომზადების პერიოდში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ორი მატჩი გამართეს უმაღლესი ლიგის კლუბ „არმიასთან" და უმაღლესი ლიგის კლუბების ნაკრებთან.

2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე გუნდები A და B ჯგუფებად არიან დაყოფილნი. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა, სადაც აშშ-ის, ტონგას და მასპინძელი ჰონგ კონგის ნაკრებების წინაალმდეგ იასპარეზებს.

აღნიშნულ ტურნირში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდი გაისად მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მიიღებს.

**დავით ვართანიანი**, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„დავასრულეთ შეკრება და მივემგზავრებით მსოფლიოს ალაფაზე სათამაშოდ. ჩვენი მიზანი ამ ტურნირში გამარჯვებაა. მოსამზადებელმა პერიოდმა კარგად ჩაიარა, სერიოზული ტრავმები არ გვაქვს. ბიჭები კარგად არიან მომზადებულები.*

*ჩვენს ჯგუფში ყველა მოწინააღმდეგესთან შეხვედრას ინდივიდუალურად მივუდგებით. მათზე მეტ-ნაკლებად ვფლობთ ინფორმაციას. პირველივე თამაში ტონგასთან გვაქვს, რომელიც საკმაოდ ძლიერი მეტოქეა. ჩვენ ვნახეთ თამაშების ვიდეო ანალიზი და უკვე შევქმნა წარმოდგენა, იმაზე თუ როგორ თამაშობს ტონგა და რა უნდა დავუპირისპიროთ მათ. შესაბამისად, მოვემზადეთ აშშ-ისა და ჰონგ კონგის ნაკრებებთან სათამაშოდ.*

*ეს გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა ხელდახელ კარგი თამაშით, შერკინებისა და უკანა ხაზის კარგი შეთამაშებით. აქედან გამომდინარე, თამაშის ეს ახლებული სტილი შენარჩუნდება ამ ტურნირზეც. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბიჭებმა ბევრი იმუშავეს საკუთარ თავზე, რათა გამოესწორებინათ ყველა ის ხარვეზი, რომელმაც შეკრების დროს იჩინა თავი."*

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** ბადრი ალხაზიშვილი (აკადემია), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), გიორგი მარგველანი, დავით ფხაკაძე (ორივე-არმაზი), გიორგი ტორაძე (აია), ზაზა ხარებავა (არმია).

**მეორე ხაზი:** ბესო ბარბაქაძე (არმაზი), როლანდ კვაჭაძე (ლელო), გიორგი სორდია (ლილი), შალვა შაშიაშვილი (აია).

**მესამე ხაზი:** ვახტანგ ამირანაშვილი (არმაზი), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი), ჟორა მღებრიშვილი (ხარები), დავით პაპავაძე (ჯიქები), საბა შუბითიძე (აკადემია), ბადრი დანგაძე (აია).

**№9:** თემურ თუთბერიძე (აია).

**№10:** გიორგი ბაბუნაშვილი, რეზო ჯინჭველაშვილი (ორივე-აია).

**№12-13:** რეზო ბროძელი (არმაზი), გიორგი ტალახაძე (აია), დევი დევსურაშვილი (ჯიქები).

**№11-14:** მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), გიორგი ფრუიძე (აია), დავით გულიტაშვილი (ხარები).

**№15:** გიორგი აფციაური (არმია).

**მსოფლიოს ალაფა**

**A ჯგუფი:** საქართველო, აშშ, ტონგა, ჰონგ კონგი.

**B ჯგუფი:** იაპონია, კანადა, ურუგვაი, ნამიბია.

**7 აპრილი**

**საქართველო-ტონგა**

**11 აპრილი**

**საქართველო-აშშ**

**15 აპრილი**

**საქართველო-ჰონგ კონგი**

რაგბის კავშირის პრეს სამსახური

მსოფლიოს თასი

# აშშ ინგლისში გაემგზავრება

**ამერიკის** შეერთებული შტატების ნაკრებმა მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის განმეორებით მატჩში ურუგვაის ეროვნულ გუნდს ატლანტაში უმასპინძლა და 32:13 დაამარცხა. „არწივებმა" ამ გამარჯვებით ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, რადგან პირველი მატჩი სტუმრად, ურუგვაიში ფრედ დასრულდა 27:27.

აღსანიშნავია, რომ ურუგვაელებმა პირველი ტაიმი 13:3 მოიგეს, მაგრამ „კუთხეში მიმწყვდეულმა" ამერიკელებმა ურთულეს მდგომარეობას თავი დააღწიეს. ურუგვაის ნაკრები ახლა რეპეშაჟის გავლით შეეცდება მსოფლიოს თასზე მოხვედრას. აქ მისი უმთავრესი კონკურენტი რუსეთის ეროვნული გუნდი იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დურანტის მორიგი 25

**კევინ დურანტს** ორი მატჩი დარჩა იმისთვის, რომ გაიმეოროს ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანის** შედეგი 1986-87 წლების სეზონში. მაშინ, ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა ზედიზედ 40 მატჩში გადალახა 25-ქულიანი ზღვარი, „ოკლაჰომას" ლიდერს კი დღეისთვის 38 ასეთი მატჩი დაუგროვდა.

გუშინ, დურანტსა და მის გუნდს არანაირი პრობლემა არ შეხვედრიათ „იუტასთან" შეხვედრაში - უკვე პირველ ტაიმში **სკოტ ბრუქსის** გუნდის უპირატესება 20 ქულას ცდებოდა, ხოლო „ჯაზმენებმა" პირველი ქულა მატჩში სტარტიდან ოთხნახევარი წუთის შემდეგ მოიპოვეს, როცა „თანდერის" 11:0 სპურტი გამოეპარათ. დურანტმა და კომპანიამ ბრწყინვალედ ისროლა სამქულიანები (კევინმა 6-დან 4 შორეული ტყორცნა ჩააგდო, მთელმა გუნდმა - 18-დან 11). „დურანტულამ" 25 ქულა მესამე მეოთხედის შუაში დააგროვა, მეოთხე მეოთხედში კი საერთოდ არ გასულა მოედანზე.

■ ■ ■

გასულ კვირას „მაიამის" დამარცხების შემდეგ, „ინდიანამ" თითქოს გაიმყარა ლიდერობა აღმოსავლეთ კონფერენციაში, მაგრამ ამას მოჰყვა **ფრენკ ფოგელის** შეგირდების ზედიზედ ორი მარცხი არც ისე ძლიერ მეტოქეებთან - ჯერ „ვაშინგტონთან", ახლა კი „კლივლენდთან". ეს უკანასკნელი **კაირი ირვინგის** გარეშე ატარებს მატჩებს, მაგრამ მაინც ცდილობს პლეი ოფში მოხვედრას.

„პეისერსის" ჩავარდნის მიზეზი - შეტევაში უშინაარსო თამაშია - ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში, სეზონის ერთ-ერთმა ფავორიტმა 80 ქულაზე ნაკლები დააგროვა. უკვე დიდი შესვენებისთვის „ინდიანა", რომელმაც თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 37 პროცენტი გამოიყენა, 13 ქულას აგებდა, მესამე მეოთხედში კი „კლივლენდი" 14:5 გაიქცა და ინდიანელები ვეღარ დაეწიენ „კავალიერზს".

ფოგელმა ამ მატჩში 13 კალათბურთელი ათამაშა და რვა რეზერვისტმა (მათ შორის იყვნენ **ევან ტერნერი** და **ლუის სკოლა**) ჯამში მხოლოდ 21 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„ბრუკლინმა", რომელიც 2014 წელს 10 მოგებითა და 21 წაგების შეხვდა, უკვე ზედიზედ მე-13 საშინაო მატჩი მოიგო, რითაც 2002 წლის საკლუბო რეკორდი გაიმეორა. „ნეტსის" თამაში მიჰყავდა **პოლ პირსს**, რომელმაც პირველ მეოთხედში 16 ქულა დააგროვა, ხოლო „მინესოტას" 15:4 გაქცევა მეორე მეოთხედის სტარტზე „მგლების" ბოლო წარმატება იყო მატჩში. „ბრუკლინმა" მეტოქეს ბოლო მეოთხე მეოთხედში მოუღო, როცა **ალან ანდერსონის** სამქულიანმა დაასრულა „ნეტსის" 13:4 სპურტი.

ამ მატჩში სტასტისტიკური მიღწევა ჰქონდა „ბრუკლინის" ერთ-ერთ ლიდერს **ჯო ჯონსონს**. მან კარიერაში 17 ათასი ქულა დააგროვა და მოქმედ კალათბურთელებს შორის მეთხუთმეტეა, ვინც ეს ზღვარი გადალახა. ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელებს შორის ჯონსონი (17 014 ქულა) 84-ე ადგილზეა და მცირედით ჩამორჩება **გრანტ ჰილს** (17 137).

„ბრუკლინისთვის" კიდევ ერთი კარგი ამბავი ის არის, რომ სავარაუდოდ, მომავალ კვირას დაუბრუნდება გუნდს ვეტერანი **კევინ გარნეტი**. ამ კალათბურთელმა ზურგის პრობლემების გამო 15 მატჩი გამოტოვა - ბოლოს ის მოედანზე 27 თებერვალს გამოჩნდა. როგორც ვარაუდობენ, გარნეტი „ბრუკლინს" 9 აპრილს, „მაიამისთან" მატჩში დაეხმარება.

■ ■ ■

„ჩიკაგოს" ცენტრს **ჟოაკიმ ნოას** ორი მოხსნა არ ეყო მორიგი სამმაგი-დუბლის შესასრულებლად, მაგრამ „ბოსტონთან" მატჩის მთავარი გმირი იყო **დი ჯეი ოგასტინი**, რომელმაც 33 ქულით პირადი რეკორდი დაამყარა. ამ 33 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედზე მოდის.

„ბულზის" წარმატების ფაქტორი იყო თამაშიდან 53 პროცენტის სიზუსტე, „სელტიქსმა" კი სამქულიანებზე გააკეთა აქცენტი და **ჯეფ გრინის** მიერ სირენამდე 2.13 წუთით ადრე ჩაგდებული შორეული ტყორცნის შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა. მაგრამ დარჩენილ დროში „კელტებმა" ოგასტინის გაჩერება ვერ შეძლეს - მან ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი უშეცდომოდ ისროდა საჯარიმოებიდან.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტი" **ენდრიუ ბოგუტისა და დევიდ ლის** გარეშე ეთამაშებოდა „ნიუ იორკს" და „მეომრების" რიგებში მთელი ტვირთი **სტივენ კარის** დააწვა, რომელსაც „ნიქსის" დაცვა მეორე ტაიმში ვერ უმკლავდებოდა. მაგრამ მარტო ერთი კაცით თამაშის მოგება თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, „ნიუ იორკმა", რომელიც საშინლად იცავდა თავს კარის წინააღმდეგ, მაინც შეძლო გამარჯვება და მიუახლოვდა აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილს, რომელზეც ახლა „ატლანტა ჰოქსი" იმყოფება. ამ გუნდებს შორის სხვაობა ერთი მოგებაა.

■ ■ ■

როგორც კი **ლამარკუს ოლდრიჯი** გამოჯანმრთელდა, „პორტლენდმა" შესანიშნავი ტემპი აკრიფა და ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. „მემფისთან" მატჩის ბედი, დიდწილად „ბლეიზერსის" 16:4 გაქცევამ გადაწყვიტა მეორე მეოთხედში. მართალია, „გრიზლისმა" მატჩის ბოლოს ორნიშნა სხვაობა შეამცირა, მაგრამ ინიციატივას ბოლომდე ორეგონელები ფლობდნენ.



კევინ დურანტი

**კლივლენდი-ინდიანა 90:76**

25:20, 24:16, 24:22, 17:18

**კ:** უეიტერსი (19), დენგი (15), ჰოიესი (13), ტომპსონი (12+16 მოხსნა), ჯეკი (11+9 პასი), დელავედოვა (11).

**ი:** ჯორჯი (15+5 ჩაჭრა), უესტი (14), სტივენსონი (11).

**ოკლაჰომა-იუტა 116:96**

26:9, 33:31, 33:37, 24:19

**ო:** დურანტი (31+9 პასი), უესტბრუკი (19), იბაკა (17+4 დაფარება), ბატლერი (15).

**ი:** კანტერი (18+12 მოხსნა), ჯეფერსონი (17), ჰეივორდი (16+9 პასი), ბერკსი (12), ფეივორსი (8+13 მოხსნა).

**ბრუკლინი-მინესოტა 114:99**

30:27, 29:27, 26:28, 29:17

**ბ:** პირსი (22), ჯონსონი (19), ბლეტჩი (14), ლივინგსტონი (13), ანდერსონი (13), პლამლი (13).

**მ:** ბრიუერი (21+4 ჩაჭრა), მარტინი (21), ლავი (14+9 მოხსნა), პეკოვიჩი (13), რუბიო (7+12 პასი), დიენგი (5+11 მოხსნა).

**ორლანდო-ტორონტო 93:98**

22:27, 16:30, 26:16, 29:25

**ო:** ვუჩევიჩი (22+10 მოხსნა), ნელსონი (16), ოლადიპო (16), ჰარკლესი (14), ჰარისი (14).

**ტ:** დეროზანი (28), ვალანჩუნასი (20+9 მოხსნა), ლოური (16).

**ბოსტონი-ჩიკაგო 102:107**

26:25, 24:26, 27:27, 25:29

**ბ:** რონდო (17+11 პასი), გრინი (16), სალინჯერი (16+10 მოხსნა), ჰემფრიზი (14), ბეილესი (12), ბასი (12).

**ჩ:** ოგასტინი (33), ბატლერი (15), ბუზერი (14), ნოა (13+13 პასი), დანლივი (11), ჰაინრიხი (11).

**გ. სტეიტი-ნიუ იორკი 84:89**

32:22, 12:34, 22:18, 18:15

**გ-ს:** კარი (32), ტომპსონი (15+9 მოხსნა), იგუოდალა (12), ო'ნილი (8+12 მოხსნა).

**ნ-ი:** სმითი (21), ენტონი (19+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (15+13 მოხსნა), ჰარდუეი (15).

**პორტლენდი-მემფისი 105:98**

25:23, 32:22, 29:25, 19:28

**პ:** ოლდრიჯი (28), უილიამსი (17), მეტიუზი (15), ლილარდი (13), ბატუმი (10), ლოპესი (9+10 მოხსნა).

**მ:** რენდოლფი (21), გასოლი (20), კონლი (16+9 პასი), მილერი (12).

**ლეიკერსი-ფინიქსი 115:99**

26:15, 35:28, 28:31, 26:25

**ლ:** კამანი (28+17 მოხსნა), მიქსი (22), კელი (17), მარშალი (13+11 პასი), ბეიზმორი (12), იანგი (11).

**ფ:** გრინი (22), დრაგიჩი (17), მარკიფ მორისი (16+12 მოხსნა), მარკუს მორისი (15+4 ჩაჭრა), ბლედსოუ (10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. რეიტინგები


როჯერ ფედერერი

# კუთვნილი TOP4 ფედერერს

მაიამის მასტერსის შემდეგ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** მეოთხე ადგილზე გადავიდა მსოფლიოს კლასიფიკაციაში. ATP-ის რეიტინგის ახალ ვერსიაში ლეგენდამ გაუსწრო ესპანელ **დავიდ ფერერსა** და ჩეხ **ტომაშ ბერდიხს**.

აღვნიშნავთ კანადელი **მილოშ რაონიჩის** ორი საფეხურით წინსვლასა და TOP10-ში შესვლას, აგრეთვე ორი ადგილით ბრიტანელი **ენდი მარეის** ვარდნას. მან მაიამიში ტიტულის დაცვა ვერ შეძლო.

ფლორიდაში ნახევარფინალში გასვლის წყალობით, **კეი ნიშიკორი** TOP20-ში დაბრუნდა.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 13 730 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 810 |
| 3(3). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 5 740 |
| 4(5). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 5 225 |
| 5(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 720 |
| 6(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 640 |
| 7(8). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 260 |
| 8(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 3 975 |
| 9(10). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 715 |
| 10(12). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 710 |
| 11(9). რიშარ გასკე (საფ) | 2 635 |
| 12(11). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 615 |
| 13(14). ფაბიო ფონინი (იტა) | 2 340 |
| 14(17). ტომი რობრედო (ესპ) | 2 140 |
| 15(16). გრიგორ დიმიტროვი (ბულ) | 2 130 |
| 16(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 090 |
| 17(13). ტომი ჰაასი (გერ) | 2 075 |
| 18(21). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 985 |
| 19(18). კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 1 940 |
| 20(19). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 750 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 591 965 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 137 476 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 113 557 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 627 892 |
| 5. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 395 936 |
| 6. გრიგორ დიმიტროვი (ბულ) | 648 480 |
| 7. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 633 407 |
| 8. ენდი მიურეი (ბრიტ) | 538 459 |
| 9. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 535 005 |
| 10. დავიდ ფერერი (ესპ) | 520 371 |
| 11. კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 504 405 |
| 12. კეი ნიშიკორი (იაპ) | 477 390 |
| 13. ერნესტ გულბისი (ლატ) | 468 240 |
| 14. ჯონ ისნერი (აშშ) | 450 159 |
| 15. ფაბიო ფონინი (იტა) | 414 737 |
| 16. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 348 716 |
| 17. ლუკაშ კუბოტი (პოლ) | 344 920 |
| 18. გაელ მონფილსი (საფ) | 337 598 |
| 19. ნიკოლა მაუ (საფ) | 300 392 |
| 20. ბობ ბრაიანი (აშშ) | 297 427 |
| 20. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 297 427 |

# ციბულკოვას პირველი TOP10

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, სლოვაკი დომინიკა ციბულკოვა კარიერაში პირველად შევიდა WTA-ის საუკეთესო ათეულში. ახალი რეიტინგის თანახმად, ციბულკოვა მეათე პოზიციაზე იმყოფება.

მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადეს რუსმა მარია შარაპოვამ და სერბმა ელენა იანკოვიჩმა - ისინი ორი საფეხურით დაბლა დაეშვნენ, სამაგიეროდ, ორი ადგილი მოიგო ჩეხმა პეტრა კვიტოვამ - ის ახლა მეექვსე ჩოგანია.

TOP20-ში ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა დანიელმა კაროლინ ვოზნიაცკიმ, რომელიც, ამჟამად, მე-14 ადგილზე იმყოფება.


დომინიკა ციბულკოვა

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 12 660 |
| 2(2). ნა ლი (ჩინ) | 7 585 |
| 3(3). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 980 |
| 4(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 441 |
| 5(5). სიმონა ჰალეპი (რუმ) | 4 695 |
| 6(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 370 |
| 7(9). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 4 185 |
| 8(6). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4 150 |
| 9(7). მარია შარაპოვა (რუს) | 3 961 |
| 10(11). დ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 3 720 |
| 11(10). სარა ერანი (იტა) | 3 645 |
| 12(12). ფლავია პენეტა (იტა) | 3 270 |
| 13(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3 120 |
| 14(18). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 740 |
| 15(15). საბინ ლისიცკი (გერ) | 2 720 |
| 16(14). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 685 |
| 17(17). კარლა სუარეს ნავარო (ესპ) | 2 660 |
| 18(16). სლოუნ სტივენსი (აშშ) | 2 550 |
| 19(20). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 485 |
| 20(19). ეჟენი ბუშარი (კან) | 2 445 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნა ლი (ჩინ) | 3 094 685 |
| 2. დ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 1 553 926 |
| 3. ფლავია პენეტა (იტა) | 1 343 301 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 241 285 |
| 5. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 215 373 |
| 6. სიმონა ჰალეპი (რუმ) | 936 430 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 587 336 |
| 8. ეჟენი ბუშარი (კან) | 584 936 |
| 9. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 570 141 |
| 10. სარა ერანი (იტა) | 513 702 |
| 11. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 476 295 |
| 12. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 472 400 |
| 13. ალიზე კორნე (საფ) | 462 946 |
| 14. მარია შარაპოვა (რუს) | 430 816 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერ) | 399 152 |
| 16. რობერტა ვინჩი (იტა) | 376 520 |
| 17. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 374 284 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 360 255 |
| 19. შუაი პენგი (ჩინ) | 345 884 |
| 20. კეისი დელაკუა (ავსტრა) | 301 338 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ოვეჩკინი და ში უებერი

# ყველაზე უსარგებლო სნაიპერი

„ვაშინგტონ კეპიტალზში" თამაშობს წელვანდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი - **ალექსანდრ ოვეჩკინი**, მაგრამ აქედან დედაქალაქურ კლუბს არანაირი სარგებელი არ აქვს.

„ნეშვილთან" გუშინდელ ნაგებულ მატჩში, რუსმა ვარსკვლავმა პირნმინდად დათმო დუელი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველთან **ში უებერთან**. ამ უკანასკნელმა ორი ქულა (1+1) დააგროვა და სარგებლიანობის კოეფიციენტი „+2" ჰქონდა, ოვეჩკინმა კი ბოლო ხუთ მატჩში მეოთხედ ვერ შეძლო ქულის აღება, „პლუს-მინუსის" გრაფაში კი საშინელება ხდება: ჰოკეისტს, რომელმაც 48 გოლი გაიტანა, სარგებლიანობის კოეფიციენტი „-34" აქვს. ოვეჩკინმა გაასწრო ასევე რუს **ნაილ იაკუპოვს** (-33).

■ ■ ■

„ჩიკაგომ" გააგრძელა წარუმატებელი სერია - სტუმრად წააგო „პიტსბურგთან". ეს არის სტენლის თასის მოქმედი მფლობელის ზედიზედ მესამე მარცხი. თუმცა უფრო მტკივნეული დარტყმა შეიძლება იყოს კაპიტნის **ჯონათან ტეივზის** დაკარგვა, რომელმაც გუშინ, ტრავმის გამო თამაში ვერ დაასრულა. შეგახსენებთ, რომ „ბლეკჰოქსს" თავისი მეორე ლიდერი **პატრიკ კეინიც** აკლია.

„ჩიკაგოსა" და „პიტსბურგის" მატჩში „პინგვინების" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** დუბლი შეასრულა და დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ფორვარდს გარანტირებული აქვს საუკეთესო ბომბარდირის ტიტული, აგრეთვე, სავარაუდოდ, სეზონის MVP-ის პრიზიც მისი საკუთრება გახდება. „ჩიკაგოსთან" მატჩის შემდეგ, კროსბის ანგარიშზე 99 ქულაა (36+63), ხოლო მისი მდევრებიდან მხოლოდ **რაიან გეტცლაფს** აქვს 80 ქულაზე მეტი. თუ კროსბისა და გეტცლაფს შორის 17-ქულიანი სხვაობა შენარჩუნდება, ეს იქნება ყველაზე დიდი განსხვავება პირველ და მეორე ადგილს შორის ბოლო 15 წელიწადში: 1998-99 წლების სეზონში **იარომირ იაგრმა** 20 ქულით გაასწრო **ტეემუ სელიანეს**.

როგორც კი კროსბის ოფიციალურად გადასცემენ საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილ „არტ როს ტროფის", „პიტსბურგი" გახდება ამ ჯილდოების რაოდენობით ყველაზე მდიდარი კლუბი NHL-ის ისტორიაში: „პინგვინზის" ჰოკეისტებს 15 ასეთი პრიზი აქვთ.

■ ■ ■

განვლილ სათამაშო დღეს ერთი სტატისტიკური მიღწევა დაფიქსირდა. „ფილადელფიას" ფორვარდმა **ვენსან ლეკავალიემ** 400-შაიბიან ზღვარს გადააბიჯა. კანადელმა თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა „ბოსტონთან" მატჩში, რომელშიც ლეკავალიემ 400-ე და 401-ე შაიბები გაიტანა.

ლეკავალიე გახდა 90-ე მოთამაშე NHL-ის ისტორიაში, ვისაც კარიერაში 400 შაიბა დაუგროვდა. მოქმედ ჰოკეისტებს შორის ეს ზღვარი კიდევ რვა მოთამაშეს აქვს დაძლეული.

33 წლის ფორვარდს კარიერაში 400 შაიბის გასატანად 1098 მატჩი დასჭირდა. ასევე მის ანგარიშზეა 506 საგოლე პასი.

### ოტავა-კალგარი 6:3

2:1, 1:2, 3:0

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-15 (ე. კარლსონი-50, ჰემსკი-25), 1:1 სტაიანი-12 (ჰუდლერი-32, გლენკროსი-11), 2:1 მ. მიხალეკი-16 (სპეცა-42, ჰემსკი-26), 2:2 ბირონი-7 (ბეკლუნდი-21, კამალერი-16), 2:3 მონეჰანი-20 (ჰუდლერი-33, კოლბორნი-16), 3:3 ტარისი-24 (მაკარტური-30), 4:3 კოუენი-6 (ზიბანეჯადი-15), 5:3 მაკარტური-24 (ტარისი-30), 6:3 ტარისი-25.

### დეტროიტი-ტამპა ბეი 3:2

2:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ფილპულა-25, 1:1 ანდერსონი-8 (ჰელმი-7, ალფრედსონი-28), 2:1 ნიკუისტი-27 (ლეგუანდი-36), 3:1 ლეგუანდი-13 (ფრანცენი-22, კრონვალი-38), 3:2 სალო-4 (კუჩეროვი-9).

### ფილადელფია-ბოსტონი 3:4 (ბ)

2:1, 0:2, 1:0, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-17 (ა. ჰოლი-3), 1:1 მეზაროში-7 (ბ. მარჩანდი-23, დ. ჰემილტონი-18), 2:1 ტიმონენი-5 (ვორაჩეკი-34), 2:2 ხარა-17 (იგინლა-31, კრეიჩი-47), 2:3 პ. ბერჟერონი-27 (რ. სმიტი-29, ბარტკოვსკი-17), 3:3 ლეკავალიე-18 (ვორაჩეკი-35, ტიმონენი-27).

**ბულიტები გაიტანეს:** პ. ბერჟერონი (ბოსტონი), ჟირუ (ფილადელფია), რ. სმიტი (ბოსტონი).

### პიტსბურგი-ჩიკაგო 4:1

2:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ნილი-24 (ი. იოკინენი-34, ბორტუცო-10), 2:0 სტემპნიაკი-11 (ნისკანენი-32, კუნიცტი-31), 2:1 ბრუკბანკი-2 (შარპი-42, ლედი-23), 3:1 კროსბი-35 (კუნიტცი-32), 4:1 კროსბი-36 (მაატა-20, ბენეტი-3).

### ნეშვილი-ვაშინგტონი 4:3 (ბ)

2:1, 0:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ბროუერი-22 (მაიკ ბრაუნი-29, ბექსტრიომი-58), 1:1 ჰორნკვისტი-16 (შ. უებერი-29, ფიშერი-23), 2:1 ჰორნკვისტი-17, 2:2 ბროუერი-23 (მ. იოჰანსონი-33, ბექსტრიომი-59), 3:2 შ. უებერი-21 (ფიშერი-24, კულენი-23), 3:3 ბექსტრიომი-14 (ჯ. კარლსონი-23).

**ბულიტები გაიტანეს:** კ. სმიტი (ნეშვილი).

### ედმონტონი-რეინჯერსი 0:5

0:1, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 ცუკარელო-16 (სტრალმანი-10, პულიო-19), 0:2 ბრასარი-18 (დიასი-13, ცუკარელო-36), 0:3 რიკ ნეში-24 (სტეპანი-36), 0:4 რიკ ნეში-25 (სტეპანი-37), 0:5 ცუკარელო-17 (სტეპანი-38, მ. სტაალი-10).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი. აპრილის კალენდარი

**1 აპრილი**
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ტორონტო-კალგარი
აილენდერსი-ფლორიდა
პიტსბურგი-კაროლინა
ვაშინგტონი-დალასი
კოლამბუსი-კოლორადო
ტამპა ბეი-მონრეალი
სენტ ლუისი-ფილადელფია
ვანკუვერი-რეინჯერსი
ფინიქსი-ვინიპეგი
სან ხოსე-ედმონტონი

**2 აპრილი**
ოტავა-აილენდერსი
დეტროიტი-ბოსტონი
ანაჰაიმი-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**3 აპრილი**
ტორონტო-ბოსტონი
ფილადელფია-კოლამბუსი
კაროლინა-დალასი
ტამპა ბეი-კალგარი
ჩიკაგო-მინესოტა
სენტ ლუისი-ბაფალო
ვინიპეგი-პიტსბურგი
კოლორადო-რეინჯერსი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

**4 აპრილი**
ოტავა-მონრეალი
კოლამბუსი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
დეტროიტი-ბაფალო
ფლორიდა-კალგარი
ფინიქსი-ედმონტონი
ანაჰაიმი-ნეშვილი

**5 აპრილი**
ბოსტონი-ფილადელფია
სენტ ლუისი-კოლორადო
აილენდერსი-ვაშინგტონი
ტორონტო-ვინიპეგი
მონრეალი-დეტროიტი
ტამპა ბეი-დალასი
რეინჯერსი-ოტავა
კაროლინა-ნიუ ჯერსი
მინესოტა-პიტსბურგი
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ნეშვილი

**6 აპრილი**
ფლორიდა-დალასი
კოლამბუსი-აილენდერსი
ფილადელფია-ბაფალო
ჩიკაგო-სენტ ლუისი
კოლორადო-პიტსბურგი
ედმონტონი-ანაჰაიმი

**7 აპრილი**
ნიუ ჯერსი-კალგარი
ვინიპეგი-მინესოტა
ვანკუვერი-ანაჰაიმი

**8 აპრილი**
ბაფალო-დეტროიტი
აილენდერსი-ოტავა
რეინჯერსი-კაროლინა
კოლამბუსი-ფინიქსი
ტამპა ბეი-ტორონტო
ფლორიდა-ფილადელფია
სენტ ლუისი-ვაშინგტონი
მინესოტა-ბოსტონი
დალასი-ნეშვილი
ედმონტონი-კოლორადო

**9 აპრილი**
ჩიკაგო-მონრეალი
პიტსბურგი-დეტროიტი
კალგარი-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-სან ხოსე

**10 აპრილი**
რეინჯერსი-ბაფალო
კაროლინა-ვაშინგტონი
მონრეალი-აილენდერსი
ოტავა-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ფილადელფია
ფლორიდა-ტორონტო
ნეშვილი-ფინიქსი
მინესოტა-სენტ ლუისი
ვინიპეგი-ბოსტონი
ედმონტონი-ლოს ანჯელესი
ვანკუვერი-კოლორადო

**11 აპრილი**
ვაშინგტონი-ჩიკაგო
დეტროიტი-კაროლინა
ტამპა ბეი-კოლამბუსი
ნიუ ჯერსი-აილენდერსი
დალასი-სენტ ლუისი
კალგარი-ვინიპეგი
სან ხოსე-კოლორადო

**12 აპრილი**
ბოსტონი-ბაფალო
პიტსბურგი-ფილადელფია
მონრეალი-რეინჯერსი
ოტავა-ტორონტო
ფლორიდა-კოლამბუსი
ნეშვილი-ჩიკაგო
ფინიქსი-სან ხოსე
ედმონტონი-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი

**13 აპრილი**
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ფილადელფია-კაროლინა
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
სენტ ლუისი-დეტროიტი
ბაფალო-აილენდერსი
პიტსბურგი-ოტავა
მინესოტა-ნეშვილი
ვანკუვერი-კალგარი
ანაჰაიმი-კოლორადო
ფინიქსი-დალასი

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| შვეიცარია-ესპანეთი | 1:0 |
| უელსი-რუსეთი | 0:2 |
| იტალია-ინგლისი | 1:2 |
| ალბანეთი-ჩეხეთი | 0:2 |
| სერბეთი-გერმანია | 1:1 |
| ისლანდია-პორტუგალია | 0:3 |
| უკრაინა-ლატვია | 5:1 |
| **ინგლისი** | |
| სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 1:2 |
| **იტალია** | |
| უდინეზე-კატანია | 1:0 |
| ლივორნო-ინტერი | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-ლევანტე | 0:2 |
| ბეტისი-მალაგა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| უნიონი-კოტბუსი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-კლერმონი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ექსელსიორი | 1:0 |
| **დანია** | |
| ნორდსიელანდი-აგფ ორჰუსი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-ელფსბორგი | 2:1 |
| ჰაკენი-ნორჩოპინგი | 2:0 |
| აიკ-გიოტებორგი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვილი-შაფჰაუზენი | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| ქსანტი-პლატანიასი | 2:3 |
| **თურქეთი** | |
| ესქისეჰირი-გენჩლერი | 0:1 |
| ფენერბაჰჩე-ბურსა | 3:0 |
| ქაისერი-ანტალია | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-სლავია | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ჟენიცა | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ცსკა-ვოლგა | 3:0 |
| კრილია-ტერეკი | გადაიდო |
| **II დივიზიონი** | |
| როტორი-ბალტიკა | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-ვისლა | 3:1 |
| **ხორვატია** | |
| სლავენი-სპლიტი | 1:2 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-გაზ მეთანი | 1:0 |
| ვასლუი-ბრაშოვი | 1:0 |
| სტიაუა-ბოტოსანი | 4:0 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-ლოკომოტივი (ს) | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ინტერი-რავანი | 3:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| მეგა-ბუდუჩნოსტი | 92:86 |
| პარტიზანი-ცედევიტა | 77:68 |
| **საბერძნეთი** | |
| პანიონიოსი-პაოკ | 95:92 (ო) |
| პანათინაიკოსი-კოლოსოსი | 102:69 |
| **იტალია** | |
| მილანი-სკავოლინი | 95:64 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 77:52 |
| **საფრანგეთი** | |
| სტრასბური-ნანსი | 84:70 |
| **ხელბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| რაინ ნეკარი-კილჩე | 27:23 |
| **ჰოკეი** | |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 2:3 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:5 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ბლუზი | 3:1 |
| სეიპა-იუვიასკიულა | 6:4 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 3:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| მეირი-პერეირა | 1:6, 6:7 |
| რისკე-სხეპერსი | 6:4, 2:6, 3:6 |
| პფიცენმაიერი-დევისი | 1:6, 4:6 |
| გორგესი-რაზანო | 0:6, 7:5, 2:6 |
| ლარსონი-საფაროვა | 2:6, 3:6 |
| ლუჩიჩი-კისი | 6:7, 6:7 |
| ჟენგი-შვედოვა | 2:6, 6:3, 5:7 |
| კირილენკო-ბენჩიჩი | 1:6, 5:7 |
| ლეპჩენკო-ჩეტკოვსკა | 1:6, 6:2, 0:6 |
| ფოგელი-ტომლიანოვიჩი | 7:6, 1:6, 5:7 |
| მაკჰეილი-კუდრიავცევა | 3:6, 5:7 |
| ნ-გაიდოშოვა | 6:1, 5:7, 7:6 |
| ოუდინი-ჩეპელოვა | 6:7, 2:6 |
| **WTA. მონტერეი** | |
| გიბსი-ჰლავაჩკოვა | 6:3, 6:4 |
| კიიკი-მაიერიჩი | 6:4, 6:3 |
| იაკშიჩი-კნაპი | 6:3, 6:4 |

## TV პროგრამა

**1 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი. პირველი მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ეინდჰოვენი-გრონინგენი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტური. ნასიონალი-პორტუ.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
**21:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-ატლეტიკო. პირველი მატჩი (LIVE).
**00:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. აიაქსი-ტვენტე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-ბენფიკა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ბაიერნი-რეალი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰერტა.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
**20:00** ქართული სპორტის დიდი სახელები. გივი კარტოზია.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**12:40** სპორტ-NEWS.
**13:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**17:35** სპორტ-NEWS.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**23:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 12 | (მზე) |
| ქუთაისი | -2 | 14 | (მზე) |
| ბათუმი | 0 | 16 | (მზე) |
| ფოთი | 0 | 16 | (მზე) |
| ზუგდიდი | -2 | 15 | (მზე) |
| გორი | -6 | 12 | (მზე) |
| თელავი | -4 | 11 | (მზე) |
| სიღნაღი | -5 | 10 | (მზე) |
| გუდაური | -16 | -2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -15 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -11 | 5 | (მზე) |
| მესტია | -15 | 3 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4083 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7463 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9076 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9046 |

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჯოკოვიჩის დუბლი და ჰინგისის დაბრუნება

ამერიკულიმასტერსების სერია **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ტრიუმფით დასრულდა. სერბი გახდა მეორე ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერის** შემდეგ, ვინც კარიერაში მეორედ ერთმანეთის მიყოლებით მოიგო ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსები. ადრე იგივე ჯოკოვიჩმა 2011 წელს გააკეთა.

რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი მეორმოცედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. „ღია ერაში" ასე ხშირად ჩოგბურთელებს ერთმანეთის წინააღმდეგ არ უთამაშიათ - **ივან ლენდლისა** და **ჯონ მაკინროის** რეკორდი ჯერ კიდევ შარშან დაემხო.

სერბისა და ესპანელის რიგით მე-40 მატჩისგან მაყურებელი ბევრს ელოდა, მაგრამ თანაბარი და ხანგრძლივი ბრძოლა არ შედგა. ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მატჩში ნადალს პირველივე გეიმში ჰქონდა. ამის შემდეგ, ჩოგბურთელები გარკვეული ხანი დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ მოწოდებებს. სერბმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი 3:2-ზე მიიღო და პირველივე შანსი გამოიყენა რაფას ორმაგი შეცდომის შემდეგ. საბოლოოდ, ნოვაკმა მშვიდად მიიყვანა პარტია ლოგიკურ დასასრულამდე.

მეორე სეტის დებიუტში ნადალის თამაში კიდევ უფრო გაუარესდა და თითქოს, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა საბოლოოდ გადააბარა მეტოქეს ინიციატივა. რაფამ პირველივე გეიმში მისცა მოწინააღმდეგეს ბრეიკის შესრულების საშუალება, შემდეგ ნოვაკს 3:1-ზე ჰქონდა იგივეს გაკეთების საშუალება. სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდა ნადალი და რამდენიმე ლამაზი გათამაშება აჩუქა მაყურებელს, ოღონდ ამას, ძირითადად, საკუთარ მოწოდებაზე აკეთებდა. მიღებაზე ესპანელს იმ საღამოს ბევრი არაფერი გამოსდიოდა. ჯოკოვიჩმა კიდევ ერთი ბრეიკის გაკეთება შეძლო და თამაში ძალიან დაძაბული გათამაშების მოგებით დაასრულა. საბოლოო ანგარიშია - 6:3, 6:3, რაც სრულად ასახავს იმ დღეს კორტზე მომხდარს. ჯოკოვიჩმა ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

*„ეს იყო ფანტასტიკური ტურნირი, სადაც საუკეთესო თამაში ფინალში ვაჩვენე. პირველივე გეიმიდან ბოლომდე შესანიშნავი მატჩი ვითამაშე"*, - მოკლედ შეაჯამა საკუთარი გამოსვლა ჯოკოვიჩმა.

ასე რომ, ნოვაკმა მაიამიში მეოთხე ტიტული მოიგო, ნადალმა კი ფლორიდაში ამდენივე ფინალი წააგო. რაფას კარიერაში სამი „მასტერსი" არ აქვს მოგებული და ერთ-ერთი სწორედ მაიამისაა (ესპანელს ასევე არასოდეს მოუგია შანხაისა და პარიზში). თავის მხრივ, „მასტერსებზე" მოგებების რაოდენობით ესპანელი კვლავაც დიდი უპირატესობით ლიდერობს - მას ამ სერიაში 26 ტიტული აქვს, ჯოკოვიჩს - 18. სხვათა შორის, ნოვაკმა ამ მაჩვენებლით **ანდრე აგასისა** და **ჯიმი კონორსს** გაუსწრო და მეხუთე ადგილზე გადავიდა.

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:3, 6:3.

■ ■ ■

მამაკაცთა ფინალამდე მაიამის მთავარ კორტზე კიდევ ერთი დამაინტრიგებელი მატჩი გაიმართა - ქალების წყვილთა ფინალი. რუსების მეორე ნომრად განთესილი დუეტი **ელენა ვესნინასა** და **ეკატერინა მაკაროვას** შეადგენლობით, გერმანელ **საბინა ლისიცკისა** და ლეგენდარულ **მარტინა ჰინგისს** ხვდებოდა. მარტინამ დიდ ჩოგბურთში დაბრუნება ჯერ კიდევ გასულ წელს სცადა, მაგრამ **დანიელა ჰანტუხოვასთან** წყვილში დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. ახლა კი, როგორც ჩანს, შვეიცარიელმა იდეალური პარტნიორი იპოვნა ლისიცკის სახით. ინდიან უელსში სახელდახელოდ შექმნილ დუეტს ჩავარდნა ელოდა, სამაგიეროდ, მაიამიში მთელი სატურნირო გზა ძალიან დამაჯერებლად გაიარა.

ფინალი ძალიან სანახაობრივი გამოვიდა. პირველი სეტი რუსებმა მოიგეს, შემდეგ იგებდნენ საჩემპიონო ტაი-ბრეიკსაც, მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა ლისიცკიმ თქვა. სწორედ გერმანელი მოქმედებდა გადამწყვეტ გათამაშებებში იდეალურად. ტაი-ბრეიკზე ვესნინა და მაკაროვა 5:3-ს იგებდნენ, მაგრამ ზედიზედ შვიდი ქულა დათმეს და სამ სეტში დამარცხდნენ - 4:6, 6:4, 10:5. ასე რომ, მარტინა ჰინგისმა მოიგო წყვილთა თანრიგში 38-ე ტიტული, საბინასთან კი ეს მხოლოდ მესამე ტრიუმფია.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ტურნირების წინ

# ამ კვირას დევისია

ორი ამერიკული მასტერსის შემდეგ, ATP-ის ტური პაუზას იღებს, მაგრამ ეს არ ეხება ზოგიერთ წამყვან ჩოგბურთელს, რადგან ამ კვირას იმართება დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩები. რაც შეეხება ქალთა ტურს, აქ ორი ტურნირი უნდა ჩატარდეს - მექსიკის მონტერეისა და აშშ-ის ჩარლსტონში.

**დევისის თასი**

**მსოფლიოს ჯგუფი. 1/4 ფინალი**

**ჩატარების თარიღი:** 4-6 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** ჩეხეთი

**იაპონია-ჩეხეთი**

ტოკიო. ARIAKE COLISEUM. ჰარდი

**იაპონია:** კეი ნიშიკორი, გო სოედა, ტაცუმა იტო, იასუტაკა უჩიამა;
**ჩეხეთი:** ლუკაშ როსოლი, რადეკ შტეპანეკი, ირჟი ვესელი, იან ჰაიეკი.

**საფრანგეთი-გერმანია**

ნანსი. PALAIS DES SPORTS JEAN WEILLE. ჰარდი

**საფრანგეთი:** რიშარ გასკე, ჟო-ვილფრიდ ცონგა, გაელ მონფილსი, ჟულიან ბენეტო;
**გერმანია:** ტობიას კამკე, იან-ლენარდ შტრუფი, პეტერ ჰოიევჩიკი, ანდრე ბეგემანი.

**იტალია-ბრიტანეთი**

ნეაპოლი. TENNIS CLUB NAPOLI. გრუნტი

**იტალია:** ფაბიო ფონინი, ანდრეას სეპი, პაოლო ლორენცი, სიმონე ბოლელი;
**ბრიტანეთი:** ენდი მარეი, დანიელ ევანსი, ჯეიმს უორდი, კოლინ ფლემინგი.

**შვეიცარია-ყაზახეთი**

ჟენევა. PALEXPO. ჰარდი

**შვეიცარია:** სტანისლას ვავრინკა, როჯერ ფედერერი, მარკო ჩიუდინელი, ჰენრი ლააკსონენი;
**ყაზახეთი:** მიხაილ კუკუშკინი, ანდრეი გოლუბევი, ალექსანდრ ნედოვესოვი, ევგენი კოროლიოვი.

მსოფლიოს ჯგუფში გამარჯვების მთავარ ფავორიტად შვეიცარიის ნაკრები მოსჩანს. ამ გუნდს ტურნირის ასწლიანი ისტორიის განმავლობაში პირველი ტრიუმფის კარგი შანსი გაუჩნდა. თუ ტრავმებმა არ შეუშალეს ხელი, შვეიცარიელთა ლიდერები - **როჯერ ფედერერი** და **სტანისლას ვავრინკა** ბოლომდე აპირებენ დევისის თასზე თამაშს. ერთეულებში ისინი ყოველი მატჩის ფავორიტები იქნებიან და წყვილებშიც ამ ჩოგბურთელთა დუეტი ყოველთვის ძლიერი იყო. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია შეგახსენოთ, რომ როჯერმა და სტანისლასმა 2008 წელს პეკინის ოლიმპიადა მოიგეს წყვილებში.



ვავრინკა და ფედერერი ფავორიტები არიან

ტოკიოში ითამაშებს ბოლო ორი გათამაშების ჩემპიონი - ჩეხეთი. მართალია, ამ გუნდს დააკლდება ტოპ-ათეულის წევრი **ტომაშ ბერდიხი**, თუმცა სტუმრებს მწყობრში ჰყავთ ვეტერანი **რადეკ შტეპანეკი**.

ბრიტანეთი 1986 წლის შემდეგ პირველად გავიდა რვა საუკეთესოს შორის და იტალიაში თავისი ლიდერით - **ენდი მარეით** მიემგზავრება. დაბოლოს, ნანსიში მრისხანე ფრანგებთან მეორე მეორე შემადგენლობით ჩადის გერმანია. ამ გუნდს აკლია **ტომი ჰაასი, ფილიპ კოლშრაიბერი** და **ფლორიან მაიერი**.

**WTA**

**ჩარლსტონი (აშშ)**

**Family Circle Cup**

**საპრიზო ფონდი:** $ 710 000.
**საფარი:** გრუნტი
**ჩატარების თარიღი:** 31 მარტი-6 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** სერენა უილიამსი
**მონაწილეები:** სერენა უილიამსი (1), ელენა იანკოვიჩი (7), სარა ერანი (10), საბინა ლისიცკი (15), სამანტა სტოსური (17), სლოუნ სტივენსი (18), ეჟენი ბუშარი (19), მარია კირილენკო (23), ელენა ვესნინა (33).

ჩარლსტონში ქალთა ტურნირი 1973 წლიდან ტარდება. თავის დროზე, იქაური კორტების დედოფალი იყო **კრის ევერტი**, რომელმაც ამ ტურნირზე რვაჯერ გაიმარჯვა. ოთხ-ოთხი ტიტული აქვთ **მარტინა ნავრატილოვასა** და **შტეფი გრაფს**, თანამედროვეებს შორის კი სამი გამარჯვება მოიპოვა **სერენა უილიამსმა** (2008, 2012, 2013).

ტურნირი იმით არის უნიკალური, რომ ის მწვანე გრუნტზე იმართება. ამით საფარი უფრო სწრაფია, ვიდრე ჩვეულებრივი ევროპული წითელი გრუნტი.

**მონტერეი (მექსიკა)**

**Monterrey Open**

**საპრიზო ფონდი:** $ 500 000.
**საფარი:** ჰარდი
**ჩატარების თარიღი:** 31 მარტი-6 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** ანასტასია პავლიუჩენკოვა
**მონაწილეები:** კაროლინ ვოზნიაცკი (11), ანა ივანოვიჩი (12), ფლავია პენეტა (22), მაგდალენა რიბარიკოვა (32), გარბინ მუგურუსა (34), კარინ კნაპი (38), კაროლინა კლიშკოვა (51), მონიკა ნიკულესკუ (53).

ჩარლსტონის ტურნირისგან განსხვავებით, მონტერეის ღია პირველობა „ახალგაზრდაა". პირველად აქ მთავარი პრიზი 2009 წელს გათამაშდა და მაშინ პირველობა ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** მოიპოვა. ამის შემდეგ კი მონტერეის კორტებზე გაბატონდა რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** - მან ბოლო ოთხი გათამაშებიდან სამი მოიგო, თუმცა, ამჯერად, ჩარლსტონის ტურნირზე შეიტანა განაცხადი, მაგრამ იქაც ვერ ითამაშებს ტრავმის გამო.

მონტერეის ტურნირი International-ის კატეგორიისაა, თუმცა მისი საპრიზო ფონდი ჩვეულებრივზე ორჯერ მეტია (500 ათასი დოლარი). აქ განაცხადი ჰქონდა შეტანილი ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**, მაგრამ ის ტრავმის გამო მოიხსნა. განთესვის პირველი ორი ნომერი აქვთ - **ფლავია პენეტასა** და **ანა ივანოვიჩს**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:** 2 19 60 13; 2 19 60 53. **ელფოსტა:** leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608